ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 30 მარტი 2001 №56 (1329) | ფასი 50 თეთრი


# საქართველო მარცხენა ფეხზე



## გუნდი, რომელიც სამშობლოს ჰიმნზე «არიოლ-რეშკას» თამაშობს, უკვე დამარცხებულია!

გაუგებარი რამ ხდება. ალბანეთი ინგლისსა და გერმანიას კბილებით ებრძვის, ფარერები რუსეთს ტოლ-სწორად ეთამაშება, სლოვენია არაფრისგან გუნდი ხდება, ევროპის ჩემპიონატზე თამაშობს და მსოფლიოსაზე მოხვედრას ლამობს, ბელარუსი ნორვეგიას უგებს და შევჩენკოიან უკრაინას არ უდებს ტოლს, საქართველოსთვის კი ყოველი შეხვედრა წინასწარ გამოცხადებული მარცხია.

იხილეთ მეორე-მესამე გვერდები

## 11 ფინალის გემო

4 აპრილს საქართველოს კადეტ კალათბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს დაიწყებს

## 14 მაშ, ვინღაა სპორტსმენი?!

## ბორჯღალის კავალერი

### კახა ალანია



# ახალი დისიდენტები

## გოჩა ჯამარაულს ორთავიანმა ნაკრებმა თავი მოაბეზრა

**საქართველოს** ნაკრების მწვრთნელებმა რატომღაც ასე ჩათვალეს საჭიროდ და გუშინწინ რუმინელების წინააღმდეგ გოჩა ჯამარაული არ ათამაშეს. ძოძუაშვილისა და ყიფიანის გადაწყვეტილებამ თითქმის ყველა გააკვირვა.

ჯამარაული თავადაც ამბობს და „ციურიხში" მისი თამაშიც ამას ადასტურებს: იგი ჩინებულ ფორმაშია. ნაკრებში კი გოჩას ადგილი ვერ გამოეძებნა, მით უმეტეს გუშინწინ, როცა მისივე ამპლუის გიორგი ქინქლაძე სამი თვის უთამაშებელი იყო.

მატჩისასაც, შემდეგაც და გუშინაც ქომაგთ პირზე ერთი ეკერათ — რატომ არ ათამაშეს ჯამარაული? ჩვენც ეს გვაინტერესებდა, თუმც ნამატჩევს, პრესკონფერენციაზე, დავით ყიფიანმა ამ კითხვაზე არცთუ დამაკმაყოფილებლად გვიპასუხა — ჯამარაულს რომ ეთამაშა, მაშინ იტყოდით, ქინქლაძემ რატომ არ ათამაშესო. რა თქმა უნდა, მწვრთნელის კომპეტენციაა, ძირითადში ვის მოუნახავს ადგილს, მაგრამ იმავ პრესკონფერენციაზე რომ ითქვა, თამაში ნახევარმცველების უნიათობის გამო წავაგეთო, საკითხავი ისლა დაგვრჩა, სათადარიგოთა სკამზე მწვრთნელებს ჯამარაულზე უკეთესი ნახევარმცველი ვინღა ეგულებოდათ.

გუშინწინდელი სამარცხვინო მატჩის შემდეგ ქართველთაგან ლაპარაკის თავი არავის ჰქონდა. ამიტომაც ჯამარაულს წუხელ შვეიცარიაში დავუკავშირდით და ინტერვიუ ვთხოვეთ...

— რატომღაც ასე მოხდა — არც ლიტვასთან მათამაშეს ძირითად შემადგენლობაში და არც იტალიასთან. ვერ გავიგე, მწვრთნელები რას მერჩიან. ყველაზე საკვირველი ისაა, რომ მიზეზსაც არ მეუბნებიან. დიდი იმედი მქონდა და ძალიან მსურდა რუმინელებთან თამაში, მაგრამ... ძირითად შემადგენლობაზე აღარაფერს ვამბობ, იმის საშუალებაც არ მომცეს, რამდენიმე წუთი მეთამაშა. მწვრთნელები არაფერს უყურებენ, ვინ როგორ ფორმაშია, ვინ თამაშობს, ვინ — არა, ვის რა შეუძლია. მე შანსი არ მომცეს. არადა, როგორც გითხარით, ველოდი, რომ მათამაშებდნენ. ახლა კი ყველანაირი იმედი გადამეწურა. გავიფიქრე კიდეც, რუმინელებთან თუ არ მათამაშეს, საერთოდ აღარ ჩამოვალ ნაკრებში-მეთქი.

**— იქნებ მწვრთნელების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებ და ამიტომაც არ გათამაშეს?**

— ვგრძნობ, დღესდღეობით ძალიან კარგ ფორმაში ვარ. მითხრან მაინც უთამაშებლობის მიზეზი, ერთი სიტყვა... არაფერი მსგავსი. იცი, რა გავიფიქრე, რუმინელებთან მატჩისთვის მოსამზადებლად გერმანიაში, ნაკრებთან არ ჩავალ-მეთქი, მაგრამ მერე... მაინც საქართველოს ნაკრებია, ერის ღირსებაა, ხალხი გვიყურებს... და, აჰა, ჩამოვედი თბილისში, არცთუ ურიგო ფორმაში, მაგრამ, რა მერე... ეტყობა, მწვრთნელებს აღარ ვჭირდები. ამიტომაც ვფიქრობ, რომ დღესდღეობით ნაკრებისთვის ზედმეტი ვარ.

**— ითქვა, რომ ჯამარაულს ფეხი აწუხებდა და ამიტომაც არ ვათამაშეთო...**

— გერმანიაში მზადებისას არავისთვის მიმიცია იმის საბაბი, ასეთი რამ ეთქვათ. იქ ჩასვლამდე შვეიცარიის ჩემპიონატში „გრასჰოპერის" წინააღმდეგ ვითამაშე და ფეხი საერთოდ არ მაწუხებდა. ნაკრების არც ერთი ვარჯიშიც არ გამცდენია, სრული დატვირთვით ვემზადებოდი რუმინელებთან სათამაშოდ.

**— რაიმე უთანხმოება ხომ არ გაქვს ძოძუაშვილთან და ყიფიანთან?**

— არა, მაგრამ ვერ გამიგია, რა უნდათ მათ, რას მერჩიან. რაც ისინი ნაკრების მწვრთნელებად დაინიშნენ, თავის გამოჩენის საშუალება აღარ მომეცა. ჩემთვის ეს ყოველივე ძალიან მოულოდნელი იყო. იმის ღირსი მაინც არ ვიყავი, რამდენიმე წუთი მეთამაშა? ხომ ვთქვი, ვერ ვხვდები, მწვრთნელებს რა უნდათ-მეთქი. ამიტომაც ვეკითხები ჩემს თავს: აქვს კი რაიმე აზრი ნაკრებში ჩემს მიწვევას? ვფიქრობ — არა.

**კობა ინასარიძე**



ჯამარას სევდა... გოჩა ჯამარაული ისევ არ ათამაშეს



რევაზ ძოძუაშვილი და დავით ყიფიანი: 0:2 გავყოთ ორზე...

# წასაგები წაგებულია... წამსვლელი წავიდეს!

**ჩვენ** ვღუმდით მაშინ, როცა ნაკრების მწვრთნელებმა ჟურნალისტებს მწყობრად შემოგვიტიეს. სიჩუმე ვარჩიეთ მაშინ, როცა ნაკრებმა საშინლად არეულ ლიტვას მოუგო. თავები დავიყრუეთ, თვალები დავიბრმავეთ, როცა იტალიამ სეირნობით დაგვამარცხა.

თურმე უნდა გვეყვირა, ნაკრების ყველა ნაკლი სააშკარაოზე გამოგვეტანა, მაგრამ ეროვნული გუნდის მწვრთნელ-ფეხბურთელებს საბაბს არ ვაძლევდით, ეთქვათ, პრინციპული მატჩის წინ ჟურნალისტები არასასურველ ატმოსფეროს გვიქმნითო.

აქამდე არ ყოფილა, ეროვნულ გუნდს ერთი პრინციპული მატჩი მოეგო. იგივეს ვიტყვით მწვრთნელებზეც და ვერც ვერავინ დაასახელებს ისეთ თამაშს, სადაც ნაკრების დღევანდელმა თავკაცებმა თავისი გამჭრიახობით ივარგეს.

დღეს მე უკან მიმაქვს ჩემი სიტყვები და ქომაგს ბოდიშს ვუხდი იმისთვის, რომ ვამტკიცებდი, საქართველოს საფეხბურთო ნაკრები ჰყავს-მეთქი.

დღეს უარყოფითი ემოციებისგან დაღლილი და თქვენი უნიათობისგან დათრგუნული ქომაგი გეკითხებათ, დავით ყიფიანო და რევაზ ძოძუაშვილო, სად დამალეთ გოჩა ჯამარაული, რატომ სპობთ ამ ფეხბურთელის ნიჭსა და შემართებას? ყველას გვაინტერესებს, სად არიან რატი ალექსიძე და გელა შეყილაძე?

გეკითხებით, რა დამართეთ თემურ ქეცბაიას, ალექსანდრე რეხვიაშვილს, ლევან კობიაშვილს... ყველაზე ჯიგრიან და მებრძოლ მოთამაშეებს ეროვნულ გუნდში. ბევრის მტკიცებით გერმანიაში იდეალური პირობები გქონდათ, ჩვენ კი ვამბობთ, რომ იქ ტალახის საზელად წახვედით და კიდევ იმისთვის, ნაკრებში არსებული უთანხმოების შესახებ ჟურნალისტებსა და ქომაგებს არაფერი შეგვეტყო.

...ზაზა ჯანაშია იმიტომ ვათამაშეთ, რომ ხალხი ითხოვდაო. უცნაურია: დღეს ხომ მასზე უკეთესი ფორვარდი არ გყავთ. უმჯობესი იქნებოდა, მისთვის პასის მიმწოდებელი გამოჩენილიყო ვინმე. თქვენ ენდეთ დიდი ხნის უთამაშებელ და უვარჯიშებელ გიორგი ქინქლაძეს, რომელიც ოპერაციის შემდეგ ფეხზე ახლაღა დადგა. ამ დროს საუკეთესო ფორმაში მყოფ ჯამარაულს სათადარიგოთა სკამი აზეხინეთ. საცოდაობა იყო თამაშის შემდეგ მისი გამომეტყველების ცქერა. აქამდე თითქმის უგულებელყოფდით ალექსანდრე იაშვილს, გაგიჭირდათ და მოედანზე მაშინ შეუშვით, როცა ყველაფერი დამთავრებული იყო. ამით ხალხს აჩვენეთ, იაშვილი უვარგისიაო, მაგრამ ქომაგი არ მოტყუვდება.

განტევების ვაცად აქციეთ დავით გვარამაძე, როცა მთელი გუნდი დემორალიზებული იყო. რატომ გეგონათ, რომ მეკარე საიმედო იქნებოდა, გაუგებარია. პრაქტიკანაკლული გვარამაძე ხომ შეიძლებოდა ერთხელ შემცდარიყო. რვა წელიწადში ერთი მეკარე ვერ მოიძებნა, ანაც როგორ იპოვიდით, როცა ყველა საუკეთესო ფეხბურთელი თუ მეკარე ეროვნული ჩემპიონატის ერთ გუნდში მოაქციეთ. თუ გახსოვთ, როდის ითამაშა ბოლოს ნიკოლოზ ტოგონიძემ?



ალექსანდრე იაშვილს ნაკრებში 18 წუთით თამაში ეღირსა

ძალიან საინტერესოა მწვრთნელთა ვერსია, რა დავალება ჰქონდა გიორგი ნემსაძეს. ტრიბუნიდან ასე ჩანდა, კაპიტანს უნდა ჩაეშალა რუმინელთა პირველი შეტევა, ბურთი მეტოქის ნახევარზე გადაეტანა და კონტრიერიში წამოეწყო. გიორგის ძალაგამოლეული ქეცბაიას ადგილიც უნდა შეევსო მარჯვენა ფლანგზე. ამქვეყნად ვერსად იპოვით ისეთ უნივერსალს, რომელიც ამდენ დავალებას გაუძლებს.

პრინციპული თამაში მოსაგებია. და რას ვხედავთ, ნაკრები შიშით, კინკილა თავდამსხმელითღა თამაშობს. ნუთუ ფრეზეც ყაბულს იყავით. ყოველ შემთხვევაში, გარედან ასე ჩანდა.

–კუნთები გვტკივა, ძალაგამოლეულები ვართ, გვეძინება... ჩიოდნენ ბოლო ვარჯიშზე ნაკრების ფეხბურთელები. ძალიან გვაინტერესებს იმ ექიმის ვინაობა, რომელმაც ბეჭედი დაჰკრა, გერმანული შეკრება სასარგებლოაო. რატომღაც გვგონია, რომ ასეთი ექიმი საერთოდ არ არსებობს და არც არავინ დაჰკითხვია, რას გვირჩევო, ხოლო თუ არსებობს, მაშინ უმჯობესი იქნება, სხვა საქმეს ეწიოს.

ნაკრების მწვრთნელებს რატომღაც ჰგონიათ, რომ ჩვენ ისინი გვძულს და ერთი სული გვაქვს, ფეხი როდის დაუცდებათ. წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი გვძულდეს. ყიფიანის პატივსაცემად და სათაყვანებლად თავის დროზე ხომ ათიანი გვეწერა ზურგზე. მისი ფეხის ერთი გაქნევა გვირჩევნია დღევანდელი თაობის ნათამაშევს.

რამდენჯერ მინახავს ლეგენდარული ბრიტანელი ფეხბურთელის ჯორჯ ბესტის თამაშის და გოლების, ჩანაწერები. გვიყვებოდნენ, გვასწავლიდნენ, რომ ძოძუაშვილმა ბესტს გასაქანი არ მისცა, ფეხი არ გაანძრევინაო და ყოველთვის სიამაყის გრძნობა გვეუფლებოდა, ამის გამგონეთ.

და დღეს ჩვენ ის ულვაშა, ათნომრიანი ინტელიგენტი და გაუვალი, საიმედო და მებრძოლი სულის მცველი გვირჩევნია, მათ ვეთაყვანებით და არა მწვრთნელ ყიფიანს და მწვრთნელ ძოძუაშვილს.

ერთხელ ბატონმა რეზომ, ჟურნალისტებზე მორიგად გაბრაზებულმა, ასეთი რამ გვითხრა: „რა გააწყალეთ გული, გვაცალეთ, წავაგებთ, ბატონო, და წავალთ". წასაგები წაგებულია, წამსვლელიც უნდა წავიდეს და არა მგონია, დამკავებელი ვინმე გამოჩნდეს.

ფეხბურთელებზე რა ვთქვათ, თავიდან ბოლომდე წაგებულის ფსიქოლოგიის თაობაა, რომელსაც კარიერის მანძილზე არ ძალუძს ერთი პრინციპული თამაშის მოგება. ერთხელაც არ შეუძლია შესაძლებლობათა მაქსიმუმი გამოავლინოს. ერთიცაა, მათთვის ხომ მოგება არავის უსწავლებია?!

„წარმოუდგენელია, გყავდეს ქეცბაია, ქინქლაძე, არველაძე, ნემსაძე, კალაძე და ფინალურ ეტაპზე ვერ ხვდებოდე." ესეც რევაზ ძოძუაშვილის სიტყვებია, მაშინ იგი ლატვიაში საქმიანობდა.

რა გველის მომავალში? არ არის გამორიცხული 2 ივნისს ჩვენმა ნაკრებმა ფრედ ითამაშოს იტალიასთან... ქომაგს კვლავ გაუჩნდება იმედი. მერე კი, ალბათ, წავაგებთ უნგრეთთან და ფრედ ვითამაშებთ ლიტვასთან.

ეს სცენარი რამდენიმე წლის წინ დაიწერა. მისი ფინალიც ცნობილია, საქართველოს ეროვნულმა გუნდმა კიდევ ერთი შესარჩევი ციკლი უნდა ჩააგდოს. არადა, მწვრთნელები გვპირდებოდნენ, მსოფლიოს ჩემპიონატზე გასასვლელად ვიბრძოლებთო.

საკითხავია, რას იტყვის ფეხბურთის ფედერაცია, რომელსაც ყრილობაზე სწორედ ნაკრებთა შედეგების მიხედვით უანგარიშებენ მოსავალს?

...ძალიან მინდა, ვცდებოდე, ისიც მინდა, ქომაგიც ცდებოდეს და მომავლის სჯეროდეს. როგორც არასდროს, დღეს ისე მსურს, ჩვენი ფეხბურთელები და მწვრთნელები ცამდე მართლები იყვნენ. მაშინ მე კიდევ ერთხელ საჯაროდ მოვიხდი ბოდიშს და იმ ბოდიშისა არ შემრცხვება, რადგან მეც და ბევრი ჩემისთანაც ქართული ფეხბურთის ქომაგები ვართ.

**მამუკა ძგანტალიანი**

# ჩვენ თქვენებს, თქვენ თქვენებს?

**სამშაბათს** ერთ-ერთ რუმინულ საინტერნეტო გვერდზე საქართველო — რუმინეთის მატჩის სავარაუდო შემადგენლობები ჩამოეწერათ. ჩვენებურთა სასტარტო თერთმეტეული 100 პროცენტით გამართლდა. გამართლდა ერთიც. იქვე მიწერილი იყო — საქართველოს ნაკრების ამ შემადგენლობას რუმინელებმა მთელ მოედანზე პრესინგი უნდა დაუპირისპირონ და უეჭველად მოიგებენ, მწვრთნელი ბოლონიც ამის გაკეთებას აპირებსო.

ბუნებრივია, ამ ცნობამ დაგვაინტერესა, მაგრამ დაუჯერებლად გვეჩვენა, რომ საქართველოს ნაკრები, რომელსაც მოსაგებად უნდა ეთამაშა, მეტოქეს ასეთ შემადგენლობას დააზვედრებდა. კი ვიფიქრეთ, ძოძუაშვილსა და ყიფიანს ფეხბურთზე თითქმის ერთნაირი შეხედულება აქვთ და შეტევას დაცვას ამჯობინებენ, მაგრამ ამჯერად, ალბათ, თავდასხმას გააძლიერებენო. მატჩამდე ხმებიც კი დაირხა, სამი ფორვარდით თამაშს აპირებენო.

სამწუხაროდ, ნაკრების მწვრთნელებმა შემადგენლობის ყველაზე ცუდი ვარიანტი ირჩიეს, ისეთი, რომელსაც მოგება ყველაზე მეტად გაუჭირდებოდა და შემთხვევითობის, იღბლის იმედად თუ იქნებოდა.

მწვრთნელებმა, ეს კი ნაღდად ვიცით, რუმინელთა შემადგენლობა გამოიცნეს, მაგრამ ის ველარ გათვალეს, თამაშით როგორ ეთამაშათ. პრესინგი — სწორედ ეს დაუპირისპირა ბოლონიმ ძოძუაშვილსა და ყიფიანს და შედეგიც სასურველი მიიღო. ჩამოვიდა გუნდი მოსაგებად და მოიგო. ნუთუ ძნელი მისახვედრი იყო, თბილისში, ქართველთა წინააღმდეგ აშკარად მოსაგებად მოთამაშე ნაკრები პრესინგს რომ გამოიყენებდა? ერთი იყო ამისი მაგალითი თუ ორი? აბა, კარგად გაიხსენეთ: გერმანია, ინგლისი, ნორვეგია... მომავალში საშველიც აღარ იქნება. მეტოქე, რომელიც ქართველს თავისუფლად გადაადგილების საშუალებას არ მისცემს, მოიგებს და ვინ უნდა უთხრას ფეხბურთელს, პრესინგის შემთხვევაში ბევრი უნდა იმოძრავო, პარტნიორს პასის მისალებად უნდა გაეხსნა და ბურთი არ დააყოვნოო? მგონი, მწვრთნელმა, არა?!

ისიც ხომ მწვრთნელის გასათვალისწინებელია, რომ როცა მასპინძელი ხარ და სამ ქულას შენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, სტუმარს ერთი თავდამსხმელითა და სამი თვის უთამაშებელი პლეიმეიკერით არ უნდა დაუხვდე. მით უმეტეს, როცა სათადარიგოთა სკამზე კიდევ სამი თავდამსხმელი და ბოლოხანს ჩინებულად მოთამაშე მეორე გამთამაშებელი გიზის.

ის კი საერთოდ გაუგებარია, როცა მატჩის შემდეგ, პრესკონფერენციაზე, წაგებული გუნდის მწვრთნელი იტყვის, ჯანაშია იმიტომ ვათამაშეთ, ხალხმა მოგვთხოვაო. ან კიდევ, არჩილ არველაძემ ინსაიდად თამაში არ ისურვა და ამიტომაც დარჩა მთლად უთამაშებელიო. მერე ეს ნათქვამი მწვრთნელებმა გადაასხვაფერეს, იმწამსვე მიხვდნენ, უაზრობას ამბობდნენ, მაგრამ ჩვენ კი დიდად დაგვაეჭვეს, რომ მართლაც ასე იყო.

ამ სტრიქონებს ნაკრების მწვრთნელები თუ წაიკითხავენ, რა თქმა უნდა, აღშფოთდებიან და, როგორც აქამდე, ალბათ, დავით ყიფიანი კვლავაც იტყვის — ყველაფერი თქვენი, ჟურნალისტების ბრალია, არ იცით წერა, არ იცით კითხვა, არ გაქვთ ტაქტი და კიდევ მილიონ ამგვარ რამეს. ტელევიზიით უთქვამს, აეროპორტში ღამის სამ საათზე გერმანიიდან ჩამოფრენილ ნაკრებს რად დახვდითო. რად არ უნდა დავხვედროდით? მაშ, მოგეწყოთ ერთი პრესკონფერენცია მატჩამდე, როგორც ყველა ნორმალური ნაკრები აკეთებს. დაგეკმაყოფილებინათ იმ ქომაგების ინტერესი, გუშინწინ ლამის ჭკუიდან შეშლილებს რომ დაატოვებინეთ ეროვნული სტადიონი.

ვიომებთო, მატჩამდე ამბობდა ნაკრების თითქმის ყველა ფეხბურთელი და მწვრთნელიც. ეს იყო ომი? თუ ომი არ გინახავთ, მაშინ ასეთ სიტყვას მაინც ნუ ამბობთ.

იმის მაინც არ შეგრცხვათ, რამდენიმე ტელეკომპანია რომ გადასცემდა ამ მატჩის რეპორტაჟს, და ასე უგულოდ, უაზროდ, თავის მომჭრელად ითამაშეთ?

ხალხი გქომაგობდათ, ყოველ ნაბიჯზე საგრძნობი იყო მათი თქვენსდამი პატივისცემა. ასე უნდა სამაგიეროს გადახდა?

ყველაფერმა თქვენს წისქვილზე დაასხა წყალი. მეტოქეს ოთხი დღით ადრე უმძიმესი მატჩი ჰქონდა და ფსიქოლოგიურად გატეხილი ჩამოვიდა; აკლდა ძირითადი შემადგენლობის ორი (განეა და მუტუ) ფეხბურთელი; მატჩის დაწყებიდან 20 წუთში მოედანი დატოვა იმ ოც წუთში თქვენმა დამწიოკებელმა და რუმინელთა საუკეთესო ფეხბურთელმა ილიემ; ავადმყოფი თამაშობდა კაპიტანი კივუ; უძლიერესი შემადგენლობა გყავდათ; შეპირებულნი იყვნენ სოლიდურ პრემიებს; კარგი მსაჯობა იყო; ქომაგები გქომაგობდნენ — მეტი რაღა გინდოდათ.

ესაა პრინციპული თამაშის მოგება და ფეხბურთი?

ამდენი ხალხი გქომაგობდათ და... თუმცა რაღა ამდენი, რატომღაც მგონია, რომ ორი თვის შემდეგ, იტალიასთან მატჩზე უფრო მეტი მაყურებელი იქნება ტრიბუნაზე, ოღონდ ასე აღარ გიქომაგებენ. ისინი ნაღდი გუნდის, ნაღდი ფეხბურთელებისა და მწვრთნელის სანახავად იქნებიან სტადიონზე.

თქვენ კი, დარჩებით ისე, როგორც გუშინწინ — შინ, როგორც სტუმრად.

**კობა ინასარიძე**



ერთ ქართველზე სამი რუმინელი მოდიოდა. გამგები გაიგებს...



დორელ მუნტიანუს (№8) შორიდან დარტყმულმა საქართველოს ნაკრები ახლოს დაგვანახა

# ნუ წაიყვანთ შვილებს სტადიონზე

**გაუგებარი** რამ ხდება. ალბანეთი ინგლისსა და გერმანიას კბილებით ებრძვის, ფარერები რუსეთს ტოლ-სწორად ეთამაშება, სლოვენია არაფრისგან გუნდი ხდება, ევროპის ჩემპიონატზე თამაშობს და მსოფლიოსაზე მოხვედრას ლამობს, ბელარუსი ნორვეგიას უგებს და შევჩენკოიან უკრაინას არ უდებს ტოლს, საქართველოსთვის კი ყოველი შეხვედრა წინასწარ გამოცხადებული მარცხია.

გაზაფხული დადგა თუ რა იყო, ქართველებმა ძვირი ბილეთის ფული არ დაინანეს, შვილებს ხელი ჩაჰკიდეს და 28 მარტს სტადიონისკენ გაემართნენ. თან თამაშამდე რამდენიმე დღე ამ მატჩზე ლაპარაკობდნენ. ფაქტია, თავლაფის დასხმის სანახავად და არასრულფასოვნების კომპლექსის გასაჩენად არავინ არავის არსად მიჰყავს. ხალხს იმედი ჰქონდა. მამებს ეგონათ იმ საღამოს თავიანთ პირმშოებს ეტყოდნენ, აი, შვილო, შენი სამშობლო, გაჭირვებული, მაგრამ მებრძოლი და მაინც გამარჯვებული, ხოლო შვილები ათწლეულების მერე ამ დღეს და მამებს თვალზე სიამაყის ცრემლით მოიგონებდნენ. ერთი სიტყვით, ერმა საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებს დიდი პატივი სცა, ენდო და... შეცდა.

მაინც, რას ელოდა ხალხი? ვაჟკაცობას, შემართებას, დარტყმას, ფეხებში ჩავარდნას. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ეს რომ ყოფილიყო და, ვთქვათ, ბურთი იქით ძელს მოხვედროდა, აქეთ კი, ჯანდაბას, კარში შევარდნილიყო, ხალხს გული ეტკინებოდა, მაგრამ შეურაცხყოფილი არ დატოვებდა ტრიბუნებს. ახლა შეურაცხყოფილია. გამოვიდა, რომ მამებმა შვილები, მომიტევეთ და, საკუთარი სისულელით, არასრულფასოვნების კომპლექსის გასაჩენად წაიყვანეს სტადიონზე. მერე, ამ შვილებს შერცხვებათ, ქართველები რომ არიან. მერე შვილებს თავიანთი გუნდი არ ეყოლებათ და ცხრა მთის გადაღმელებს უქომაგებენ.

რუმინეთის ნაკრები ძალიან ძლიერიაო. არ დაიჯეროთ. დღეს, 2001 წლის მარტში ის განსაკუთრებული არაფერითაა. განსაკუთრებული ჰაჯის და პოპესკუს დროს იყო, დღეს კი კარგი ოსტატებით დაკომპლექტებული საშუალო ევროპული გუნდია. მან იცის ბურთისთვის ჩაწოლა, კარში დარტყმა, სირბილი და აქვს თავმოყვარეობა. ის არის გუნდი-კაცი, რომელიც პრინციპული თამაშის მოგებას ცდილობს.

გნებავთ, ჩამოვთვალოთ ცალკე რუმინელი და ცალკე ქართველი ფეხბურთელები? შევადაროთ კლასი და თუ გნებავთ კლუბები. თქვენ გგონიათ, რომ რუმინელთა „საკუთრებულ უპირატესობას დავინახავთ?

მაშ, რა ხდება? თამაშის წინა დღეს ჩვენ სახელმწიფო ტელევიზიის პირველი არხით დაგვპირდნენ, რომ გაჩერებულ, ბრძოლისთვის თავარიდებულ ფეხბურთელებს ვერ ვნახავდით. ვნახეთ.

ნუთუ სინამდვილეში მიზეზი სხვა იყო? იქნებ, ფეხბურთელებს ძალიანაც უნდოდათ სირბილი, მაგრამ მოსამზადებელი პერიოდის გერმანიაში გატარებამ და შინ, თამაშის წინა დღეს, სტუმრად ჩამოსვლამ იმოქმედა? იქნებ აკლიმატიზაციას განიცდიდნენ ან აქ ზედმეტად დატვირთულებმა დაღლილი ფეხები ვეღარ გადაადგილეს?

რა გითხრათ, ნაკრების ხელმძღვანელები წინასწარვე გვარწმუნებდნენ გერმანიაში ჩინებულად მოვემზადეთ და ექიმის კონსულტაციაც გავლილი გვქონდა, აკლიმატიზაცია და მგზავრობა არაფერ შუაშიაო.

მაშინ ყველაფერი ყირაზე დგება. ან შეთქმულება იყო ანაც მთელი ერის განზრახ დაცინვა.

კიდევ ერთი შესაძლო ვარიანტი ის არის, რომ მწვრთნელებმა ფეხბურთელებს სწორედ ის დაავალეს, რაც ვნახეთ, მაგრამ ტრიბუნაზე შეკრებილ ხალხს, მამებს და შვილებს ეს არ აინტერესებთ და არც უნდა აინტერესებდეთ. მათ საქართველოს ნაკრებს იმედით სცეს პატივი და საპასუხოდ კაპიტულაცია მიიღეს.

სად არის გამოსავალი? ასეთ პირობებში არსად. გულშემატკივარს სხვა სახეობებზე გადართვას ვურჩევთ, მით უფრო, რომ, მაგალითად, სტადიონზე ამათ გულისთვის არშემვებული მორაგბეები თითქმის სასწაულებს ხდიან. ისე კი, საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ბოლო წლებიდან ერთადერთი (ცხადია წაგებული) თამაში, როდესაც ბევრს თავისი გუნდისთვის ტაშის დაკვრა მოუნდა და წაგებამ კი არ შეურაცხყო, გული კაცურად დაწყვიტა, საბერძნეთთან გახლდათ. მაშინ მწვრთნელი ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპი იყო, რომელმაც ორიოდ თვეში მოვიშვიშე ქართველებს რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი აღმოუჩინა და იმ, ხსენებულ შეხვედრაში, ვაჟკაცური, თანამედროვე ფეხბურთიც ათამაშა. არადა, ბოსკამპი გენიოსი სულაც არ იყო და არც მოედანზე იმ დღეს გასული შემადგენლობა გახლდათ საუკეთესო. იმ დღეს ძალიან უბრალო საკითხში, საქმისადმი დამოკიდებულებაში იყო განსხვავება.

ისე კი, ვაი ჩვენ, რომ სამაგალითოდ ისევ და ისევ წაგებული თამაში მოგვყავს. არა, მამებო, ნუ წაიყვანთ შვილებს სტადიონზე.

**ილია ბაბუნაშვილი**

---

# საცოდავი საქართველოს საცოდავი ჰიმნი

**არ გვინდა** პათოსი. არ გვინდა ისეთი მნიშვნელობადაკარგული და გაუგებარი სიტყვები, როგორებიცაა ღირსება, სახელმწიფოებრივი თვითშეგნება, პატრიოტიზმი და სხვა. მაგალითები ცხოველთა სამყაროდან მოვიტანოთ: ნებისმიერი გარეული თუ შინაური მხეცი, მისი ბუნაგის შეურაცხყოფისთვის იკბინება. ხოლო თავად იმ ბუნაგს შეურაცხყოფას არაფრით მიაყენებს. ცხოველები თავიანთ ჯოგს თუ ხროვას თავგადაკლულნი იცავენ და პატივს სცემენ. მათ უბრალოდ ჰიმნი არ აქვთ, სიმბოლოებით აზროვნება არ ეხერხებათ.

ადამიანებს ეხერხებათო, ამბობენ. ყოველ შემთხვევაში ჰიმნები აქვთ და მათ, როგორც თავიანთი ქვეყნების სიმბოლოებს, პატივს სცემენ. თბილისის „ეროვნულზე" კი მერამდენედ მოხდა საპირისპირო: დინამიკებში საქართველოს ჰიმნი ისმის, მინდორზე კი გამალებული ხტუნაობა, ფურთხება, ხელის ჩამორთმევა და სხვა ასეთი ამბები გახურებულა.

საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოს ჰიმნს ერთ ადგილას პაუზა აქვს, თან ისეთი, ყველას რომ ჰგონია დამთავრდაო. სინამდვილეში არ დამთავრებულა და პირადად მე ეს დავიმახსოვრე. ამიტომაც ყოველი მორიგი სპორტული შეჯიბრების დროს უსიამოვნო მოლოდინი მაქვს. ვიცი, თავიდან თითქოს ყველაფერი ნორმალურად დაიწყება, მერე კი ის პაუზა დადგება და უპირველეს ყოვლისა მოწინააღმდეგეს, მის გარდა კი ყველა იმ ქართველს,



ყველა უბედურება ჩვენ როგორ უნდა გვჭირდეს: ჩვენს სტადიონზე ჩვენი ჰიმნიც არა ჰიმნობს. მართლაც უნიკალური და სამარცხვინო ეპიზოდი — „არიოლ-რეშკა"– „დიდების" თანხლებით

ვინც ეს ვერ დაიმახსოვრა, რადგან ჩირად არ უღირს, ეგონება, რომ დამთავრდა. და დაიწყება რაღაც ძალიან შეურაცხმყოფელი.

როგორც მოგახსენეთ, ასე მოხდა 28 მარტსაც. პაუზის დადგომა და ჟრიამული ერთი იყო. რუმინელ ფეხბურთელებს და მსაჯებს ეგონათ, რომ ჰიმნი დამთავრდა. სტუმარი გუნდი მასპინძლისკენ გაემართა წესის თანახმად ხელის ჩამოსართმევად, დინამიკებში კი საცოდავი საქართველოს საცოდავი ჰიმნი საცოდავად ჟღერას განაგრძობდა.

ნუთუ საქართველოს ნაკრების წევრებმა არ იციან ათასჯერ მოსმენილი ჰიმნის ამბავი? ნუთუ არ შეიძლებოდა, გაჩერებულიყვნენ და უძანაშაულო რუმინელთათვის ეგრძნობინებინათ, რომ მათი ქვეყნის მთავარი მელოდია გრძელდება?

არა, ასე არ მოხდა. ჰიმნი, გეგონება დუქნის სიმღერა ყოფილიყო, თავისთვის ხმაურობდა, ქვევით კი, ალბათ, მის პატივისცემაზე უფრო მნიშვნელოვანი რაღაცეები ხდებოდა. მაგალითად კოზმინ კონტრასთვის ხელის ჩამორთმევა.

და კარგი, დავუშვათ, ფეხბურთელები ერთი უბრალო ბიჭები არიან, რომელთაც სხვებმა, ჭკვიანმა ძიებმა უნდა უთხრან, რა არის ჰიმნი და რატომ უნდა სცე პატივი. დავუშვათ, მათთან ერთად ჭკვიანმა ძიებმა იგივე უნდა უთხრან მაყურებლის იმ ნაწილსაც, რომელმაც პაუზის ამბავი არ იცის ან ვერ დაიმახსოვრა. რა გახდა დალოცვილი ჰიმნის მოკლე ვერსიის შექმნა? ან კი, რა შექმნა უნდა, აგერ არ არის პაუზა? არ შეიძლება იმ პაუზის დროს მაგნიტოფონის ღილაკისთვის თითის მიჭერა და გამორთვა? ესეც გასარკვევია, იქნებ აკრძალულია.

თუმცა, ალბათ, შეიძლება და კარგი იქნება თუ ოდესმე საკუთარი თავის პატივისცემისკენ ასე თუ ისე პატარა ნაბიჯს გადავდგამთ.

**ილია ბაბუნაშვილი**

---

გიო ახვლედიანის

სვეტი

# ღამურები

ოთხშაბათ საღამოს, „სიმენსის" პროჟექტორების შუქზე კარგად ჩანდა, რომ მოედანს თავს დაფარფატებდა ბარე ორმოცდაათი კარგად ნასუქი ღამურა, ერთგვარად დაბნეული ხმაურიან ადგილას მოხვედრით. მისტიკისადმი ანგარიშის გამწევი კაცი იფიქრებდა, რომ ღამურები რუმინელთა მხარდამჭერნი არიან, რახანლა გრაფი დრაკულა, სისხლისმსმელი ტრანსილვანიელი, რუმინული ამბავია და სადაც ეს კბილებგალესილი ვინმე დაძვრება, ღამურაც იქვე ტრიალებს.

უფრო სხვა რამეებისადმი მიდრეკილი კაცი კი გაიხსენებდა, რომ ღამურა ერთი რამ ფრინველ-ცხოველია, რომელიც თაგვს ჰგავს და ფრენა შეუძლია, იმავდროულად კი ვერაფერს ხედავს, მხოლოდ ბგერით სიგნალებით გრძნობს საგნებთან და მოვლენებთან შორიახლოობას, ანუ ღამურა ბრმა არის.

მოკლედ რომ ვთქვათ, ღამურები ვერ ხვდებოდნენ, რომ სტადიონზე იყვნენ და არც ის დაუნახავთ, რაც მოედანზე ხდებოდა. ბევრიც არაფერი დაუკარგავთ. დაინახავდნენ და ცოტათი მაინც ეწყინებოდათ, რადგან გასწი-გამოსწი და, საქართველოს ტერიტორიის ღამურები არიან.

რახან ღამურებს სმენა გამახვილებული აქვთ, მინდვრის არეს არ გამოცილებიან, სტადიონი ჯერ გრგვინავდა, მერე დუმდა, მერე მოთქვამდა, ბოლოს კი ბრდღვინავდა. ეს ხმები აშინებდა ღამურებს, ამიტომ უხილავი საზღვარი მათსა და ხალხს შორის თავიდანვე გამოიკვეთა.

თამაში დამთავრდა თუ არა, პირველი საგაზაფხულო თქეშიც წამოვიდა და ღამურებიც გაქრნენ, ალბათ, შეიყუჟნენ დაფარულ ადგილებში, რადგან წვიმას, ადამიანებისა არ იყოს, ისინიც გაურბიან.

ეს ამბავი ასე დამთავრდა და თუ რაიმე დაიმახსოვრეს ღამურებმა მთელი ამ საღამოდან, ალბათ მათთვის გაუგებარი ხმაური იყო. ხმაური შეწყდა, წვიმა წამოვიდა და ისინიც დაიმალნენ, წაფარფატდნენ თავიანთ საჰაერო გზებზე.

საიდან ვიცი ასე კარგად ღამურების ამბავი და პირველ იარუსზე ვიჯექი მეხუთე სექტორში და იქიდან კარგად ჩანდნენ. სიმართლე ვთქვა და კარგახანს ვითვლიდი. ძნელი ყოფილა ამ მოფარფატე რამეების დათვლა, ზუსტი რაოდენობა მაინც ვერ დავადგინე. ორმოცდაათამდე იქნებოდნენ.

ბარემ აქვე ითქვას და 27-ე წუთზე სტადიონს კარგა მოზრდილმა ყვავების გუნდმაც გადაუფრინა. ასე ზუსტად იმიტომ მახსოვს ეს გადაფრენა, რომ ზუსტად ორ წუთში ჩვენებმა იმ შეხვედრაში პირველად დაარტყეს კარში. როგორც გაირკვა, ეს პირველი, უკანასკნელი დარტყმაც გამოდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
# ევროპა

VIII ჯგუფი **ჩვენი მეტოქეები** VIII ჯგუფი



REUTERS

ალესანდრო დელ პიერო და ფილიპო ინძაგი: ორი მე, ორიც შენ

## ტრიესტი ინძაგის ფეხზე წამოუდგა

**იტალია 4:0 ლიტვა**

1:0 ინძაგი (17), 2:0 დელ პიერო (49), 3:0 ინძაგი (63), 4:0 დელ პიერო (79)

იტალია: ბუფონი, კანავარო, ნესტა, მალდინი, კოკო, ტაკინარდი, ტომაზი, ძამბროტა, ტოტი (ფიორე 75), დელ პიერო (დი ლივიო 83), ფ. ინძაგი (მონტელა 69)

მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი

ლიტვა: სტაუჩე, ცვირგჟდაუსკასი, ჟიაუკსტასი, შკარბალიუსი, იოკშასი, მიკალაიუნასი (იანკაუსკასი 66), რაგანაუსკასი (დანილევიჩიუსი 61), რ. ცუტაუტასი, შემბერასი, მორინასი, პოშკუსი (ცვინგილასი 78)

მწვრთნელი: ბენიამინას ზელკიავიჩიუსი

მსაჯი: სერგეი შმოლიკი (ბელარუსი)

14 800 მაყურებელი

**„იუვენტუსის“** თავდამსხმელებმა, ფილიპო ინძაგიმ და ალესანდრო დელ პიერომ ლიტველთა კარში ორ-ორი გოლი გაიტანეს და მსოფლიოს ჩემპიონატზე გასასვლელად გამზადებულ ოქმზე საბოლოო ხელმოწერალა აკლიათ. როგორც სააგენტო „როიტერი“ წერს, „სკუადრა აძურას“ მთავარი თამაშები მომთავრებული აქვს, წინ კი ისეთი მარტივი შეხვედრები დარჩა, საქართველოსა და ლიტვაში სტუმრობა რომაა, ამ ორის გარდა, იტალიელებს უნგრეთიც ჰყავს სამასპინძლო.

ინძაგიმ ლიტველთა კარი მე-17 და 63-ე წუთებზე დალაშქრა ანუ შაბათს ბუქარესტში გატანილ ორს ტრიესტში ორიც დაამატა და ხუთ დღეში ოთხი გამოუვიდა.

დელ პიერომ კი დაამტკიცა, რომ კვლავ ძველებურ ფორმაშია, მან 49-ე წუთზე თავური შეაგდო, ხოლო მატჩის დამთავრებამდე 11 წუთით ადრე ვინჩენცო მონტელას ჩინებულ გარღვევას გამოუძებნა შედეგიანი დასასრული.

მონტელა ვახსენეთ და მან და მისმა რომაელმა თანაკლუბელმა, დისკვალიფიკაციამოხდილმა ფრანჩესკო ტოტიმ „სკუადრა აძურას“ პირველი, მეორე და მესამე გოლები შექმნეს.

„დღეს, პროფესიონალიზმის დიდებული ჩვენება გაიმართა“ — თქვა 15 ათასი ტრიესტელი ქომაგის ტაშით დაჯილდოებულმა მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე.

მეოთხე წუთზე კი კინაღამ ლიტვა დაწინაურდა — რობერტას პოშკუსის დარტყმული ჯანლუიჯი ბუფონმა მოიგერია. ამის შემდეგ კი სტუმრებს მასპინძლები, ფაქტობრივად, არ შეუწუხებიათ.

იქითა კართან კი თავიდან ასე მოხდა: ინძაგის პირველ გოლამდე ტოტის ძალიან შორეული დარტყმა ლიტვის მეკარემ გიუნტარას სტაუჩემ აილო, შემდეგ კი იმავე ტოტის მიწოდებული ბურთი „იუვენტუსის“ ხსენებულმა ფორვარდმა ბარძაყით შეიგდო და მარცხენა ფეხით შორეულ კუთხეში ზუსტი დარტყმაც მიაყოლა.

ამის შემდეგ იტალიელთა სურვილი შესვენებამდე მეორეც შეეგდოთ, სულ მეტად და მეტად მჟღავნდებოდა, მაგრამ მას ახდენა არ ეწერა. სამაგიეროდ, მეორე ტაიმი გამოდგა სამგოლიანი.

ტოტიმ ჯარიმა ჩააწოდა, ლიტვის დაცვამ კი მშვიდად უცქირა მოედანზე მყოფთაგან ერთ-ერთმა უდაბლესმა დელ პიერომ როგორ გაიტანა თავურით მათ კარში.

მე-60 წუთისთვის „სკუადრა აძურამ“ შეხვედრის ყველაზე სანახაობრივი ნაწილი შესთავაზა მაყურებელს. ტოტიმ თავდამსხმელთა უკან, ჩვეული პოზიციიდან მეტოქის დაცვა გამჭოლი პასით გაარღვია, ხოლო დელ პიერომ ბურთი მიიღო და დაარტყა. მისი დარტყმა სტაუჩემ უკუაგდო, ოღონდ ინძაგისკენ — 3:0.

შემდეგ ტრაპატონიმ ინძაგი შეცვალა, ხოლო ტრიესტელები „ბებერი ქალბატონის“ ფორვარდს ფეხზე წამოუდგნენ და ოვაცია მოუწყეს. ინძაგის ნაცვლად მოედანზე მონტელა შევიდა და გაუწია კიდეც ასისტენტობა დელ პიეროს, როდესაც მან შეხვედრის მეოთხე და ბოლო გოლი გაიტანა.

**ბაჩუნა ძიძია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 5 | 4 | 1 | 0 | 13:2 | 13 |
| რუმინეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:5 | 6 |
| უნგრეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 9:4 | 5 |
| საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |
| ლიტვა | 5 | 0 | 1 | 4 | 2:16 | 1 |

I ჯგუფი

## ჩემი შენ გითხარიო...
### მიხაილოვიჩის მუქარა ზაჰოვიჩმა აასრულა

**სლოვენია 1:1 იუგოსლავია**

0:1 მილოშევიჩი (32), 1:1 ზაჰოვიჩი (90)

სლოვენია: სიმეუნოვიჩი, გალიჩი (აჩიმოვიჩი 37), ჟუგდალიჩი, ბულაიჩი, ქნავსი, ნოვაკი, ჩეჰი, ოსტერცი (ციმეროტიჩი 46), ზაჰოვიჩი, პავლინი (პავლოვიჩი 62), რუდონია

იუგოსლავია: კოციჩი, ობრადოვიჩი, სტევანოვიჩი, იოკანოვიჩი (დულიაი 68), ჯუკიჩი, კრსტაიჩი, ლაზეტიჩი, ჯორჯევიჩი, მილოშევიჩი (ივიჩი 79), კეჟმანი (დრულიჩი 57), მიხაილოვიჩი

მსაჯი: დიკ იოლი (ჰოლანდია)

10 000 მაყურებელი

**ბალკანური** დერბი ამაოდ საცქერი გამოდგა. დაძაბულ, ხისტ ბრძოლაში ჩაიარა, ხოლო მსაჯის წამატებულ წუთებში ზლატკო ზაჰოვიჩის გოლმა მასპინძლებს ფრე, ფარერების დამამარცხებელ რუსებს კი ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერობა მოუტანა.

ორივე გუნდის მწვრთნელ-ფეხბურთელები თამაშის წინ ფრთხილობდნენ. გამონაკლისს მხოლოდ იუგოსლავიელები სავო მილოშევიჩი და სინიშა მიხაილოვიჩი წარმოადგენდნენ. მილოშევიჩი სლოვენიელთა საბრძოლო განწყობას გაელიზიანებინა და მასპინძლებს აუცილებელი მოგებით ემუქრებოდა, ხოლო მიხაილოვიჩი ამბობდა: ყველაფერს საჯარიმო დარტყმები გადაწყვეტს, ამაში კი ცოტა ვინმე თუ შემედრებაო.

დაპირება ერთია, შესრულება — მეორე. თანაც სლოვენიელები თავისი საჯარიმოს სიახლოვეს ერთობ ფრთხილობდნენ, შორიდან დარტყმებს კი მიხაილოვიჩი ერიდებოდა.

თავიდან იუგოსლავიელები უკეთ თამაშობდნენ, სლოვენიელები კი ნერვიულობდნენ და ხშირად ცდებოდნენ. ერთხელ კნავსი მიხაილოვიჩის ჩაწოდებულის მოგერიებას ცდილობდა და თანაგუნდელი პავლინი დააშავა.

ანგარიში 32-ე წუთზე გაიხსნა. სტუმართაგან საუკეთესო ჯორჯევიჩმა კარგად გახსნილი ლაზეტიჩი შეამჩნია, ამან კი მილოშევიჩი ცარიელი კარის წინ დატოვა და 0:1.

შესვენების მერე სურათი შეიცვალა. სლოვენიელებმა მოძრაობას უმატეს, რაც უმთავრესად შეცვლაზე შესული სწრაფი ციმეროტიჩის დამსახურება გახლდათ. მან რამდენჯერმე ძალიან სახიფათოდაც დაარტყა და რომ არა მეკარე კოციჩის ოსტატობა, ვინ იცის, რა მოხდებოდა. თავის მხრივ, სტუმრებიც იჩხვლიტებოდნენ. მილოშევიჩი ისე ცდილობდა, რომ მინდვრიდან პირდაპირ ჰოსპიტალში გააქანეს. ამბობენ, ტვინი შეეყაო.

ბოლო წუთებზე სლოვენიელები შტურმზე გადავიდნენ და თავისსას მაინც მიაღწიეს: მსაჯის მიერ დამატებული მესამე წუთი იწურებოდა, როცა სტუმართა კარიდან 25 მეტრში კნავსი წააქციეს. ზაჰოვიჩმა ჩინებულად შეასრულა საჯარიმო და ტრიბუნებიც სიხარულისგან აზვირთდა.

მერე, სულ ბოლო წამებზე, თითქოს დანაპირები გაახსენდაო, მიხაილოვიჩმა საჯარიმო დააქუხა, მაგრამ მეკარისგან მოგერიებულ ბურთს ველარავინ დაამატა.

„ძალიან მიხარია, რომ ქულა გადავარჩინეთ. ჩემი ფეხბურთელების უმრავლესობა თავისი კლუბების ძირითადში ვერ ხვდება, მაგრამ ნაკრებში თავს არ ზოგავენ და შესაძლებლობებს ბოლომდე ავლენენ. იუგოსლავიელებისა კი გამკვირვებია, მეორე ტაიმში უჩვეულო, დაცვითი ფეხბურთი ითამაშეს“ — ასე შეაფასა თამაში სლოვენიელთა მწვრთნელმა სრეჩკო კატანეცმა.

**შვეიცარია 5:0 ლუქსემბურგი**

1:0, 2:0 ფრეი (9, 31), 3:0 ლონფატი (64), 4:0 შაბუიზა (72), 5:0 ფრეი (90)

შვეიცარია: პასკოლო, ზელვეგერი, კვენტინი, ეჩოსი, პ. მიულერი, ფოგელი, ლომბარდო (ს. მიულერი 86), ლონფატი (ბიულმანი 74), ფრეი, ფურნიე, შაბუიზა (მ. იაკინი 79)

ლუქსემბურგი: ბესიჩი, შულსი, დევილი, ჰოსინგი, შტრასერი, საიბენე, პეტერსი (რაიმერი 77), ჰოლცი, ჰუსი (ზარიცკი 68), კარდონი, შნაიდერი (შააკი 53)

მსაჯი: კლაუს ბო ლარსენი (დანია)

8 600 მაყურებელი

**მასპინძელთა** შემადგენლობაში პირველი სრული მატჩი ჩაატარა „სერვეტის“ 21 წლის შემტევმა ალექსანდრ ფრეიმ და მწვრთნელს ნდობა ჰეთ-ტრიქით გადაუხადა. მსუყე მოგება მეკარე მარკო პასკოლოსთვისაც კარგი საჩუქარი გამოდგა, რომელიც ნაკრებში თავის 50-ე შეხვედრას ატარებდა.

მასპინძელთა მთავარი მწვრთნელი ენცო ტროსერო კი თამაშს დისკვალიფიკაციის გამო ტრიბუნიდან უცქერდა. შეგახსენებთ, უეფამ ის გასულ შაბათს იუგოსლავიელებთან მატჩში უმსგავსი საქციელისთვის მოკვეთა.

**რუსეთი 1:0 ფარერები**

1:0 მოსტოვოი (19)

რუსეთი: ნიგმატულინი, ხოხლოვი, ნიკიფოროვი, თეთრაძე (ალენიჩევი 46), გუსევი (დროზდოვი 46), კოვტუნი, ონოპკო, კარპინი, ტიტოვი, მოსტოვოი, ბუზნიკინი (ბესჩასტნიხი 67)

ფარერები: მიკელსენი, იოჰანესენი, ტორსტეინსონი, ე ბორგი, ჰ. ჰანსენი, ო. ჰანსენი, ბენჯამინსენი, ჯ. იონსონი, მორკორე (იოენსენი 75), იაკობსენი, პეტერსენი

მსაჯი: ლესლი ირვინი (ჩრდ. ირლანდია)

10 500 მაყურებელი

**რუსებმა** კუნძულელებს მოსტოვოის ერთადერთი გოლით მოუგეს. „სელტას“ ნახევარმცველმა 20 მეტრიდან მეკარისგან მარცხენა დაბალ კუთხეში შეაბზრიალა ბურთი. რუსებს კიდევ ჰქონდათ მომენტები, მაგრამ...

ფარერელებმა კი კიდევ ერთხელ გაგვაკვირვეს. ისინი წლიდან წლამდე იხვეწებიან და ოსტატდებიან. უკვე შეუძლიათ 50 მეტრზე ზუსტი პასი გადააწოდონ, კარში ძლიერად დაარტყან, „ზონა“ შეუმცდარად ითამაშონ. ცხადია, მეზობელ ნორვეგიელ — ისლანდიელებამდე ბევრი უკლიათ, მაგრამ ლეგენდარული ალან სიმონსენის ხელში მეთევზეებმა და დურგლებმა ფეხბურთის თამაში ისწავლეს.

„რუსებს ბევრი კარგი მოთამაშე ჰყავთ. მით უფრო მიხარია, რომ ღირსეულად წარმოვჩინდით. აქ მთავარი ანგარიში არ არის, მთავარი ჩვენი მწყობრი თამაშიაჸ“ — განაცხადა მატჩის შემდეგ სიმონსენმა.

მიხაილ გერშკოვიჩს, რუსთა უფროს (მთავარში არ აგერიოთ, მთავარი რომანცევია) მწვრთნელს თავისი არგუმენტები ჰქონდა: „ახლა ზოგი ჟურნალისტი იტყვის, მეთევზეებს ძლივს მოუგესო. მე კი მგონია, რომ სოლიდურად ვითამაშეთ. მართალია 1:0 მოვიგეთ, მაგრამ უამრავი მომენტი შევქმენით, თანაც „ლუჟნიკის“ მოედანიც უვარგისია. ეს თავის მართლება არ არის, ფაქტია. მოკლედ, ფეხბურთელების მუშაობით კმაყოფილნი ვართ“.

**სოლომონ გულისაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:1 | 10 |
| შვეიცარია | 5 | 2 | 2 | 1 | 13:5 | 8 |
| სლოვენია | 5 | 1 | 4 | 0 | 8:7 | 7 |
| იუგოსლავია | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| ფარერები | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | 4 |
| ლუქსემბურგი | 5 | 0 | 0 | 5 | 1:14 | 0 |



REUTERS

იუგოსლავიელი ნიკოლა ლაზეტიჩი და სლოვენიელი მლადენ რუდონია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ევროპა

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

**პორტუგალია 2:2 ჰოლანდია**

0:1 ჰასელბაინკი (17პ), 0:2 კლუივერტი (47), 1:2 პაულეტა (83), 2:2 ფიგუ (90პ)
**პორტუგალია:** კიში, სეკრეტარიუ ლიტუში, ფერნანდუ კოუტუ რუი ჟორჟე, პაულუ ბენტუ (ნუნუ კაპუშუ 32), კოშტინია, სერჟიუ კონსეისაუ (ნუნუ გომეში 57), რუი კოშტა, ფიგუ, პაულეტა
**ჰოლანდია:** ვან დერ სარი, რაიციგერი, სტამი, ფ. დე ბური, კოკუ, ვან ბომელი (ბოსველტი 68), დავიდსი, ზენდენი (მაკაი 72), კლუივერტი, ოვერმარსი, ჰასელბაინკი (ვან ჰოიდონკი 80)
მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)
45 000 მაყურებელი

II ჯგუფი

## კარგი დასაწყისი ცუდი დასასრულით, ცუდი დასაწყისი კარგი დასასრულით

**პორტუში** ჰოლანდია 2:0-ს იგებდა და 2:2 ითამაშა. ეს გახლდათ საუცხოო შეხვედრა, დიდი ფეხბურთი, რომლის მერე ჰოლანდიელთა გულდაწყვეტილმა მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა თქვა, რაც მოხდა საკუთარ თავს უნდა დავაბრალოთო.

„მესამე გოლის გატანა ისე ძლიერ გვსურდა, რომ დაცვას ყურადღება აღარ მივაქციეთ“ — თქვა სპეციალისტმა, რომლის გუნდიც თამაშში უმეტესად ინიციატივას ფლობდა, მაგრამ მისმა თავდასხმაზე დაგეშილმა ფეხბურთელებმა შემადგენლობამ უპირატესობის ბოლომდე შენარჩუნება ველარ შეძლეს.

„ბოლოს უკვე ერთი სული მქონდა მსაჯი თამაშს როდის დაასრულებდა“ — ბრძანა ვან გაალმა.

შემდეგ ჰკითხეს, ჯგუფში პირველი ადგილის მოპოვების ყველაზე დიდი შანსი ვის აქვსო, რაზეც მან უყოყმანოდ უპასუხა — პორტუგალია.

მაგრამ, სანამ ვან გაალს ასეთი პასუხისთვის ყველა პირობა შეექმნებოდა, მოედანზე დიდი დრამა დატრიალდა. ჯერ თავიდან, „ჩელსის“ ფორვარდმა ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა პენალტით გახსნა, ანგარიში შემდეგ კი, მეორე ტაიმის დასაწყისში ბარსელონელმა პატრიკ კლუივერტმა მეორე გაიტანა.

ამის პასუხად, შეხვედრის დასრულებამდე 7 წუთით ადრე „ბორდოს“ მოთამაშემ, პაულეტამ გაიტანა პირველი გოლი, ხოლო ბოლოს, მსოფლიო ფეხბურთის სუპერვარსკვლავმა ლუიშ ფიგუმ თავისი მონადირებული პენალტით გაქვითა ანგარიში.

ვან გაალის პორტუგალიელმა კოლეგამ, ანტონიო ოლივეირამ პრესკონფერენციაზე აღიარა, რომ მეტოქემ თამაშის უმეტესი დროის განმავლობაში მისი გუნდი დაჩრდილა, მაგრამ დასძინა, რომ მასპინძლებს ეყოთ ვაჟკაცობა ბოლომდე ებრძოლათ და არ დამარცხებულიყვნენ.

„თუ თამაშს მთლიანობაში განვიხილავთ, შეიძლება ითქვას, რომ ფრეს არ ვიმსახურებდით, მაგრამ ისიც გასაცნობიერებელია, რომ ბოლო ათ წუთში ჩემმა ფეხბურთელებმა ძალ-ღონე მოიკრიბეს და ანგარიში გაათანაბრეს“.

შემდეგ ოლივეირამ დასძინა, რომ მის ნაკრებს რამდენიმე წამყვანი მცველი აკლდა: „ერთი სიტყვით, ყველაფერი ცუდად წაგვივიდა, მხოლოდ ანგარიში გამოვიდა კარგი.“

ისევ ვან გაალი: „ახლა ჩვენ ირლანდიის დამარცხება გვმართებს და ვფიქრობ, ეს შესაძლებელია“.

ამრიგად, შაბათს, ანდორაში 5:0 გამარჯვებისა და პორტუგალიიდან ქულის წაღების შემდეგ ჰოლანდიის ნაკრებს სექტემბერში დუბლინში სტუმრობა უწევს და მთავარ მიზნადაც მეორე ადგილის დასაკავებლად იქ მოგება აქვს დასახული.


REUTERS ფოტო

პორტუგალიელი რიუ კოშტა ჰოლანდიელებს ედგარ დავიდს (№8) და ბუდევინ ზენდენს გაექცა

**კვიპროსი 2:2 ესტონეთი**

1:0 კონსტანტინუ (47), 2:0 ოკასი (65), 2:1 კრისტალი (75), 2:2 პიიროია (77)
**კვიპროსი:** პანაიოტუ, კუნაფისი, იოაკიმი, გერმანოსი, ხარალამბუსი, თეოდოტუ, ენგომიტისი (მელანარკიტისი 69), აგათოკლეუსი (ხრისტოდოლუ 63), ოკასი, მალეკოსი (სპოლიარიჩი 46), კონსტანტინუ
**ესტონეთი:** კაალმა, მ. როობა, სტეპანოვი, პიიროია, უ. როობა, რეიმი, ჰაავისტუ (ტერეხოვი 52), ნოვიკოვი (ალონენი 80), ზელინსკი (ვიიკმაე 59), კრისტალი, ობერი
გაძევება: იოაკიმი (90)
მსაჯი: ტომაშ მიკულსკი (პოლონეთი)
3 000 მაყურებელი

**მეორე** ჯგუფის მეორე შეხვედრა კი კვიპროსზე, ლიმასოლში გაიმართა, სადაც მასპინძლებმა ესტონელებთან პორტუს თამაშის მსგავსად 2:2 ითამაშეს.

ანგარიში კვიპროსმა გახსნა: მარიოს აგათოკლეუსმა ძელს გარტყა ბურთი, მიხალის კონსტანტინუმ კი დაამატა — შემდეგ 65-ე წუთზე იანკის ოკასიმ ახლო მანძილიდან მეორე შეაგდო.

მაგრამ, პორტუგალიელების არ იყოს, 75-ე წუთზე ესტონელმა მარკო კრისტალმა ანდერს ოპერის პასით შეამცირა სხვაობა, ხოლო ორი წუთის შემდეგ სრულიად კურიოზული რამ მოხდა — რაიო პიიროიას სუსტი თავური კვიპროსელ მეკარეს ნიკოს პანაიოტუის პირდაპირ ხელში მიუვიდა და... გაუვიდა.

**ბაბუნა ძიძია**

**ანდორა 0:3 ირლანდია**

0:1 ჰარტი (33პ), 0:2 კილბეინი (76), 0:3 ჰოლანდი (80)
**ანდორა:** ა. სანჩესი, პოლი, ლუჩენდო, ხონასი, ტ. ლიმა, ი. ლიმა, სონეხუ, გარსია, გონსალესი (ესკურა 80; სორია 90), ჟ. სანჩესი (ხიმენესი 87), რუისი
**ირლანდია:** გივენი, გ. კელი, ჰარტი, კანინგემი, ბრინი, როი კინი, დაფი, ჰოლანდი, კონოლი (დოჰერტი 25), რობი კინი, კილბეინი (ფინანი 84)
მსაჯი: იგორ იშჩენკო (უკრაინა)
5 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 5 | 3 | 2 | 0 | 12:3 | 11 |
| პორტუგალია | 5 | 3 | 2 | 0 | 11:4 | 11 |
| ჰოლანდია | 5 | 2 | 2 | 1 | 13:6 | 8 |
| კვიპროსი | 5 | 2 | 1 | 2 | 10:12 | 7 |
| ესტონეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:8 | 7 |
| ანდორა | 7 | 0 | 0 | 7 | 3:22 | 0 |

III ჯგუფი

## ირლანდია ჩრდილში

**ბულგარეთი 4:3 ჩრდ. ირლანდია**

1:0 ბალაკოვი (7პ), 1:1 უილიამსი (15), 2:1 მ. პეტროვი (17), 3:1 ჩომაკოვი (72), 4:1 მ. პეტროვი (78), 4:2 ელიოტი (84), 4:3 ჰეილი (90პ)
**ბულგარეთი:** ზდრავკოვი, კიშიშევი, პაჟინი, მარკოვი, ჩომაკოვი, ბ. ივანოვი, მ. ხრისტოვი (ს. პეტროვი 67), მ. პეტკოვი (სტოილოვი 59), ბალაკოვი, ბერბატოვი (გ. ივანოვი 82), მ. პეტროვი
**ჩრდ. ირლანდია:** კეროლი, გრიფინი, ნოლანი (მაკარტი 90), მ. უილიამსი, მერდოკი, მუჯილტონი, გილესპი (დ. ჯონსონი 86), ლენონი (კენედი 86), ჰეილი, მ. ჰიუზი, ს. ელიოტი
მსაჯი: ვლადიმირ ჰრინაკი (სლოვაკეთი)
20 000 მაყურებელი

**ძალიან** ბევრი გამოუყენებელი მომენტი და ბოლოს უგოლოდ დასრულებული შეხვედრა. აქეთ, ჩეხთა მეკარე პაველ სრნიჩეკი, იქით, დანიელთა კარის დარაჯი ყოჩაღობდა. როცა ესენიც უძლურნი იყვნენ, ბურთი რაღაც სასწაულით არ შედიოდა კარში. 70-ე წუთზე ჩეხთა ნახევარმცველმა კარელ პობორსკიმ მთლად საოცარი რამ მოახერხა, „ანდერლეხტის“ თავდამსხმელ იან კოლერისგან მშვენიერი პასი მიიღო და ცარიელ კარში ვერ გაიტანა.

„ორივე გუნდს ძალიან ბევრი შანსი ჰქონდა. საოცარია, თამაში უგოლოდ რომ დასრულდა“ — განაცხადა ლაციოელმა ჩეხმა პაველ ნედვედმა.

85-ე წუთზე გოლი კი გავიდა, მაგრამ არბიტრმა თამაშგარე დააფიქსირა. ებე სანდისა და იან დალ ტომასონის კომბინაცია ამ უკანასკნელმა შედეგიანად დაასრულა, მაგრამ გითხარით, რომ ეს თამაშგარეს შემდეგ მოხდა — გოლი, ცხადია, არ ჩაითვალა. „იმედგაცრუებული ვარ, რადგან ვთვლი, რომ უნდა მოგვეგო — თქვა დანიელთა თავკაცმა მორტენ ოლსენმა და დაამატა — ბოლო 25 წუთში რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოვიყენეთ. ისე, ჩეხებთან სტუმრად მოპოვებულ ქულასაც არა უშავს“.

ამ შეხვედრამდე ჩეხეთი და დანია ჯგუფის ლიდერები იყვნენ, პირველ-მეორე ადგილებს იყოფდნენ. ფრემ ჩეხები პირველ პოზიციაზე დატოვა. დანია კი მესამეზე ჩამოაქვეითა. მათ ბულგარეთმა ერთი ქულით გადაუსწრო და მეორეზე ავიდა. ეს ყველაფერი კი იმის შემდეგ მოხდა, როცა ბულგარელებმა ჯგუფის მეორე შეხვედრაში შინ ჩრდილოირლანდიელები 4:3 დაამარცხეს.

გამოდის, ბულგარელთა მწვრთნელმა სტოიჩო მლადენოვმა იცრუა, როცა თამაშის წინ განაცხადა, 35 წლის ვეტერანი კრასიმირ ბალაკოვი გადაღლილა და შესაძლოა, მთელი 90 წუთი მინდორზე ვერ გაძლოს, ამიტომ, ალბათ, თავიდანვე არ ვათამაშებო.

ბალაკოვმა მთელი მატჩი ჩაატარა და პირველი გოლი სწორედ მან გაიტანა. მე-7 წუთზე საჯარიმოში ბრიტანელმა კოლინ მერდოკმა სწორედ იგი წააქცია და მსაჯმაც პენალტი დანიშნა. თერთმეტმეტრიანი თავად დაზარალებულმა შეასრულა და ანგარიში გახსნა. მე-15 და მე-17 წუთებზე გოლი ორივე კარში გავიდა. ჩრდილოირლანდიელთაგან ჯერ მარკ უილიამსმა გაათანაბრა ანგარიში, თუმცა მარტინ პეტროვმა მალევე დააწინაურა მასპინძლები. მანვე 78-ე წუთზე მეორე გოლიც გაიტანა. თუმცა მანამდე, 6 წუთით ადრე, ძალიან ლამაზი ბურთი შეაგდო კრასიმირ ჩომაკოვმა. ჩრდილოირლანდიელთა კარიდან დაახლოებით 30 მეტრში დანიშნული ჯარიმა მან მოხდენილი დარტყმით გოლად აქცია.

ბულგარელებს მეხუთე გოლის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ ბერბატოვის ძლიერმა დარტყმულმა მხოლოდ ბრიტანელთა ძელი შეაზანზარა, სტუმრებმა კი დარჩენილ წუთებში ორი ბურთი გაქვითეს, აქედან ბოლო 90-ე წუთზე პენალტით და, საბოლოოდ დამარცხდნენ.

მატჩის შემდეგ მოგებულთა მწვრთნელმა სტოიჩო მლადენოვმა განაცხადა: „ჩვენ ახალგაზრდა და ამბიციური გუნდი გვყავს. დღევანდელი გამარჯვებაც დიდი ნაბიჯია გამოცდილების მისაღებად. მოგება ძალიან გაგვეხარდა. მით უმეტეს, რომ სტადიონზე თავად პრეზიდენტი იმყოფებოდა“.

**ნიკა ზუბლაძე**

**ჩეხეთი 0:0 დანია**

**ჩეხეთი:** სრნიჩეკი, ფუკალი, იუჟფალუში, ვოტავა, ნემეცი, პობორსკი, ბეიბლი, ნედვედი, როსიცკი (იაროშიკი 86), კოლერი (ლოკვენცი 89), შმიცერი (კუკა 67)
**დანია:** სორენსენი, ჰაინცე (ნიგაარდი 88), ჰენრიქსენი, ლაურსენი, ჰელვეგი, გრონკიაერი (იორგენსენი 46), გრავესენი, ტოფტინგი, რომედალი (იენსენი 78), ტომასონი, სანდი
მსაჯი: გრემ ბარბერი (ინგლისი)
16 354 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 6:0 | 11 |
| ბულგარეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:6 | 10 |
| დანია | 5 | 2 | 3 | 0 | 9:3 | 9 |
| ჩრდ. ირლანდია | 5 | 1 | 1 | 3 | 5:7 | 4 |
| ისლანდია | 4 | 1 | 0 | 3 | 3:8 | 3 |
| მალტა | 4 | 0 | 1 | 3 | 0:9 | 1 |


REUTERS ფოტო

კრასიმირ ბალაკოვმა ირლანდიელებს თავიც წააქცევინა და პენალტიც გაიტანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
# ევროპა

IV ჯგუფი

# სალამ, აზერბაიჯან!



REUTERS

წასაქცევად გამზადებულმა მაკედონიელმა გარკო სერაფიმოვსკიმ თურქი ოკანიც (№7) გადაიყოლა

**მაკედონია 1:2 თურქეთი**

1:0 მიჩევსკი (20), 1:1 მიტრესკი (68ს.კ.), 1:2 უმით დავალა (69)

მაკედონია: მილოშევსკი, სტავრევსკი, ზდრავევსკი (კრსტევი 82), სედლოსკი, მიტრესკი, ლაზარევსკი, სერაფიმოვსკი (გეორგიევსკი 75), მიჩევსკი (კრსევსკი 75), გ. ხრისტოვი, შაკირი, ბეკირი

თურქეთი: რუშთუ, ტაიფური, ოგიუნი (უმით ოზატი 37), ფათიჰი, ალფაი, აბდულა, ოკანი (ტაიფუნი 82), უმით დავალა, ჰაქან შუქური, ერგუნი (ჰასან ოზერი 59), ჰასან შაში

მსაჯი: კლოდ კოლომბო (საფრანგეთი)

8 000 მაყურებელი

**სკოპიეში** მაკედონიისა და თურქეთის ნაკრებების შეხვედრაზე მისულ მასპინძელ გულშემატკივრებს 68-ე წუთამდე საზეიმოდ ჰქონდათ საქმე, მათი გუნდი მეტოქეს ამარცხებდა და თამაშიც სასურველი სცენარით მიჰყავდა, მაგრამ მატჩი 90 წუთს გრძელდება, საფინალო სასტვენმა კი გამარჯვებულ-გახარებული თურქეთის ნაკრები და მაკედონიაში ჩასული მათი 1 500-მდე ქომაგი დატოვა. არადა, ერთი შეხედვით უცნაურია: მაკედონიელებმა ორი გოლი გაიტანეს, თურქებმა — ერთი და დამარცხებული მაინც მასპინძლები დარჩნენ.

ხრისტოვით გაძლიერებულმა მაკედონიელებმა თავიდანვე შეუტიეს თურქებს. ფლანგებზე მიჩევსკი და სერაფიმოვსკი გამუდმებით თავს ესხმოდნენ მეტოქე მცველებს, ბევრს მოძრაობდა ხრისტოვიც, ხშირად ერთვებოდა შეტევებში მიტრესკი და მასპინძლებმა რამდენჯერმე საგოლედ ხელსაყრელი მომენტების შექმნაც შეძლეს, მაგრამ რუშთუ წინა მატჩის მსგავსად მოწოდების სიმაღლეზე იდგა. მიუხედავად ამისა, მაკედონიელებმა მე-20 წუთზე მაინც მოახერხეს ანგარიშის გახსნა — ხრისტოვის პასი მიჩევსკიმ არ გააცუდა და 15-ოდე მეტრიდან ანგარიში გახსნა.

გოლმა მარცხის საფრთხის წინაშე დააყენა სტუმრები და თურქებიც გამოფხიზლდნენ. პირველი ტაიმის ბოლომდე ჰასან შაშს, შუქურსა და ალფაის სამჯერ მიეცათ ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობა, მაგრამ მათი ცდა უშედეგოდ დამთავრდა. მეორე ნახევარში კი სტუმართა აქტიურობა ლოგიკურად გაგრძელდა, თუმცა ერთობ კურიოზულ ვითარებაში გათანაბრდა ანგარიში — აბდულას საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა მიტრესკიმ. წუთის შემდეგ კი გაოგნებულ მასპინძლებს დავალა უმითმა გონს მოსვლა არ აცალა და შუქურის ჩინებული პასით გამარჯვებისა გაიტანა.

**მოლდოვა 0:2 შვედეთი**

0:1, 0:2 ოლბოკი (89, 90)

მოლდოვა: რომანენკო, კოვალენკო, რებეჯა, კატინსუსი, სოსნოვსკი, გაიდამაშჩუკი, შიშკინი, ობრია (ბერკო 72), ჩებოტარი (ლუნგუ 55), როგაჩიოვი (პოგრებანი 67), კლეშჩენკო

შვედეთი: ჰედმანი, მელბერგი, პ. ანდერსონი, მატოვაცი, კორნელიუსონი, მ. შვარცი, მილდი (მ. იონსონი 44), სვენსონი (ოლბოკი 81), ლიუნგბერგი, ლარსონი, სელაკოვიჩი (დ. ანდერსონი 55)

მსაჯი: ლორან დუამელი (საფრანგეთი)

7 000 მაყურებელი

**ვერ** გეტყვით, სოდერბერგის გადაწყვეტილება იყო, ლაგერფელდის (შვედეთის ნაკრებს ქართველთა მსგავსად ორი მწვრთნელი ჰყავს), თუ ორივესი ერთად, მაგრამ, ფაქტია, რომ სტუმართა მხრიდან მატჩის ბოლოს განხორციელებულმა შეცვლამ მოლდოვა-შვედეთის შეხვედრის ბედი განსაზღვრა — ანდერს სვენსონის ნაცვლად 81-ე წუთზე მოედანზე შესულმა მარკუს ოლბოკმა ბოლო ორ წუთში მოუთავა მასპინძლებს საქმე.

მოლდოვას ფატალურ უიღბლობაზე აქამდეც ბევრჯერ თქმულა, ექსსაბჭოელებს კვლავაც აქცია ზურგი ფორტუნამ...

კიშინიოვში მასპინძლებს არაფერი დაუთმიათ უფრო სახელოვანი სტუმრებისთვის, ბოლომდე ჟინით იბრძოლეს, მეტოქის მსგავსად ერთი-ორჯერ საგოლე მომენტებიც შექმნეს და მატჩის მსვლელობიდან გამომდინარე, ფრეს ნაღდად იმსახურებდნენ, მაგრამ გამოჩნდა ოლბოკი და მასპინძლები კვლავაც ორი ქულის ამარა დატოვა ჯგუფში. შეცვლაზე შესულმა შვედმა ჯერ ჰენრიკ ლარსონის გამოზომილი პასით ისარგებლა, წუთის შემდეგ კი გარჯა ფრედერიკ ლიუნგბერგსაც დაუფასა.

**სლოვაკეთი 3:1 აზერბაიჯანი**

1:0 ნემეტი (1), 1:1 ვასილიევი (3პ), 2:1 ნემეტი (10), 3:1 მესაროში (57)

სლოვაკეთი: კონიგი, კარჰანი, მესაროში, ტურიკი (იუჩლაკი 64), ვარგა, დემო (იანჩულა 78), ლაბანტი, ტომაშეკი, გრეშკო, შ. ნემეტი (ვალახოვიჩი 68), პინტე

აზერბაიჯანი: კრამარენკო, აგაევი, იადულაევი, ახმედოვი, ე. გულიევი, ქ. გულიევი, გურბანოვი, ი. ალიევი, ნიფტალიევი, ვასილიევი (მუსაევი 82), ლიჩკინი (ს. ალიევი 46)

გაძევება: აგაევი (78)

მსაჯი: კოსტას კაპიტანისი (კვიპროსი)

10 000 მაყურებელი

**თავბრუდამხვევად** დაიწყო მატჩი ტრნავაში: სლოვაკმა ნემეტმა სტუმრებს ხეირიანად სალამიც არ ათქმევინა და მე-18 წამზე თავისიანები დააწინაურა. სტადიონზე მისულ ქომაგთაგან ზოგს კუთვნილი ადგილი არც დაეკავებინა, ანგარიში რომ გათანაბრდა. აზერბაიჯანის ნაკრებმა ამ შესარჩევში პირველი გოლის გატანა შეძლო. ეს კი მთლიანად ვასილიევის დამსახურებაა. მან მოედნის ცენტრში მასპინძელთა შეტევა ჩაშალა და დრიბლინგით საჯარიმოში შევიდა, იქ კი მოწინააღმდეგე ტომაშეკმა აკრძალული ილეთით შეაჩერა. პენალტი თავად ვასილიევმა დაარტყა და მე-3 წუთზე ანგარიშიც გათანაბრდა. მალე ტომაშეკმა შეცდომა გამოასწორა და დროული, ზუსტი პასით ნემეტს დუბლი გააკეთებინა — კრამარენკომ მის გამოზომილ დარტყმას ვერაფერი მოუხერხა.

მასპინძლებს გოლმა ფრთები შეასხა. მათ ტაიმის ბოლომდე მინიმუმ სამჯერ შეეძლოთ ანგარიშის შეცვლა, მაგრამ ორჯერ პინტემ ვერ ივარგა, ერთხელაც კრამარენკომ სასწაულებრივ აუღო ლაბანტს.

სლოვაკთა მესამე გოლი მესაროშის შეტევაზე ჩართვას მოჰყვა. მასპინძელთა მცველი მეტოქის საჯარიმოში დროულად დაუხვდა გრეშკოს გადაცემას და ანგარიშში სხვაობა გაზარდა. ჩვენი მეზობლები კი სულაც არ შემდრკალან, აზერბაიჯანელებმა მეორე ტაიმში სამი ხელსაყრელი მომენტი შექმნეს და მინიმუმ ერთი გოლის გატანასაც იმსახურებდნენ, მაგრამ ალიევსა და შეცვლაზე შესულ მუსაევს კლასი და გამოცდილება არ ეყოთ.

**ბაატა ძმანტალიანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვაკეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 7:2 | 11 |
| თურქეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 7:3 | 11 |
| შვედეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 5:1 | 11 |
| მაკედონია | 5 | 1 | 1 | 3 | 4:5 | 4 |
| მოლდოვა | 5 | 0 | 2 | 3 | 0:5 | 2 |
| აზერბაიჯანი | 5 | 0 | 1 | 4 | 1:8 | 1 |

V ჯგუფი

# სიმბოლური ამბავი

**უელსი 1:1 უკრაინა**

1:0 ჰარტსონი (11), 1:1 შევჩენკო (52)

უელსი: პ. ჯოუნსი, დილანი, ბარნარდი, მელვილი, პეიჯი, კ. რობინსონი, მ. ჯოუნსი (დევისი 55), ბელამი, ჰარტსონი (სონდერსი 70), სპიდი, გიგზი

უკრაინა: შოვკოვსკი, ლუჟნი, ნესმაჩნი, გოლოვკო, ვაშჩუკი, ტიმოშჩუკი, პოპოვი (მელაშჩენკო 70), იაშკინი, ვორობეი, შევჩენკო, რებროვი (კარდაში 46)

მსაჯი: ერიკ რომანი (ბელგია)

59 000 მაყურებელი

**უელსი** ჯგუფში მეოთხეა, მაგრამ მისი მწვრთნელი მარკ ჰიუზი ამბობს, ჩვენი ჩამოწერა ნაადრევიაო. მართალია, უელსელებს (ერთ დროს საქართველო იოლად ამარცხებდა) ხუთი შეხვედრიდან ერთიც არ მოუგიათ, მაგრამ მხოლოდ ერთხელ დამარცხდნენ და თამაშს ცოტაც თუ მოუმატეს, ვინ იცის...

პირველი გოლი ჯონ ჰარტსონმა გაიტანა. სხვათა შორის, ეს ის ფეხბურთელია, რომელმაც შაბათს ერევანში ორი გოლი შეაგდო და შინ ქულა წაიღო. მერე იხეირა ანდრეი შევჩენკომაც. მიზეზთა გამო შევჩენკო სერია ʻA-ში მეგოლეობას გადაეჩვია და კარგია, რომ ხელობა ისევ გაიხსენა. თუმცა, რაც უკრაინელთათვის კარგია, უელსელთათვის ცუდს ნიშნავს. უპირველესად სწორედ შევჩენკოს გულისხმობდა მარკ ჰიუზი, როცა თქვა, უკრაინას რამდენიმე მსოფლიოს კლასის მოთამაშე ჰყავს, რომელთაც შეუძლიათ, ნებისმიერ მეტოქეს დიდი პრობლემები შეუქმნანო.

უკრაინა უელსში ფავორიტად ითვლებოდა და ორი ქულის დაკარგვის მიუხედავად, ვალერი ლობანოვსკის თანაშემწე ლეონიდ ბურიაკი დარწმუნებულია, რომ ყველაფერი ჯერ კიდევ წინაა და ბოლო ორ ფრეს — ბელარუსთან და უელსთან ოდენ უიღბლობას აბრალებს.

უკრაინამ დარჩენილ მატჩებში ბლომად ქულებიც რომ მოიპოვოს, ბელარუსმა თუ არ დაკარგა, არაფერი ეშველება, მაგრამ უდუარდ მალოფეევის გუნდი რომ არაფრის დათმობას აპირებს?

**პოლონეთი 4:0 სომხეთი**

1:0 მიხალ ჟევლაკოვი (15პ), 2:0 ოლისადებე (41), 3:0 მარჩინ ჟევლაკოვი (81), 4:0 კარვანი (88)

პოლონეთი: დუდეკი, ზიელინსკი, კლოსი, ჰაიტო, მიხალ ჟევლაკოვი (კრჟინოვეკი 76), სვიერჩევსკი, იჟანი (კარვანი 63), კოზმინსკი, კალუჟნი, კრიჟალოვიჩი (მარჩინ ჟევლაკოვი 79), ოლისადებე

სომხეთი: აბრამიანი, მკრტიჩიანი, დემირჩიანი, ოვსეპიანი, ვარდანიანი, ხაჩატრიანი, პეტროსიანი, ვოსკანიანი (ართავაზ კარამიანი 66), დოხოიანი, შახგელდიანი (არმან კარამიანი 73), მოვსესიანი

მსაჯი: ერიკ პულა (საფრანგეთი)

11 000 მაყურებელი

**ოთხი დღით** ადრე სომხები დიდებულად დაუხვდნენ უელსელებს, მაგრამ პოლონეთის წინააღმდეგ ძალა აღარ ეყოთ. შეხვედრის ანგარიში, არაფერი რომ დავამატოთ, მეტყველებს, თუ რა ხდებოდა მოედანზე.

ემანუელ ოლისაბედემ მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა. პოლონეთის მოქალაქეობამიღებული ნიგერიელისგან გოლებს ისე დავეჩვიეთ, რომ ერთი ცოტა გვგონია. არადა, ხუმრობა ხომ არაა, ამ კაცს ახალი სამშობლოს ნაკრებში რვა თამაშში შვიდი გოლი აქვს გატანილი. თუმცა, რაც ოლისაბედემ დააკლო სომხებს, სხვებმა შეუსრულეს — მიხალ ჟევლაკოვმა, მარჩინ ჟევლაკოვმა და ბარტოშ კარვანმა. მიხაელ და მარჩინ ჟელაკოვები უბრალოდ ნათესავები კი არა, ღვიძლი ძმები არიან და ბელგიურ „მუსკრონში“ თამაშობენ.

პოლონეთი აქამდეც ჯგუფის ლიდერი იყო და უკრაინელთა წაფორხილების გათვალისწინებით პირველი ადგილის შენარჩუნების შანსი კიდევ უფრო განიმტკიცა. თუმცა ისიც სათქმელია, რომ სომხებთან სამი პოლონელი დაისაჯა ყვითელი ბარათით და მათგან პიოტრ სვიერჩევსკი და რადოსლავ კალუჟნი მომდევნო მატჩს, უელსთან, გამოტოვებენ.

ამ ორის არყოფნა არცთუ უმნიშვნელო დანაკლისია, რადგან უელსი—უკრაინის თამაშმა ბრიტანელთა ძალა დაგვანახვა.



REUTERS

უკრაინელ ანდრეი ნესმაჩნის უელსელი გრეგ ბელამი წამოეპარა

**ბელარუსი 2:1 ნორვეგია**

1:0 ხაცკევიჩი (19), 1:1 სოლსკიაერი (68), 2:1 ვასილიუკი (90)

ბელარუსი: ტუმილოვიჩი, შუმეიკო, ლუხვიჩი, იახიმოვიჩი, შტანიუკი, გურენკო, ხაცკევიჩი, ბელკევიჩი, მილევსკი (ლავრიკი 46), ვასილიუკი, რომაშჩენკო

ნორვეგია: მირე, ბერგდოლმო, ეგენი, ბერგი, გრონსეტი, ლარსენი, კარეუ, ტესემი (სტრემსაასი 86), ფლინსენი, სოლსკიაერი, ივერსენი (ფლო 46)

მსაჯი: ხუან ანტონიო ფერნანდეს მარინი (ესპანეთი)

39 000 მაყურებელი

**ნორვეგიის** ნაკრები ახლა ბოლო ადგილზეა. წილისყრისას პირველ კალათში განთესილ მეხუთეადგილოსან სომხეთსაც კი ჩამორჩება. და განა შემსრულებლები არა ჰყავს? ტორე ანდრე ფლოსა და ოლე გუნარ სოლსკიაერის ხსენებაც საკმარისია, მაგრამ სკანდინავიელებს ჩატარებული ხუთიდან ერთი მატჩიც არ მოუგიათ.

ბელარუსთან რომ მოეგო, ნორვეგია მეორე ადგილზე გასვლის (პირველი ადგილი ალბათ უკვე აუხდენელი ოცნებაა) კარგ შანსს შეინარჩუნებდა. რომ მოეგო...

„ძალიან გულდაწყვეტილი ვარ — თქვა მატჩის შემდეგ სტუმართა მწვრთნელმა ნილს იოჰან სემბიმ — რომ მოგვეგო, მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლის შანსს შევინარჩუნებდით, ახლა კი იმედი აღარ გვაქვს“. სემბი, ადრე ქართველთა თბილისში დამარცხებელი, რეალურ შანსზეც ლაპარაკობს, თორემ თეორიული შანსი საქართველოსაც აქვს (ასეთი თამაშით) და ნორვეგიას მით უმეტეს, ექნება.

ანგარიში კიევის დინამოელებმა გახსნეს — ვალენტინ ბელკევიჩის პასით ალექსანდრ ხაცკევიჩმა გაიტანა. მერე სოლსკიაერმა გაათანაბრა, მაგრამ ბოლო წუთზე ვასილიუკის გოლმა სტუმრებს მეორედ გათანაბრების შანსი დაუკარგა.

**გიორგი დარჯანია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 13:4 | 13 |
| ბელარუსი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:6 | 10 |
| უკრაინა | 5 | 2 | 2 | 1 | 6:6 | 8 |
| უელსი | 5 | 0 | 4 | 1 | 5:6 | 4 |
| სომხეთი | 5 | 0 | 2 | 3 | 5:11 | 2 |
| ნორვეგია | 5 | 0 | 2 | 3 | 4:7 | 2 |

VI ჯგუფი

# მერე რა, რომ სან მარინოა...

**შოტლანდია 4:0 სან მარინო**

1:0, 2:0 ჰენდრი (22, 32), 3:0 დოდსი (33), 4:0 კამერონი (64)

შოტლანდია: სალივანი, ვეირი, ჯონსტონი, ლამბერტი, ჰენდრი, მ. ელიოტი (ბოიდი 50), კამერონი (ჯემილი 83), ბარლი, დოდსი, ჰაჩისონი, მატეო (გალაჰერი 62)

სან მარინო: გასპერონი, დელა ბალდა (ალბანი 89), მარანი, ბაჩოკი, მატეონი, გობი, მუკიოლი, ძონძინი, ე. სელვა, ვანუჩი (მუგლი 70), მანძაროლი (რ. სელვა 81)

მსაჯი: პეტერი კარი (ფინეთი)

27 313 მაყურებელი

**მერე რა,** რომ სქოთებმა ჯუჯა სან მარინო დაიბრიყვეს: დაგეგმილი სამი ქულა უპრობლემოდ მიითვალეს და, რაც ყველაზე მთავარია, სულ მცირე, 2 ივნისამდე ჯგუფს სათავეში მოექცნენ.

თავისი 51-ე სანაკრებო მატჩი დუბლით აღნიშნა ვეტერანმა კოლინ ჰენდრიმ, ბილი დოდსმა პირველივე ტაიმში და მეორეში კოლინ კამერონმა კიდევ ორი მიამატეს.

პირველი ბურთი 22-ე წუთზე გავიდა. ჰენდრის ასისტენტობა ინგლისურ „ლესტერში“ მოთამაშე მცველმა მეტ ელიოტმა გაუწია. ვეტერანმაც 10 მეტრიდან მეკარე გასპერონი უშანსოდ დატოვა. 10 წუთში კი იმავ ჰენდრიმ 18 მეტრიდან დააქუხა: კრეიგ ბარლის მიერ მოწოდებული კუთხურის შემდეგ სანმარინოელებმა ბურთი საჯარიმოდან რის ვაი-ვაგლახით გამოიტანეს, ჰენდრიმაც ფეხი მოიქნია და...

*კრეიგ ბრაუნი, შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელი:* „მიზანი შევასრულეთ, დაგეგმილი სამი ქულა ავიღეთ, როგორ ვითამაშეთ? შედეგი სახეზეა: მერე რა, რომ მეტოქედ სან მარინო გვყავდა“.

**გიორგი მუშკუძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 5 | 3 | 2 | 0 | 10:3 | 11 |
| ბელგია | 4 | 2 | 2 | 0 | 16:3 | 8 |
| ხორვატია | 3 | 1 | 2 | 0 | 5:2 | 5 |
| ლატვია | 4 | 1 | 0 | 3 | 2:9 | 3 |
| სან მარინო | 4 | 0 | 0 | 4 | 1:17 | 0 |

# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
# ევროპა

VII ჯგუფი

## მადლი ღვთისა და ვოლფართისა

**ავსტრია 2:1 ისრაელი**

0:1 ბაური (ნს.კ.), 1:1 ბაური (9), 2:1 ჰერცოგი (41მ)
ავსტრია: ვოლფართი, პრილასნიგი, ბაური, ჰიდენი, შტრანცლი, ფლოგელი, შოპი, კუჰბაუერი, ვასტიჩი (მორტნაგლი 57), ჰერცოგი (კიტცბიხლერი 90), მაირლები (მაასი 63)
ისრაელი: დავიდოვიჩი, ბენადო (მიზრახი 57), ტალქარი, შელახი (ბრუმერი 46), გერშონი, კეისი, ბანინი (ტალი 72), ნიმნი, ბენაიონი, ბერკოვიჩი, ზეიტუნი
მსაჯი: ალფრედო ტრენტალანჯე (იტალია)
21 000 მაყურებელი

**მსოფლიოს** ჩემპიონატის შესარჩევ VII ჯგუფში ოთხშაბათს ორი მატჩი გაიმართა. პირველი ადგილის ბედი აქ თითქმის გადაწყვეტილია, მეორე ადგილს კი ავსტრიის, ბოსნიისა და ისრაელის ეროვნული გუნდები ეცილებიან ერთმანეთს. ამდენად მეტად პრინციპული იყო თამაში ვენაში. ავსტრიელებს კოშმარული სიზმარივით ახსოვდათ 1999 წელს თელ ავივში განცდილი სირცხვილი. ისრაელმა შინ ევროპელები 5:0 დაამარცხა.

გუშინდელი მატჩიც ისრაელთათვის იღბლიანად დაიწყო. ავსტრიელთა მცველმა ბაურმა ადრევე დააწინაურა სტუმრები. სამი წუთის შემდეგ მან კვლავ გაიტანა, ოღონდ ამჯერად საპირისპირო კარში. ანგარიში გათანაბრდა, მაგრამ ბაურმა კიდევ ერთხელ „გაიბრწყინა“. ორი გოლის ავტორმა საკუთარ საჯარიმოში სტუმართა თავდამსხმელი ნიმნი სარმით შეაჩერა და რომ არა მეკარე ვოლფართის ოსტატობა, ბენაიონი თერთმეტმეტრიანი დარტყმით ანგარიშს სტუმართა სასარგებლოდ გაზრდიდა. ვოლფართის დარად, საკუთარი კარის გადარჩენა ვერ შესძლო ისრაელელმა დავიდოვიჩმა. ავსტრიელთა კაპიტანმა ანდრეას ჰერცოგმა გამარჯვების გოლი გაიტანა. პენალტით კი სტუმრები ვეტერანი ამით შელახის. ხელით ბურთის მარჯვედ გაჩერებისთვის დაისაჯნენ. ავსტრიელებმა საფინალო სასტვენამდე გაჭირვებით გაძლეს, ებრაელები მასპინძელთა კარზე დაიგეშნენ. ვოლფართმა კვლავ სასწაულები მოახდინა. მან შეცვლაზე შესული ალონ მიზრახიც გააწბილა, როდესაც ისრაელელის აუღებელი დარტყმული მოიგერია. შეხვედრის მიწურულს ეალ ბერკოვიჩმა ბურთი ბადეში გაახვია, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. საბოლოოდ ყველაფერი ავსტრიელთათვის სასიკეთოდ დამთავრდა. „მადლობა უნდა ვუთხრა ღმერთს და მეკარესაც, რომ გადავრჩით“ — ამის თქმალა მოახერხა ნამატჩევს ავსტრიელთა მთავარმა მწვრთნელმა ოტო ბარიჩმა. ეს ფრაზა ზუსტად ასახავს თამაშის არსსა და მიმდინარეობას.

**ლიხტენშტაინი 0:3 ბოსნია**

0:1, 0:2 ბარბარესი (10, 72), 0:3 ჰოტა (89)
ლიხტენშტაინი: ჟელე, ოსპელტი, მარტინ შტოკლასა, ჰეფტი, ზეხი, ჰასლერი, ბეკი (ნიგი 73), ტელსერი (ბუხელი 46), მიხაელ შტოკლასა (როტერი 90), ფრიკი, გიგონი
ბოსნია: ჰიბლიცა, აკრაპოვიჩი, მუსიჩი, ჰუჯეროვიჩი, ვარესანოვიჩი, ჰიბიჩი, ბოლიჩი (ტოპიჩი 63), საბიჩი (რიზვიჩი 90), ბარბარესი, სალიჰამიჯიჩი, ბალიჩი (ჰოტა 81)
მსაჯი: ანდრეის სიპაილო (ლატვია)
3 400 მაყურებელი

**სრულიად** განსხვავებული იყო ლიხტენშტაინი — ბოსნიის დაპირისპირება. სტუმრებმა დიდი ანგარიშით სძლიეს მასპინძლებს და მეორე ადგილისთვის მებრძოლთ შეუერთდნენ. „ჰამბურგის“ თავდამსხმელმა ბარბარესმა დუბლი გააზერხა. მატჩის საბოლოო ანგარიში შეცვლაზე შესულმა ჰოტამ დააფიქსირა. ბუნდესლიგის ბომბარდირ ბარბარესს ჰეთ თრიქის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ მის თერთმეტმეტრიანს ლიხტენშტაინელთა მეკარე, 19 წლის პეტერ ჟელე გადაელობა.

სტუმართა მწვრთნელი სმაილოვიჩი, რომელსაც ავსტრიელებთან წინა ტურში ფრედ თამაშის შემდეგ დანა პირს არ უხსნიდა, გუშინ შესანიშნავ ხასიათზე გახლდათ და ბოსნიის ნაკრების გამარჯვებას ცოტა გადაჭარბებულ შეფასებას აძლევს: „თამაში შესანიშნავი, დაძაბული იყო. ორივე გუნდმა მაღალი პასუხისმგებლობით ითამაშა. ლიხტენშტაინმა დიდი პრობლემები შეგვიქმნა. ჩვენ სათამაშო დისციპლინით მოვიგეთ და მთავარი ისაა, რომ ამ მოგების შემდეგ ჯგუფში მეორე ადგილის დაკავება საკმაოდ რეალური გახდა“.

**გიორგი გამარდაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:2 | 10 |
| ავსტრია | 4 | 2 | 2 | 0 | 5:3 | 8 |
| ისრაელი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 6 |
| ბოსნია | 4 | 1 | 1 | 2 | 6:6 | 4 |
| ლიხტენშტაინი | 4 | 0 | 0 | 4 | 0:11 | 0 |



რა გაუპირდებოდა ჰასან სალიჰამიჯიჩს (№10) საცოდავ ლიხტენშტაინთან

IX ჯგუფი

## კოული, კოული, თავი და ფეხი

**მორჩა** — ენდი კოულს ვეღარავინ ეტყვის, ინგლისის ნაკრებისთვის გოლს როდისღა გაიტანო. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდს ეროვნულ გუნდში ჩატარებულ ვითომ თარს მე-13 შეხვედრაში გაუმართლა. უფრო სწორად, ამ მე-13 მატჩის ძირითად დროზე წამატებულ მეექვსე წუთზე, როცა ემილ ჰესკის დაბალი პასი მიიღო და ახლოდან აიღო ფოტო სტრაკოშას კარი, მერე კი თანაგუნდელთა გროვაში ჩაიკარგა.

ეს სტუმართა მესამე გოლი იყო და სვენ გორან ერიკსონის ნერვებისწყვეტაც მხოლოდ აქ დამთავრდა. ერთი ეგაა, სანამ მთელი გუნდი ენდი კოულის დალოშვნას ცდილობდა, მავანი ალბანელის მიერ ნასროლი ბოთლი გოლის ავტორის არსენალელ მოგვარეს, ეშლის მოხვდა და მცირე ნოკდაუნში ჩააგდო. „ბოთლი იყო თუ სხვა რამ, ვერც დავინახე. ნაღდი ის ვიცი, რომ რაღაც მომხვდა, მაგრამ არა უშავს — ეს დღე ჩემთვის საამაყოდ დარჩება“ — თქვა 20 წლის ეშლი კოულმა, ვისაც გუშინწინ ნაკრებში დებიუტი ჰქონდა. არადა, ლონდონელ მცველს თავის „არსენალში“ მხოლოდ 20 შეხვედრა აქვს ჩატარებული, აქედან სასტარტოში — ოდენ ცხრა.

ამ კოულზე 17 წლით უფროსია დევიდ სიმენი, რომელმაც ტირანაში ორი გოლი გაუშვა და ორივე მასპინძელთა ვეტერან ალტინ რაკლისგან. პირველი, ბოლო წუთზე გატანილი, ჩაითვალა და ანგარიში შემცირდა, მაგრამ მეორე, წამატებულ მეორე წუთზე შეგდებული — არ ჩაითვალა და თამაშგარე დაფიქსირდა... ტელეკამერებს არ გამოჰპარვიათ, რომ ამ დროს გარი ნევილი საკუთარ კართან უფრო ახლოს იყო, ვიდრე რაკლი.

ასეა თუ ისე, ინგლისი ჯერ კიდევ მისდევს კორეა-იაპონიაში მიმავალ მატარებელს. „ბედნიერი ვარ, რომ მოვიგეთ და თან ალბანეთს სამი გოლი გავუტანეთ, რაც იოლი ნაღდად არაა. განსაკუთრებით ენდი კოულის წარმატება გამიხარდა — უგოლო სერია შეწყვიტა და ჩინებულადაც ითამაშა“ — განაცხადა ერიკსონმა, რომლის თავკაცობით ინგლისმა სამივე მატჩი მოიგო: ორი შესარჩევი და ერთიც ესპანეთთან ამხანაგური.

მორიგ გამარჯვებას სათავე სქოულზის დროულმა პასმა და მაიკლ ოუენის ზუსტმა დარტყმამ დაუდო. საინტერესოა, რომ ეს „ლივერპულის“ ბომბარდირის მეათე გოლი გახლდათ 27-ე სანაკრებო მატჩში, რითაც ოუენი სწორედ პასის ავტორ სქოულზს დაეწია. ეს თანაფარდობა 11 წუთს გაგრძელდა, მერე კი ენდი კოულმა მარცხენა ფრთაზე ორი კაცი გაიტყუა, ბურთი კი ცენტრში უყურადღებოდ დარჩენილ პოლ სქოულზს გადააწოდა — „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველმა ეროვნულ გუნდში თავის მე-11 გოლი გაიტანა.

მატჩის შემდეგ ალბანელთა მწვრთნელმა მედინ ჟეგამ ბოდიში მოუხადა თავის კოლეგა ერიკსონს გულშემატკივრების საქციელის გამო. ამათ, ჩვენებურებისგან განსხვავებით, ბოთლები, ხურდები და სანთებლები სტუმარ ფეხბურთელებს დაუშინეს. ფიფა, ცხადია, დასჯის ტირანას „ქემალ სტაფას“ სტადიონს, თუმცა სვენ გორან ერიკსონი ამბობს, რომ ინგლისელები არ იჩივლებენ და საერთოდ, ფანების საქციელის გამო გუნდის დასჯა საცოდაობააო.

და კიდევ — შეკრებილი საზოგადოება შესვენებაზე დიდად ახალისა ინგლისელთა საგულშემატკივროდ ჩასულმა ნორმან უიზდომმა, ჩვენთვის მისტერ პიტკინად ცნობილმა მსახიობმა.

**გიგა ქობახიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 4 | 4 | 0 | 0 | 9:3 | 12 |
| ინგლისი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| ფინეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| ალბანეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:7 | 3 |
| საბერძნეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:8 | 3 |



რუდი ფიოლერი



სტივ მაკმანამანი (№11) ინგლისის ნაკრებს ერიქსონმა დაუბრუნა



ენდი კოული: ესეც პირველი სანაკრებო გოლი!

**საბერძნეთი 2:4 გერმანია**

0:1 რემერი (6), 1:1 არისტიასი (20), 1:2 ბალაკი (25მ), 2:2 გეორგიადისი (44), 2:3 კლოსე (81), 2:4 ბოდე (89)
საბერძნეთი: ელევთეროპულოსი, პაცაცოგლუ, კოსტულასი (მავროგენიდისი 35), გუმასი, ბასინასი, კარაგუნისი (ნინიადისი 75), გეორგიადისი, ზაგორაკისი, არისტიასი (ალექსანდრისი 82), ლიბეროპულოსი, გეორგატოსი
გერმანია: კანი, ვიორნსი, ციგე, ჰაინრიხი, ნოვოტნი, იერემისი (რამელო 90), რემერი, ბალაკი, იანკერი (ბოდე 78), დაისლერი, ნოივილი (კლოსე 66)
გაძევება: დაისლერი (60)
მსაჯი: ვიტორ მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია)
55 000 მაყურებელი

**მარკო ბოდეს** მიერ ბოლოსწინა წუთზე გატანილი გოლი აღარაფერს წყვეტდა — გერმანიას სამი ქულა, ისევე როგორც გასულ შაბათს ალბანელებთან, „კაიზერსლაუტერნის“ ფორვარდმა მიროსლავ კლოსემ მოუტანა. არადა, ამ დროს სტუმრები ათი კაცით თამაშობდნენ.

თამაშის დაწყებიდან ზუსტად ერთი საათი იყო გასული, როცა პორტუგალიელმა მსაჯმა სებასტიან დაისლერი გააძევა. ამ დროისთვის ანგარიში 2:2 იყო. „ვშიშობდი, რომ კაცნაკლულები თამაშს წავაგებდით, მაგრამ გუნდმა გაძლო და რაც უფრო მნიშვნელოვანია, საკუთარი ძალები ირწმუნა — აღიარა მატჩის შემდეგ რუდი ფიოლერმა, გერმანელთა თავკაცმა და ორიოდ სიტყვა გაძევებულზეც თქვა — დაისლერს ურიგოდ არ უთამაშია. ცხადია, საწყენია, რომ წითელი ბარათი მიიღო, მაგრამ ის ჯერ ახალგაზრდაა და ბევრ რამეს ისწავლის“.

მორიგმა, მეოთხე გამარჯვებამ და ჯგუფში ქულათა მაქსიმუმით ლიდერობამ გერმანული ფეხბურთის მამები დაარწმუნა, რომ ფიოლერი დღესდღეობით საუკეთესო კანდიდატურაა ბუნდესნაკრებისთვის, ამიტომ გუშინ მასთან ოფიციალური კონტრაქტი 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებამდე გააფორმეს.

აი, ბერძენთა მწვრთნელი ვასილის დანილი კი მეტად ცუდ დღეშია — მისი გუნდი ბოლო ადგილს ვერ ასცილდა. „თუ გერმანიის ნაკრების დარი გუნდის ფეხბურთელებს შენს საჯარიმოში თავისუფლად მოქმედების საშუალებას მისცემ, ცხადია, ეს ცუდად დამთავრდება“ — ამბობს თავად გერმანული ფეხბურთის თაყვანისმცემელი დანილი და თავის მოთამაშეებს აკრიტიკებს — მაგათ ეგონათ, დაისლერის გაძევება ჩვენს გამარჯვებას ავტომატურად მოიტანდა. სინამდვილეში პირიქით მოხდა.

**ალბანეთი 1:3 ინგლისი**

0:1 ოუენი (74), 0:2 სქოულზი (85), 1:2 რაკლი (90), 1:3 ენდი კოული (90)
ალბანეთი: სტრაკოშა, ლალა, ფაკაი, ჯუპმა, ჩოპი, ჰასი, კოლა (ნუკაი 82), ბელაი, ფ. ვატა (რაკლი 86), ბუში, ტარე (შკელა 90)
ინგლისი: სიმენი, ეშლი კოული, რ. ფერდინანდი, ს. კემპბელი (უ. ბრაუნი 29), გ. ნევილი, ბატი, მაკმანამანი (ჰესკი 46), ბექემი, სქოულზი, ოუენი (შერინგემი 84), ენდი კოული
მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)
18 000 მაყურებელი

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## სამხრეთ ამერიკა XI ტური

# ძმება და დიდება სისულელისა

## ამბავი ეკვადორელთაგან ბრაზილიელთა ძლევისა ქართულ გაგებაში

### ეკვადორი 1:0 ბრაზილია

1:0 დელგადო (49)
ეკვადორი: სევალიოსი, დე ლა კრუზი, ურტადო, პორასო, გუერონი, ტენორიო (სანჩესი 69), ბურბანო, მენდესი, აგინაგა, კავიედესი (ობრეგონი 90), დელგადო
ბრაზილია: როჟერიო, ბელეტი, ლუსიო, როკე ჟუნიორი, სილვინიო (სეზარი 59), ემერსონი, ვამპეტა, ჟუნინიო, რივალდო (ლუიზაო 64), რონალდინიო (ჟულიო 46), რომარიო
40 800 მაყურებელი

**სრული** პასუხისმგებლობით ვამბობ: ეკვადორის ნაკრების მწვრთნელი, კოლუმბიელი ერნან დარიო გომესი სულელი ყოფილა. ახლა კი, სანამ ეს პატიოსანი კაცი შეურაცხყოფისთვის სასამართლოში მიჩივლებს, შევეცდები, ავხსნა.

ეკვადორელთა ისტორია გავიხსენოთ. 1822 წლის 24 მაისს სიმონ ბოლივარმა მრავალტანჯულ ეკვადორელ ხალხს თავისუფლება მოუტანა. მერე... უკაცრავად, ასე შორიდან დაწყება არ გვჭირდება, მით უფრო, რომ მხოლოდ ეკვადორელთა საფეხბურთო ისტორია გვაინტერესებს, რომელიც 1938 წლიდან იწყება. დასაწყისი რაღაც ვერ გამოუვიდათ — პერუსთან 1:9, ხოლო ვენესუელასთან 2:5 წააგეს. ჩვეულებრივი ამბავია, ეკვადორი ძალიან ხშირად მარცხდება და ერთობ იშვიათად იგებს. ერთხელ არგენტინასთან 0:12 წააგო. ვენესუელასთან ერთად ეკვადორი ერთადერთი სამხრეთამერიკული ქვეყანაა, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატზე არ უთამაშია.

ეკვადორის ბრაზილიელებთან შეხვედრებიც გავიხსენოთ. წინა მატჩში შეხვედრაში მაჩანჩალა ეკვადორს მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონისთვის ერთხელაც ვერ მოეგო. სამაგიეროდ, აგებდა — 1:9, 2:9, 1:7...

ეკვადორელები უპრეტენზიო ხალხია, იციან, რომ მათი ფეხბურთი არ ვარგა და, ნაკრებისგანაც განსაკუთრებულს არაფერს ითხოვენ და თუ მათი ნაკრები იგებს, იმის წყალობით, რომ საშინაო თამაშები კიტოში, ზღვის დონიდან 2 800 მეტრის სიმაღლეზე, გაიშვიათებულ ჰაერში და თანაც ნაშუადღევს, თაკარა მზეში იმართება, რასაც ეკვადორიელები შეჩვეულნი არიან, ხოლო დასიცხული მეტოქენი ამ ჯოჯოხეთიდან დროზე გაღწევაზე ოცნებობენ.

მოკლედ, იყო ხალხი მშვიდად და ფიქრობდა, წავალთ სტადიონზე, ბრაზილიას ვნახავთ, კლიმატის გათვალისწინებით, ეგებ ქულასაც გამოვკრათ ხელიო. თუმცა ამის იმედი ნაკლებად ჰქონდათ — ბოლოს და ბოლოს ბრაზილიაა!

ამ დროს წამოყო თავი ზემოთ ნახსენებმა პატიოსანმა კაცმა და აღრე არ იყო, რა მაინტერესებს, დღეს უეჭველად მოვიგებთო. ააფორიაქა ხალხი.

აბა, ჭკვიანი მწვრთნელი ამას იზამდა? ეთქვა, ხომ იცით, ხალხო, ბრაზილიას მსოფლიოში ვერავინ ამარცხებს და მეც ნუ მომთხოვთო. ვინმე შეეკამათებოდა თუ რა. უფრო ჭკვიანური კი ის იქნებოდა, სულაც არაფერი ეთქვა, საწვრთნელი ბაზის ჭიშკარი შთაგონებული სახით შეეღო. მეტი პატივი დაედებოდა, იტყოდნენ, დახეთ, ნაკრების ბედ-იღბალი როგორ აწუხებსო. ამან კიდევ შემოიკრიბა ჟურნალისტები და მოაღო პირი...

ეს კიდევ არაფერი, ფეხბურთელებს, იმის ნაცვლად, რომ ჩაკეტილ კარს მიღმა ჭკვიანურად დაერიგებინა, თავისუფლება მიანიჭა და ფეხბურთელებმაც მწვრთნელის წაბაძვით ბაქიაობა დაიწყეს, ბრაზილიას შავ დღეს დავაყრითო. მართლა ასე იყო, თუ არ გჯერათ, გუშინდელ „სარბიელში" მატჩისწინა ანონსი წაიკითხეთ.

და უცნაური იცით, რა არის? ასეთ წინდაუხედავ ხალხს ხანდახან უმართლებს. რატომღაც ალექს აგინაგამ, ივან კავიედესმა, ედისონ მენდესმა და აგუსტინ დელგადომ ბრაზილიელთა საჯარიმო აატალახეს (ეს ისე, გამოთქმაა, თორემ სად იყო ტალახი), ხოლო დელგადომ რატომღაც გოლიც გაიტანა. და უფრო უცნაური ისაა, რომ ეკვადორელებს ბრაზილიელთა დანახვაზე მუხლები არ აჰკანკალებიათ. მეკარე ხოსე სევალიოსმა ხომ სულ მთლად გაიგიჟა თავი და რომარიოს და სხვებს არ გაატანინა. კიდევ იცით, რა იყო უცნაური? თამაშამდე სამი დღით ადრე რივალდოს მწვრთნელთან არ უჩხუბია და ნაკრებიდან არ გაუგდიათ, არც რომარიო დამტვრეულა 21-ე წუთზე — ორივენი შემადგენლობაში იყვნენ და ვერ გაიტანეს, უფრო სწორად კი ეკვადორელთა რატომღაც კარგად ორგანიზებულ დაცვას ვერაფერი მოუხერხეს.

მატჩის შემდეგ ერნან დარიო გომესს ყოყლოჩინობა არ დაუწყია, მოკრძალებით თქვა, ისეთი ბედნიერი ვარ, არ ვიცი, ვიცინო თუ ვიტიროო; აბა, ეს ჭკვიანური საქციელია? ჭკვიანი კაცი მატჩის წინ დინჯად ივლიდა (შთაგონებული იერით), ხოლო მოგების შემთხვევაში (გინდა ბრაზილიასთან და გინდა ვენესუელასთან) მთელი თვე სალაპარაკო ექნებოდა.

ბრაზილიელთა მწვრთნელი ემერსონ ლეაოც უნდა შევარცხვინოთ. წაგებული მატჩის შემდეგ თავის მართლებას რა უნდა? იტყვი, რომ ძალიან ცხელოდა, ფეხბურთელებს ჟანგბადის ბალიშები სჭირდებოდათ, ორი თვით ადრე იმ სტადიონზე ბალახის ჰოკეისტებს უთამაშიათ, ბრაზილიას ტრადიციულად მეკარე არ უვარგა, მოულოდნელად დაიმტვრა რონალდო და ასე შემდეგ. დიდი მოუხერხებელი კაცი ყოფილა ეგ მართლა ლეაო, ერთი გასამართლებელი საბუთი როგორ ვერ მოიფიქრა. ჰო, მთავარი არგუმენტი დამავიწყდა, რომელიც ქვას ხეთქავს — პირველი გოლის ფაქტორი. რომ ეთქვა, აი, 49-ე წუთზე დელგადოს რომ არ გაეტანა, თავზე დავაჯდებოდით და მოვიგებდით, მაგრამ ხომ იცით, პირველი გოლის გაშვება რასაც ნიშნავსო, ველარაფერს ეტყოდნენ.

ეს რაა, მატჩის ბრაზილიელმა კომენტატორმა თანამემამულეებზე თქვა, ფალარათიანებივით დარბოდნენო. და რა გგონიათ, ლეაომ პასუხი გასცა? არაფერიც, ხმა არ ამოუღია.

წახდა ხალხი სამხრეთ ამერიკაში.

### არგენტინა 5:0 ვენესუელა

1:0 კრესპო (13), 2:0 სორინი (31), 3:0 ვერონი (51), 4:0 გალიარდო (60), 5:0 სამუელი (85)
არგენტინა: ბურგოსი, ვივასი, პოჩეტინო, სამუელი, სორინი (ძანეტი 61), სიმეონე, ვერონი, კილი გონსალესი, ორტეგა (გუსტავო ლოპესი 70), გალიარდო (კლაუდიო ლოპესი 76), კრესპო
ვენესუელა: დუდამელი, ალვარადო, რეი, ვალენილია (რ. პერესი 86), დე ორნელასი (ჟ. პერესი 51), ურდანეტა, ს. ვერა, ლ. ვერა, როხასი (მარტინესი 65), ნორიეგა, პაესი
32 000 მაყურებელი

**ამ მატჩის** სცენარი თავიდანვე ცნობილი იყო. გასარკვევი მხოლოდ ვენესუელთა კარში შეგდებული გოლების რაოდენობა რჩებოდა — ოთხი, ხუთი, ექვსი... არგენტინელები ხუთზე გაჩერდნენ. ბოლოს და ბოლოს ვენესუელას ეთამაშებოდნენ, ბრაზილიას ხომ არა, და ერთი ამდენი კიდევ რომ გაეტანათ, დიდ დამსახურებად მაინც არავინ ჩაუთვლიდათ.

უფრო საინტერესო ის გახლდათ, რომ დიეგო სიმეონემ ასი სანაკრებო მატჩი დააგროვა, რამდენიც არც ერთ სხვა არგენტინელს არა აქვს მარაგში. ისიც დავუმატოთ, რომ სიმეონე იმ დღეს 31 წლისა გახდა და მარსელო ბიელსამ საჩუქრად კაპიტნის სამკლაური უძღვნა.

### ურუგვაი 0:1 პარაგვაი

0:1 ალვარენგა (64)
ურუგვაი: კარინი, ვარელა, სორონდო, როდრიგესი, მონტერო, დე ლოს სანტოსი, ფლურენი (ონილი 69), ოლივერა, გიგუ (პანდიანი 49), დარიო სილვა (ზალაიეტა 76), რეკობა
პარაგვაი: ჩილავერტი, აიალა, გამარა, სარაბია, კინტანა (ალვარენგა 46), სტრუვაი, პარედესი, აკუნია, კანისა, კასერესი (კუევასი 83), ს. კარდოზო
60 000 მაყურებელი

**პარაგვაიმ** სტუმრად დასცა მეტოქე და სირცხვილნაჭამ ბრაზილიას მეორე ადგილი ჩამოართვა. ეს ურუგვაელთა პირველი მატჩი იყო ახალი მწვრთნელის, ვიქტორ პუას თავკაცობით, მაგრამ დანიელ პასარელას მემკვიდრის შეგირდები ვერას გახდნენ — მათ შექმნილ პირველ რეალურად სახიფათო მომენტს მატჩის დასაწყისთან 43 წუთი აშორებდა.

მეორე ტაიმში მასპინძლები თითქოს გამოცოცხლდნენ, მაგრამ გოლი სტუმრებმა გაიტანეს. ჰოდა, პირველი გოლის ფაქტორი...

ერთი საინტერესო ამბავი ამ შეხვედრაშიც მოხდა — მას ევროპელი არბიტრი ხოსე გარსია არანდა სჯიდა. გვარიანადაც გაიტანჯა ესპანელი — ევროპულ ფეხბურთში ბევრად უფრო კორექტულ ფეხბურთს თამაშობენ.

**გიორგი დარჯანია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 11 | 9 | 1 | 1 | 27:8 | 28 |
| პარაგვაი | 11 | 7 | 2 | 2 | 19:9 | 23 |
| ბრაზილია | 11 | 6 | 2 | 3 | 21:10 | 20 |
| ეკვადორი | 11 | 6 | 1 | 4 | 13:14 | 19 |
| კოლუმბია | 11 | 5 | 3 | 3 | 10:7 | 18 |
| ურუგვაი | 11 | 4 | 3 | 4 | 12:8 | 15 |
| პერუ | 11 | 3 | 2 | 6 | 10:14 | 11 |
| ჩილე | 11 | 3 | 1 | 7 | 12:16 | 10 |
| ბოლივია | 11 | 2 | 3 | 6 | 5:16 | 9 |
| ვენესუელა | 11 | 1 | 0 | 10 | 6:33 | 3 |


სულელები: ერნან დარიო გომესი და ივან კავიედესი

## ამხანაგური მატჩი

### ესპანეთი 2:1 საფრანგეთი

1:0 ელგერა (40), 2:0 მორიენტესი (49), 2:1 ტრეზეგე (85)
ესპანეთი: კანისარესი, მანუელ პაბლო, იერო, ნადალი, სერხი, გვარდიოლა, ელგერა (ბარახა 63), მუნიტისი (ვისენტე 72), მენდიეტა (ხ. ეჩებერია 89), რაული, მორიენტესი (ხავი მორენო 83)
საფრანგეთი: ლეტიზი, კარამბე, დესაი, სილვესტრი, ლიზარაზუ, მაკელელე (პირესი 57), ვიეირა (ტრეზეგე 77), პეტი, ზიდანი (მიკუ 62), დიუგარი, ანრი
მსაჯი: მიხაელ ფროილიხი (გერმანია)
42 000 მაყურებელი

**გუშინ** ვალენსიის „მესტალიის" სტადიონზე შეკრებილმა გულშემატკივარმა მშვენიერი საფეხბურთო სანახაობა იხილა. საფრანგეთისა და ესპანეთის ეროვნულმა ნაკრებებმა ლაღი, ტექნიკური თამაშით მაყურებელი 90 წუთის განმავლობაში დიდად ასიამოვნეს. ორივე გუნდმა თავიდანვე შეუტია და თამაშს სიმძაფრე საფინალო სასტვენამდე არ მოჰკლებია.

2000 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა, ზინედინ ზიდანმა მე-5 წუთზევე ტიერი ანრი გამოზომილი პასით ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა, მაგრამ თავდამსხმელის დარტყმული ბურთი ესპანელთა კარის დარაჯმა სანტიაგო კანისარესმა ფეხით მოიგერია. კანისარესს ფრანგმა კოლეგამ, ლიონელ ლეტიზიმაც უმალვე მხარი აუბა და მორიენტესის მიერ დარტყმული სასწაულებრივად უკუაგდო.

მოწინაამდეგეები საგოლე მომენტს ხშირად ქმნიდნენ, მაგრამ ხან მეკარეთა ოსტატობის, ხანაც უიღბლობის გამო გოლი ვერ გაჰქონდათ.

ასე გაგრძელდა პირველი ტაიმის მიწურულამდე.

მერე კი გაისკა მენდიეტას მარჯვენა ფრთიდან მაღალ ჩაწოდებულს ივან ელგერა მომზადებული დაუხვდა და თავურით ლეტიზი უშანსოდ დატოვა. მეორე გოლი რაული-მორენტიესი-ელგერა-მორიენტესის ოსტატურ კომბინაციას მოჰყვა. ფრანგი მცველები ვერას გახდნენ, ლეტიზიმ მეორეჯერაც გამოიტანა კარიდან ბურთი. ამის შემდეგაც ორივე გუნდმა გვარიანად დასაქმა მოწინაალმდეგეთა მეკარეები, მაგრამ ბურთი მხოლოდ ერთხელ აღმოჩნდა თავდამსხმელთათვის სასურველ ალაგას. ფრანგებმა ეს მატჩის მიწურულს შეძლეს. „იუვენტუსის" თავდამსხმელმა დავიდ ტრეზეგემ ესპანელი მცველები ხელოვნური თამაშგარეს შექმნის მცდელობისას შეცდომაზე დაიჭირა და იკერ კანისარესს ახლო მანძილიდან გაუტანა.

მატჩი ესპანელთა გამარჯვებით დასრულდა. გაიხარეს მასპინძლებმა. ხუმრობა საქმე არაა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებთან ღირსეულად ბრძოლა და გამარჯვება. თანაც გავიხსენოთ, რომ პირინელეებს მეზობელი „მამლებისთვის" აგერ უკვე ოც წელზე მეტია, არ მოუგიათ.

**გიორგი გამარდაშვილი**


REUTERS

ესპანელმა ფერნანდო იერომ (№6) ზინედინ ზიდანიწელში გაწყვიტა

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## კონკაკაფი

### ფინალური ჯგუფი. II ტური

### კოსტა რიკა 3:0 ტრინიდადი

1:0 ბრისი (46), 2:0, 3:0 ვანჩოპე (81, 89)
კოსტა რიკა: ლონისი, დრუმონდი, პარკსი, მარტინესი, უოლესი, კასტრო, კორდერო, ბრისი (სოლისი 76), ლოპესი, მედფორდი (ვანჩოპე 60), ფონსეკა (სუმსინგი 71)
ტრინიდადი და ტობაგო: ჰისლოპი, მარვინ ენდრიუსი, კოქსი, კერინგტონი (რაპიმი 64), მაუგე, მარვინ ენდრიუსი, ევი ლატაპი (უილსი 79), რუგიერი, პიერი (სტერნი 64), იორკი
18 000 მაყურებელი

### აშშ 2:1 ჰონდურასი

1:0 სტიუარტი (33), 1:1 დე ლეონი (60), 2:1 მეტისი (87)
აშშ: ფრიდელი, რეგისი, აგოსი, ლამოსა, ჩერნუნდოლო, სტიუარტი, მეტისი, არმასი, სანე ვოლფი (ალბრაითი 68), რაზოვი (ჯონსი 71)
ჰონდურასი: ვალადარესი, გერერო, კაბალიერო, მედინა, რეიესი, პინედა (სუაზო 78), კლავასკინი (დე ლეონი 46), სანტა მარია (მარტინესი 46), გევარა, ნუნიესი, პავონი
გაძევება: ჯონსი (89)
45 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| კოსტა რიკა | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 4 |
| მექსიკა | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| იამაიკა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:4 | 3 |
| ჰონდურასი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| ტრინიდადი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# ნადეჟდა დვალიშვილი: ჩემს წარსულზე უარს არ ვიტყოდი


სარბიელის არქივიდან

**ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილი**

*დაიბადა 1933 წლის 24 ივნისს ბაქოში. სპორტის დამსახურებული ოსტატი მძლეოსნობაში. დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი. ჰელსინკისა და მელბურნის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი 200 მეტრზე რბენასა და სიგრძეზე ხტომაში. სტუდენტთა სპორტული თამაშების (1951წ. ბერლინი) ბრინჯაოს პრიზიორი სიგრძეზე ხტომაში. ახალგაზრდობის IV საერთაშორისო სპორტული ფესტივალის (1951წ. ბუქარესტი) მეორე პრიზიორი 100 და 200 მეტრზე რბენასა და 4×200 მეტრზე ესტაფეტაში. მსოფლიოს ოთხი რეკორდის ავტორი. 1954 წელს თბილისში სიგრძეზე ხტომაში გამეორებული მსოფლიოს რეკორდი დღემდე საქართველოს რეკორდია. მწვრთნელი — ბორის ტახტაროვი. ჰყავს ორი შვილი და ხუთი შვილიშვილი.*

ფანჯარა გამოელო და მელოდა. სევდიანად გასცქეროდა ვაკის პარკის მთაგორაკებს. ეტყობოდა, ფიქრებით სადღაც შორს წასულიყო. ვინ იცის, იქნებ მძლეოსნურ ბილიკებზე გარდახდენილი ბრძოლები და გამარჯვებები ახსენდებოდა, მით უმეტეს, რომ იცოდა, სწორედ ამ თემაზე სასაუბროდ უნდა ვწვეოდი.

ისეთი ცხოვრება დატრიალდა, აღარც კი მჯერა, თუ მართლაც მქონდა ის წარსული, როცა ქარივით დავქროდი და მედლებს ერთი-მეორის მიყოლებით ვისაკუთრებდი. წარსული რაღაც ლამაზი სიზმარი მგონია, ახლა კი აღარ ვიცი, რა ვქნა, რომელ გზას დავადგეო, მითხრა ქალბატონმა ნადეჟდა დვალიშვილმა, რომელიც 50-იან წლებში მძლეოსნურ ბილიკებზე თავის სახელს ამართლებდა.

ჩვენი დღევანდელი წერილის გმირთან შინ მისულმა თვალი მოვავლე მის ოთახებს. მეგონა, სადმე გამოსაჩენ ადგილზე დავინახავდი ჰელსინკისა და მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე მოპოვებულ ბრინჯაოს მედლებს თუ სხვა შეჯიბრებებზე დასაკუთრებულ „ოქრო-ვერცხლს", მაგრამ ლამის ყველგან წიგნებით გამოტენილი თაროები იყო.

— წიგნები ჩვენი ოჯახის სიმდიდრეა — მეუბნება ქალბატონ ნადეჟდას შვილი ნინო დვალიშვილი — სხვათა შორის, დედა სადაც კი სწავლობდა, ყველგან წარჩინებული მოსწავლე იყო. თბილისის ქალთა მე-11 საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა. მერე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის ასევე ფრიადოსანი სტუდენტი იყო, მაგრამ მეოთხე კურსზე მიატოვა და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში განაგრძო სწავლა ისიც წითელ დიპლომზე დაამთავრა.

— მაშინ, უნივერსიტეტში სწავლისას მთელი წელიწადი გამიცდა, რაჯგან სულ შეჯიბრებებზე და შეკრებებზე ვიყავი. ცხადია, ჩამოვრჩი, ეს კი არ მინდოდა. ამიტომ ფიზკულტურის ინსტიტუტში განვაგრძე სწავლა — აგვიხსნა ნინოს დედამ.

**— მაგრამ მედლები?**

— უჰ, რა დროს მედლებია, — ამოიოხრა ერთ დროს მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა მძლეოსანმა, შვილმა კი განაგრძო, დედას თავისი ჯილდოები არასოდეს გამოუმზეურებიაო.

— ეს შენ არ გახსოვს, შვილო, თორემ სულ პატარა იყავი, როცა ერთი ხანობა მეც სხვებივით სერვანდში მქონდა გამოფენილი, მერე კი ავხვეტე და შევინახე...

აქ ჩვენი ისედაც ნაღვლიანი მასპინძელი უფრო დასევდიანდა და მწარე ღიმილით გვითხრა: „მყიდველი რომ გამოჩნდებოდეს, ჩემს მედლებს შვილებისა და შვილიშვილების შესანარჩუნებლად და გამოსაკვებად გავყიდდი. ჩემი ანზორიც, იცით, რომ გარდამეცვალა. ქმარზე გეუბნებით, ჩემი ქალიშვილი კი მეუღლემ მიატოვა და უმუშევარია. მე შრომის უნარი დავკარგე და თვალშიც ველარ ვიხედები. ხუთი შვილიშვილი გასაზრდელი მყავს, მათგან სამნი აქ, ჩემთან ცხოვრობენ. უფროსი თხუთმეტისაა, უმცროსი — ცხრისა... ეჰ, რას ვიფიქრებდი, რომ ასეთი ცხოვრება დაგვიდგებოდა?

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წყალობით ოლიმპიურ პენსიას ვიღებ, სპორტის დეპარტამენტიდან ასეთ ზრუნვას მოკლებული ვიყავი, ახლა კი ორი თვის პენსია, 70 ლარი მივიღე.

ერთი სიტყვით, ისე ვცხოვრობ, როგორც ცასა და დედამიწას შორის გამოკიდებული".

— ყველაფრის თავიდან დაწყება რომ შეიძლებოდეს, რას ვიზამდი? — სიცილით გვიბრუნებს კითხვას და გვეუბნება, უარს არ ვიტყოდი ჩემს წარსულზე, ისევ ვივლიდი სტადიონზე. ისევ ვივარჯიშებდი და ისევ გამოვიდოდი შეჯიბრებებზე, მაგრამ, ალბათ, ცოტა სხვა გაგებით მოვეკიდებოდი საქმესო.

**— ხშირად იხსენებთ წარსულს?**

— ახალგაზრდობის წლებს, აბა, ვინ არ იხსენებს, მით უმეტეს წარმატებებს. როცა იმ წლებს ვიხსენებ, თითქოს ცხოვრებაც მიიოლდება.

**— მაინც, ყველაზე ლამაზ მოგონებად რომელი შეჯიბრება დაგრჩათ?**

— ალბათ ისევ და ისევ ოლიმპიური თამაშები, ჰელსინკისაც და მელბურნისაც, სადაც ბრინჯაოს მედლები მოვიპოვე ერთგან 200 მეტრზე რბენაში, მეორეგან სიგრძეზე ხტომაში. აქედან ჰელსინკიში გამოსვლა ალბათ უფრო სასიამოვნო გასახსენებელია. ძალიან კარგ სპორტულ ფორმაში მყოფი იქ ოქროს მედლის მოპოვებასთან სულ ახლოს ვიყავი. გარბენში პირველი ვიყავი და თანაც ოლიმპიური რეკორდი დავამყარე (24,3); უკეთესი შედეგით (24,1) ასევე პირველი ვიყავი ნახევარფინალში, მაგრამ გადამწყვეტ გარბენში ავსტრალიელმა ჯექსონმა იმარჯვა (23,7), ვერცხლი — ნიდერლანდელმა ბრაუვერმა მოიპოვა (24,2), მე კი შედეგი გავაუარესე (24,2) და მესამე ადგილზე გავედი. მე ფინალში ძალა აღარ მყო. თითქმის სრულიად გამოუცდელი ვიყავი. ეს იყო ჩემი პირველი დიდი შეჯიბრება. მაშინ, თუ არ ჩავთვლით რუმინეთში 1951 წელს ასპარეზობას, ჰელსინკის ოლიმპიური თამაშები ჩემი პირველი შეჯიბრება იყო უცხოეთში. იქ პირველად ვნახე, როგორც იტყვიან, ცოცხალი ამერიკელები და სხვებიც. ამიტომ ჰელსინკში ყველაფერი უჩვეულოდ და ძალზე საინტერესოდ მეჩვენა — თავად ოლიმპიური თამაშებიც, ქალაქიც და მისი სტუმრებიც. აი, ამიტომაცაა, რომ ჰელსინკის ასე ტკბილად ვიხსენებ.

**— მაგრამ რუმინეთში ხომ მაინც თქვენი პირველი შეჯიბრება იყო საზღვარგარეთ?**

— კი, მაგრამ მასშტაბები იყო სხვადასხვა. რუმინეთში იქაურ მძლეოსნებთან საბჭოთა ნაკრების წევრებს ერთობლივი წვრთნა გვქონდა, მერე კი ღია პირველობაც გაიმართა. იქ სამ სახეობაში 100, 200 მეტრზე რბენაში და 4×200 მეტრზე ესტაფეტაში გამოვედი და სამივეგან გავიმარჯვე. 100 მეტრზე რბენაში საკავშირო რეკორდი დავამყარე, ესტაფეტაში კი მსოფლიოს რეკორდის თანაავტორიც გავხდი.

**— მსოფლიოს რეკორდები თქვენ მერეც დაამყარეთ.**

— ასეთი შედეგები თანაგუნდელებთან ერთად 4×100 და 4×200 მეტრზე ესტაფეტებში ვაჩვენე. მაშინ, ბუქარესტში ახალგაზრდობის IV საერთაშორისო ფესტივალზე გამოვდიოდი. იმ წლებში ეს ასპარეზობა ძალზე პოპულარული იყო. ამას ხელს ისიც უწყობდა, რომ იმ დროს ევროპის ჩემპიონატები, ოლიმპიური თამაშებივით, მხოლოდ ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდებოდა, მსოფლიოს ჩემპიონატებს კი მხოლოდ 1983 წელს ჩაეყარა საფუძველი. მაშინ ბუქარესტში 100 და 200 მეტრზე რბენაში ვერცხლის მედლები მოვიპოვე, 4×200 მეტრზე კი ჩემპიონიც გავხდი და თანაგუნდელებთან ერთად მსოფლიოს რეკორდიც დავამყარე.

**— ერთი მსოფლიოს რეკორდი თბილისშიც ხომ დაამყარეთ?**

— დიახ, იყო ასეთი შემთხვევა. უფრო სწორედ, მაშინ, 1953 წელს, რეკორდი გავიმეორე, ოღონდ სიგრძეზე ხტომაში. 6 მეტრსა და 25 სანტიმეტრზე გადავხტი. იმ წლებში ერთი კარგი ტრადიცია იყო. მძლეოსანთა გარბენები ფეხბურთელთა მატჩების დაწყებამდე და შესვენებაზეც ეწყობოდა. ამიტომ გადაჭედილი ტრიბუნების წინ გვიხდებოდა გამოსვლა და გულშემატკივრები მძლეოსნებსაც ისევე კარგად გვიცნობდნენ, როგორც ფეხბურთელებს. ასეთი გარბენები ხშირად საგანგებოდ რეკორდის დასამხობად ტარდებოდა. მაშინაც, მგონი, ამგვარი რეკორდების დღე იყო და გამიმართლა...

აქ საუბარში ისევ შვილი ერთვება და იხსენებს:

— დედაჩემის მიერ იმ მსოფლიოს რეკორდის გამეორება ამ დღეებშიც გაიხსენეს, როცა მძლეოსანთა პირველობა ჩატარდა. მათგან ვინ იცის, უკვე მერამდენედ მოვისმინე, დედაშენმა მაშინ ასე და ასე იასპარეზაო. რამდენჯერაც არ უნდა მიამბონ ეს ამბავი, არ მწყინდება და, რა თქმა უნდა, მეამაყება. მით უმეტეს, რომ ის შედეგი საქართველოში დღემდე ვერავინ არა თუ გააუმჯობესა, ვერც მიუახლოვდა. ასე რომ, დედაჩემმა დრო გააჩერა.

— ისე, მართლაც საინტერესოდ მოხდა მსოფლიოს რეკორდის გამეორება, — იხსენებს ქალბატონი ნადეჟდა — თავსხმა წვიმა იყო. წიდიანი ბილიკი მთლად აიზილა. ჩემმა ქმარმა, თავადაც მძლეოსანმა, კანისტრებით ბენზინი მოიტანა, მოასხა და ცეცხლი წაუკიდა, რომ ბილიკი გაეშრო. ავდრის მიუხედავად, გულშემატკივრები ფეხს არ იცვლიდნენ. ჩემი ნახტომის მერე ამტყდარი ტაშის გრიალი ახლაც ჩამესმის.

სხვათა შორის, იმ დღეს ერთი ცდა უკეთესიც გამომივიდა, მაგრამ მთავარმა მსაჯმა ვალიკო გიორგაძემ უყურა, უყურა ასარეკნ ზოლს. ხან აქედან დახედა, ხან იქიდან გამოხედა და ბოლოს დაასკვნა, არაო.

**— რა არაო?**

— ასარეკნ ზოლზე აქა და აქ ოდნავ ფეხი დაგიდგამს და შედეგი არ გეთვლებაო.

**— მაინც, რამდენზე გადახტით?**

— რაკი ფეხი დამიდგამს, აღარც გაუზომიათ, თუმცა, აშკარად ჩათვლილზე გრძელი ნახტომი გამომივიდა.

საერთოდ, ის წელიწადიც ჩემთვის ბედნიერი იყო. როგორც ზემოთ გავიხსენე, მსოფლიოს რეკორდი მაშინ ბუქარესტშიც დავამყარე. 100 და 200 მეტრზე რბენაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მოპოვებულ ორ ოქროს მედალს იმავე სახეობებში იმდენივე მივუმატე.

პირველი ორი მედლის მოპოვებისას ხნიკინა ვიყავი. მეორე წყვილის მიმატებისას კი დვალიშვილი, რადგან სწორედ მაშინ გავთხოვდი ანზორ დვალიშვილზე, რომელიც სიმაღლეზე მხტომელი იყო. სტადიონზე გავიცანი...

**— თქვენ ბაქოში დაიბადეთ...**

— დიახ, მაგრამ მერე მამაჩემი თბილისში, ავტოსარემონტო ქარხანაში მოავლინეს სამუშაოდ. ეს ქარხანა ნაძალადევის რაიონში იყო და სახელად ერქვა ასე, თორემ სინამდვილეში დახურული და გასამხედროებული ქარხანა იყო. იქ მანქანებს კი არა, ტანკებს არემონტებდნენ. 1947 წელს თბილისში დედაც ჩამოვიდა. იქვე, ნაძალადევის მე-11 საშუალო სკოლაში მიმაბარეს. ერთ მშვენიერ დღეს, ჩვენი სკოლა მძლეოსნობაში რაიონული პირველობისთვის რომ ემზადებოდა, ფიზკულტურის მასწავლებელმა გიორგი ჭილაძემ შემამჩნია, რომ ყველაზე სწრაფად დავრბოდი და სიგრძე-სიმაღლეში ხტომაშიც ვერავინ მჯობნიდა. ჰოდა, მასწავლებელმა მძლეოსანთა მწვრთნელს, ბორის ტახტაროვს უთხრა, ერთი მოსწავლე მყავს, ყველაფერი კარგად გამოსდის და მიხედეო. მერე ყველაფერი სწრაფად და კარგად წამივიდა...

ეს რომ გვიამბო ხნიკინა-დვალიშვილმა, ბოლოს სიცილით დასძინა, ეტყობა, ნიჭი მაინც თავისი შვრებაო.

მართლაც, ნიჭის წყალობაც იყო, რომ ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე, 15 წლის გოგონა ნადეჟდა ხნიკინამ ორწლიანი ვარჯიშის მერე, 1949 წელს საბჭოთა კავშირის რეკორდი დაამყარა სიგრძეზე ხტომაში (5,88). იმ დროს ნადეჟდა ხნიკინა მთელს საბჭოთა კავშირი მძლეოსანთა შორის ყველაზე ახალგაზრდა სპორტის ოსტატის წოდების მფლობელი გახდა.

მას მერე ნადეჟდა ხნიკინას სახელი ძალზე პოპულარული გახდა. მასზე ბევრს წერდნენ გაზეთები. თუმცა მისი სახელი არც მერე მოშორებია ჟურნალ-გაზეთებს, ტელევიზიას თუ რადიოს. საქმე ის იყო, რომ ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილი მეუღლესთან ერთად ბამზე წავიდა სამუშაოდ. იქ მთელი ათეული წელიწადი ისე იმუშავეს, რომ ქვეყანა აალაპარაკეს. ქალბატონი ნადეჟდა სკოლის დირექტორად მუშაობდა, მისი მეუღლე კი მშენებლობის უფროსი იყო. ნია გრუზინსკაიაზე მანვე ააშენა მთელს ბამზე პირველი სპორტული დარბაზი. ვეება სარბიელი გამოვიდა და იქ ვინლა არ ვარჯიშობდა. ნადეჟდა დვალიშვილი პარალელურად მძლეოსნებსაც ავარჯიშებდა. იქ, ცხადია, სხვა ქართველებიც მუშაობდნენ და მათი შვილებიც იქვე იზრდებოდნენ. ერთ-ერთი მათგანი, ვანო ჯაშიაშვილი დვალიშვილის აშენებულ დარბაზში ისე დაოსტატდა ძალოსნობაში, რომ მთელს ბამზე პირველი სპორტის ოსტატი გახდა. საქართველოში დაბრუნებული ნადეჟდა დვალიშვილი მთლიანად მძლეოსნობას დაუბრუნდა. აღზარდა საკავშირო პირველობათა პრიზიორები, მერე კი საორგანიზაციო სამუშაოზე გადავიდა.

**— არაერთი ჩვენი ვეტერანი სპორტსმენი ამბობს, საკავშირო ნაკრებში მოსახვედრად, მისი ხელმძღვანელობისგან მრავალი დაბრკოლების გადალახვა მიხდებოდაო. თქვენც ხომ არ აწყდებოდით ასეთ წინააღმდეგობებს?**

— ამას ნამდვილად ვერ ვიტყვი. იმდენად ძლიერი ვიყავი, რომ ჩემთვის ხელის შეშლა შეუძლებელი იყო. თუმცა, 1949 წელს, როცა სიგრძეზე ხტომაში საკავშირო რეკორდი დავამყარე, 1951 წლამდე ნაკრებში მაინც არ მიწვევდნენ. იქნებ იმიტომ, რომ მაშინ უფროსებთან სკოლის მოსწავლეთა გაჯიბრებას ერიდებოდნენ, ან შესაძლოა სკოლიდან მოწყვეტა არ უნდოდათ. ან იქნებ იმ დროს პერიფერიებს სათანადო ყურადღებას არ თუ ვერ აქცევდნენ და ნაკრებში ისევ მოსკოველთა და ლენინგრადელთა მიწვევა ერჩივნათ...

***

**ჩვენს** საუბარს გასუსულნი ყურს უგდებდნენ ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილის შვილიშვილები. მათგან უმცროსს, 9 წლის ლიკა ლობჟანიძეს, როგორც დედამისმა მითხრა, მწვრთნელები თურმე პერსპექტიულ მძლეოსნად მიიჩნევენ.

ამბობენ, სახელგანთქმული ბებიასავით კარგი მორბენალი დადგებაო, თავად ბებია კი ამბობს, ამაზე საუბარი ჯერ ადრეა, მაგრამ მთავარია, რომ ბავშვს უყვარს მძლეოსნობა და ხალისით ვარჯიშობსო.

იმ დღეს შვილიშვილებზე საუბარმა და მოგონებებმა ნადეჟდა დვალიშვილი ცოტა გაახალისა. ალბათ, ამ წერილითაც უფრო გახალისდება.

არადა, როცა დავურეკე და ვუთხარი, თქვენზე დაწერას ვაპირებ-მეთქი, ნაღვლიანად მითხრა, ნეტა ჩემი თავი რამ გაგახსენათ, ან ვის რაში აინტერესებს ჩემზე წერილის კითხვაო.

აინტერესებთ! თანაც მოგონებები, ალბათ, ვეტერან გულშემატკივრებსაც ცოტას გაახალისებთ, ახალგაზრდობა კი გაიცნობს „სპორტის დედოფლის" ერთ-ერთ დედოფალს — ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილს.

**ავთანდილ გურასაშვილი**


სარბიელის არქივიდან

ნადეჟდა დვალიშვილი თბილისის „დინამოს" სტადიონზე


ავთანდილ გურასაშვილის ფოტო

ნადეჟდა დვალიშვილი ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებთან, რაფიელ ჩიმიშკიანთან (მარცხნივ) და დავით ციმაკურიძესთან ერთად

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# დენვერმა ჰოსპიტლის გუნდთან წააგო


REUTERS

სიეტლი — მინესოტა. სიეტლელმა დესმონდ მეისონმა კევინ გარნეტის „მინესოტას“ ჩაუტენა

28 მარტი

**ნიუ ჯერსი 99:96 დენვერი**

**ნიუ ჯერსი: ოვერტონი (17), ჰარისი (21 ქულა, 12 მოხსნა), ნიუმენი (12), ვან ჰორნი (25), ემმეიერი (6); ვილიამსი (8), სტრიკლენდი (8), ჯეკსონი (2)**

**დენვერი: ჰეკი (10 ქულა, 15 პასი), ჩინი (4), პოუზი (4), მაკდაიესი (20 ქულა, 16 მოხსნა), ვილისი (15); ლაფრენცი (18 ქულა, 13 მოხსნა, 5 დაფარება), ლენარდი (11), ბოუენი (4), გოლდვაიერი (2)**

„ნიუ ჯერსის“ ქართველ ცენტრ ვლადიმერ სტეფანიას სეზონის დაისზე გამოუჩნდა მორიგი კონკურენტი მაშინ, როდესაც „ბადეთა“ კალათბურთელები მაღლებიც და დაბლებიც პანტაპუნტით იმტვრევიან. 30 წლის და 208-სანტიმეტრიანი თავდამსხმელ-ცენტრი მარკ სტრიკლენდი ამ რამდენიმე დღის წინ გააგდო „დენვერ ნაგითსმა“ და „ნიუ ჯერსიმ“ აიყვანა ათდღიანი კონტრაქტით. სტრიკლენდს ბევრი უმოგზაურია კლუბიდან კლუბში, ნბა-მდე ქვედა ლიგაშიც მოუსინჯავს ძალები, ბევრსაც დაუთხოვია და დიდი მიღწევებითაც ვერ დაიკვეხნის. ერთი კია, იგი ამ ოთხშაბათს „ნიუ ჯერსის“ იმ რვა კალათბურთელს შორის იყო, რომელთაც მოედანზე გასვლა ერგოთ. სტრიკლენდის ნიუჯერსული დებიუტი ყოფილ გუნდ „დენვერთან“ შედგა. მანაც ყოფილ თავისიანებს 14 წუთში რვა ქულა ჩაუგდო. სტეფანია კი იმ დღეს მოედანზე არ გასულა.

„ნიუ ჯერსის“ მამები იძულებულნი გახდნენ, მარკ სტრიკლენდი აეყვანათ, რადგან „ბადეებმა“ თუ ასეთი ტემპებით გააგრძელეს ტრავმების მიღება, სეზონის ბოლო თამაშისთვის სასტარტო ხუთეულსაც ველარ მოაგროვებენ. სხვა ხუთი თანაგუნდელის კვალს დაადგა თვით „ბადეთა“ ლიდერი, მატჩში საშუალოდ 23 ქულის მომგროვებელი, ოლსტარელი სტივენ მარბერი, რომელმაც წინა თამაშში ისეთი ტრავმა მიიღო, რომ მისთვის სეზონი დამთავრდა. 28 მარტს „დენვერთან“ თამაშისთვის „ნეთსის“ სათადარიგოთა სკამზე და მის უკან უფრო მეტი სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ნუიჯერსელი იჯდა, ვიდრე ფორმით მოსილი, რომელთაც თამაში შეეძლოთ.

და მაინც, ჰოსპიტალად ქცეულმა „ნიუ ჯერსიმ“ ძალ-ღონე მოიკრიფა და გულშემატკივრებს კიდევ ერთი გამარჯვება აჩუქა. „ნეთსი“ პლეი ოფში ვერ ხვდება და მისთვის სეზონს აზრი დაეკარგა, მაგრამ „ბადეებს“ იმ დღეს სულისკვეთება არ დაეწუნებოდათ. მათ ჯიგრით ითამაშეს და გაიმარჯვეს კიდეც.

ბევრი მიზეზი არსებობდა იმისა, რომ მასპინძლები დამარცხებულიყვნენ, თუნდაც 24:33 წაგებული პირველი მეოთხედი, თუმც მასპინძლებმა შეძლეს მატჩის ბედის შემობრუნება.

მეორე მეოთხედი „ნეთსისა“ იყო — 33:16, რის შემდეგაც ტაიმთა გასაყარზე რვა ქულით დაწინაურდა, თუმც მეორე ტაიმში უპირატესობა ვერ შეინარჩუნა. მთლიანობაში მეორე ნახევარს თანაბარი უფრო ეთქმის და დაძაბულმა თამაშმა არც დარბაზში შეკრებილ 18 ათას ქომაგს მისცა ჩათვლემის საშუალება. გამარჯვებულიც ბოლო წამებზე გამოირკვა. სტუმართა სათადარიგო ცენტრმა რიფ ლაფრენცმა მთელი თამაშის განმავლობაში აწვალა მასპინძელთა მაღლები, მაგრამ როცა „დენვერს“ ყველაზე უფრო სჭირდებოდა, მაშინ ვერ ივარგა, საფინალო სასტვენამდე 8,3 წამით ადრე, როცა ანგარიში 97:96 იყო, ორი საჯარიმო ააცილა. სამაგიეროდ, ჯონი ნიუმენმა ივარგა, წამნახევრის შემდეგ ორივე საჯარიმო სროლა გამოიყენა, 99:96 გახადა და ანგარიშსაც წერტილი დაუსვა.

**პორტლენდი 84:94 დალასი**

**პორტლენდი: საბონისი (19)**

**დალასი: ჰოვარდი (24), ფინლი (23), ნოვიცკი (19 ქულა, 14 მოხსნა)**

**ფილადელფია 95:96 ორლანდო**

**ფილადელფია: აივერსონი (37)**

**ორლანდო: მაკგრეიდი (44)**

**ლეიკერსი 84:108 საკრამენტო**

**ლეიკერსი: ონილი (33 ქულა, 11 მოხსნა)**

**საკრამენტო: ვებერი (25 ქულა, 12 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (22), თურქოღლუ (17)**

**სიეტლი 94:93 მინესოტა**

**სიეტლი: პეიტონი (23 ქულა, 11 პასი), იუინგი (19 ქულა, 10 მოხსნა), პატერსონი (19)**

**მინესოტა: გარნეტი (21), შჩერბიაკი (20), ბრენდონი (16 ქულა, 12 პასი)**

**ფინიქსი 103:94 კლივლენდი**

**ფინიქსი: კიდი (29 ქულა, 10 პასი), დელკი (22)**

**კლივლენდი: მილერი (22 ქულა, 11 პასი), ჰარპრინგი (19)**

ერთი დღის შემდეგ, რაც „ნიუ იორკი“ 124:117 დაამარცხა, „საკრამენტო კინგზმა“ გასვლაზე გაანადგურა ჩემპიონი „ლეიკერსი“, რითაც კიდევ ერთხელ ომახიანად განაცხადა, საშუალო გუნდი აღარა ვარ და ვაი, იმას, ვინც ასეთად ჩამთვლისო.

ლოს ანჯელესში კი გვარიანად შეშფოთდნენ, პლეი ოფის დაწყებამდე სამი კვირაღა რჩება და „ლეიკერსი“ შინ 24 ქულით აგებს. ერთნი ჩემპიონის ჩავარდნას კობი ბრაიანტის არყოფნას აბრალიან, მეორენი თამაშის სურვილის არქონას. უბრაიანტოდ, ცხადია, უჭირს „ლეიკერსს,“ თუმც არც იმის უთქმელობა იქნება, რომ ლოსანჯელესელები შარშან მეტ ჯიგარს დებდნენ თამაშში, საჩემპიონო ოქრომ კი მათი მებრძოლი სულისკვეთება ჩააცხრო.

„ლეიკერსი“ მხოლოდ პირველ მეოთხედში ირჯებოდა ჩემპიონურად, მერე კი მატჩის სადავეები კრის ვებერს, პრედრაგ სტოიაკოვიჩსა და მის შემცვლელ თურქ ახალბედას ჰიდაიეთ თურქოღლუს გადაულოცა. ამ უკანასკნელმა 17 ქულა ჩააგდო და კარიერის რეკორდი გაიმეორა.

„ლეიკერსის“ მარცხით თითქოს კარგად უნდა ესარგებლა მის მდევარს, დასავლეთში მეხუთეადგილოსან „პორტლენდს“, მაგრამ მანაც წააგო, თან მეექვსე ადგილზე მყოფ „დალასთან“ და „ლეიკერსის“ გადასწრების ნაცვლად „დალასს“ გაუთანაბრდა. წააგებდნენ პორტლენდელები, აბა, რა იქნებოდა, როცა მათ რიგებში ოდენ ლიტველი ცენტრი არვიდას საბონისი თუ თამაშობდა ჩვეულად, დანარჩენები ბევრ სროლას აფუჭებდნენ. სულ „პორტლენდმა“ თამაშიდან სროლების 36 პროცენტი ჩააგდო, რაც „დალასისთვის“ საჩუქარი გახლდათ და აკი შეირგეს კიდეც ტეხასელებმა.

დასავლეთის მყარი მეათეადგილოსანი „სიეტლი“ გვარიანად კი ჩამორჩება მერვე ადგილზე მყოფ „მინესოტას“ და პლეი ოფში მოხვედრის არცთუ დიდი შანსი აქვს, მაგრამ „ზებგერითებს“ ის აძლევს იმედს, რომ მინესოტელ „მგლებს“ ცუდი კალენდარი აქვთ და დარჩენილ თამაშთა უმრავლესობაში ბობოლებს ხვდებიან. ამ ოთხშაბათს „სიეტლმა“ მოზრდილი ნაბიჯი გადადგა პლეი ოფისკენ, როცა შინ დასცა „მინესოტა“. „სიეტლის“ ბებერმა ცენტრმა პატრიკ იუინგმა, რომელსაც მთელი სეზონი აკრიტიკებდნენ, თამაში კი არა, ხეირიანად სირბილი აღარ შეუძლიაო, თავისიანთათვის კრიტიკულ სიტუაციაში ისახელა თავი და ახალგაზრდა და ვერცხლისწყალივით მოძრავ კევინ გარნეტთან ჭიდილში სეზონში სარეკორდო 19 ქულას მოუყარა თავი, თითქმის იმდენივეს, რამდენსაც გარნეტმა. იუინგს კარგად შეეშველა მასპინძელთა სათადარიგო მსროლელი რუბენ პატერსონი, რომელმაც შეხვედრის დამთავრებამდე 20 წამით ადრე, უკვე 94:93 ანგარიშზე, 15 სანტიმეტრით მაღალ გარნეტს დაუფარა და თავისიანები იხსნა წაგებისგან და პლეი ოფთან გამოთხოვებისგან.

აღმოსავლეთი დასავლეთზე ნაკლებ მღელვარებს, თუმც აქაც გვხვდება დაძაბული თამაშები. პლეი ოფის მოახლოებასთან ერთად „ლეიკერსის“ დარად „ფილადელფიამაც“ მოუკლო და 28 მარტს ისიც დამარცხდა, მხოლოდ ბრძოლაში. მისი მძლეველი „ორლანდოს“ ლიდერმა ტრეისი მაკგრეიდიმ კარიერაში სარეკორდო, 44 ქულა მიითვალა, გამარჯვების მომტანი ბურთიც მან ჩააგდო.

**ირაკლი ფირცხვილი**

## საპორტას თასი

ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები. 27-28 მარტი

*(ფრჩხილებში პირველი მატჩის შედეგია)*

**შალონი (საფრანგეთი) 66:63 პამესა (ესპანეთი) (72:69)**

**შალონი: გიფა (8), გულიაში (16), ჰეი, ჯეკსონი (9), ლი (10), ოსტროვსკი (9), ოუენსი (8), ტომიჩი (6), ვესპასიენი**

**პამესა: ალსტონი (14), ალვარესი (7), დიურამი, ჰოპკინსი (21), ლუენგო (4), მალუენდა, მილერა (8), როდილია (9)**

**მარუსი (საბერძნეთი) 93:81 უნიქსი (რუსეთი) (87:95)**

**მარუსი: ამაია (21), ევტიმოვი (12), ფალეკასი (5), კარაპლისი (4), ლოგოთეტისი (3), მარმარინოსი (4), მასლარინოსი (12), ნიკოლაიდისი (8), ოლივერი (19), ვურჯუმისი (5)**

**უნიქსი: გრაჩოვი, იუდინი (14), კორნევი (2), კუზნეცოვი (8), მიკსი (19), პაშუტინი (6), სამოილენკო (18), ვისბი (2), იაილო (12)**

*დახრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდები გავიდნენ ფინალში*

**ფინალი. 17 აპრილი. ვარშავა (პოლონეთი)**

**შალონი (საფრანგეთი) — მარუსი (საბერძნეთი)**

## კორაჩის თასი

ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები. 28 მარტი

*(ფრჩხილებში პირველი მატჩის შედეგია)*

**უნიკახა (ესპანეთი) 86:55 რიკო (ჰოლანდია) (59:46)**

**უნიკახა: აბრამსი (10), ხურადო (18), ტომინი (2), მილერი (6), მრშიჩი (11), ფილიპი (6), როდრიგესი (7), სონკო (15), ვასკესი (11), ვეისი**

**რიკო: ბენეში (5), ბოლდევაინი (3), ჰარისი (5), ლივერსტი, მაკგატრი (16), მიკალაიუნასი (2), როუვჰორსტი (4), სპინქსი (14), ვან ალტენი, ფრედსი (6)**

**ატლონი (ბელგია) 60:64 ჰემოფარმი (იუგოსლავია) (59:71)**

**ატლონი: გუდფინსონი (5), ვან დერ სლუისი (5), დიუპონი (12), ჰაგინსი (17), ბაერტი (1), მალბეკი (2), ჰიუგერი (14), ბიერეგაარდი, ვან ჰეკე (4), ვან დერ იონკჰეიდი**

**ჰემოფარმი: პოპოვიჩი (3), ჩირიჩი, სტეფანოვიჩი (2), პეკოვიჩი (15), სავიჩი (2), ჯოგო (3), ვიდაჩიჩი (13), ვუჩინიჩი, ზეჩევიჩი (10), ივანოვიჩი (16)**

*დახრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდები გავიდნენ ფინალში*

**ფინალი. 11 და 18 აპრილი**

**უნიკახა (ესპანეთი) — ჰემოფარმი (იუგოსლავია)**

## ევროლიგა

Euroleague

ნახევარფინალი (სამ მოგებამდე).

პირველი მატჩები. 27-28 მარტი

**კინდერი 103:76 ფორტიტუდო**

**კინდერი: ჯინობილი (22), აბიო (5), ბონორა (7), იესტრატიევიჩი (8), ფროზინი (10), ანდერსენი (6), რიგოდო (11), გრიფიტი (13), სმოდიში (7), იარიჩი (14)**

**ფორტიტუდო: ოტრი (12), ფუჩკა (17), დე პოლი (7), მაიერსი (2), ს. ვრანკოვიჩი (2), ბაზილე (9), ბოუი (10), ე. ფუკაუსკასი (5), გალანდა (10), მენეგინი (2)**

**აეკ 75:74 ტაუ**

**აეკ: სტეფანოვი (7), პანტელიადისი, კიკილიასი (3), ჰამინკი (2), ხაძისი (10), ქუთლუაი (20), დიკუდისი (17), ბეტსი (10), კაკიუზისი (6)**

**ტაუ: სკოლა (10), ბენეტი (6), ფუარე (15), ტიმინსკასი (5), შტომბერგასი (5), ალექსანდერი (19), ობერტო (8), კორჩიანი (6)**

*მეორე მატჩები: 29-30 მარტი*


TELEBASKET

კინდერი — ფორტიტუდო. კინდერელი ანტუან რიგოდო სტოიან ვრანკოვიჩს (№11), ჯანლუკა ბაზილეს (№12) და გრეგორ ფუჩკას დაუსხლტდა

კალათბურთი

**საქართველოს კადეტ კალათბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის ემზადება. ტურნირი 4-8 აპრილს სლოვაკეთში გაიმართება, სადაც ჩვენებურები მასპინძლების გარდა იტალიელ, გერმანელ, ფრანგ და პოლონელ თანატოლებთან დაიჭერენ საქმეს. სამი საუკეთესო გუნდი კი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლებას მოიპოვებს. ჩვენმა თექვსმეტწლამდელებმა, მოგეხსენებათ, საკვალიფიკაციო ციკლი ძალიან ადვილად დასძლიეს. ბულგარეთში ქართველებმა უკლებლივ ყველა მეტოქეს დამაჯერებლად მოუგეს და მომდევნო ბატალიებისთვისაც იმედიანად განეწყვნენ. ცხადია, ამ ეტაპზე ერთიორად გაჭირდება წარმატების მიღწევა, სლოვაკეთში ჩვენს ნაკრებს გაცილებით ძლიერი მოწინააღმდეგეები ეყოლება, მაგრამ კადეტთაგან გამარჯვებას ჩვეული ქართველი გულშემატკივარი ამ თაობისგანაც მხოლოდ ერთს — მოგებას ელის. გუშინწინ გუნდი უკრაინაში გაემგზავრა და ამ ტურნირისთვის მზადებას დნეპროპეტროვსკში განაგრძობს. კადეტთა მთავარ მწვრთნელ მერაბ ცირიკიძესაც სწორედ იქ მიეცემა გუნდთან სრულფასოვნად მუშაობის შესაძლებლობა, რადგან, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ბიჭები პირველად 27 მარტს, უკრაინაში გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე შეკრიბა. წასვლამდე კადეტთა თავკაცმა „სარბიელისთვისაც" მოიცალა და საუბრის დასაწყისშივე გულისტკივილი გამოთქვა ამ საკითხთან დაკავშირებით:**



მერაბ ცირიკიძე

გურამ ცქიტიშვილის ფოტო

# მე რომ შენხელა ვიყავი...
# ქართველმა კადეტებმა „წინაპართა" გზით უნდა იარონ

— მცდელობის მიუხედავად, უფრო ადრე არ მოხერხდა გუნდის შეკრება. ამ ნაკრების ძირითადი ბირთვი, მოგეხსენებათ, ჩვენი ქვეყნის წამყვან კლუბებში თამაშობს და სწორედ კლუბთა ინტერესებიდან გამომდინარე, ბიჭებს თავი ვერ მოვუყარეთ. ასე რომ, ბულგარეთის მერე, შეიძლება ითქვას, პირველად შევხვდით გუნდს მწვრთნელები და ისლა გვანუგეშებს, რომ დნეპროპეტროვსკში მაინც ვავარჯიშებთ ბიჭებს ჩვენს გემოზე.

**— უკრაინაში მზადება თქვენს გუნდს კარგად აქვს დაცდილი. გვახსოვს, საბულგარეთოდ დონეცკში რომ გაიარეთ შეკრება...**

— მაშინ უკრაინაში მცხოვრები ქართველი სოსო მაჭავარიანი დაგვეხმარა, რაც საბოლოო ჯამში დიდად წაადგა გუნდს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, კადეტთა ნაკრები მისი ნაჩუქარი ფორმით თამაშობს, რადგან სხვა არც კი აქვს. ახლა ქალაქ თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს უფროსმა დავით ჭელიძემ გაგვიმართა ხელი, დნეპროპეტროვსკის შეკრება სწორედ მან გაგვიხერხა და კადეტთა ნაკრების ყოველგვარ ხარჯებსაც თავად კისრულობს. თუ სლოვაკეთში წარმატებას მივაღწევთ, მნიშვნელოვანი წვლილი ჭელიძისა იქნება.

**— რაკი აქამდე გუნდი მხოლოდ ერთხელ ავარჯიშეთ, ალბათ, გაგიჭირდებათ კალათბურთელთა მზადყოფნაზე საუბარი.**

— ერთი შეხედვით ყველა ნორმალურ სათამაშო ფორმაშია. კარგად ვიცი ამ ბიჭების შესაძლებლობები და შევატყვე კიდეც, რომ თავიანთ კლუბებში საკმაოდ ბევრი უშრომიათ. სადღეისოდ საყვედური არავისზე მეთქმის, მათ რეალურ ძალას კი ჩემს თანაშემწე მიხეილ კობეშავიძესთან ერთად უკრაინაში უფრო უკეთ ვნახავ.

**— დნეპროპეტროვსკში მხოლოდ ივარჯიშებთ თუ სპარინგ-მატჩებსაც გეგმავთ?**

— საწვრთნელ შეხვედრებსაც აუცილებლად გავმართავთ იქაურ კლუბებთან, მაგრამ დაზუსტებით არ ვიცით, ვისთან. ამას ადგილზე გავარკვევთ.

**— თქვენ სლოვაკეთში ბულგარეთის ანალოგიური შემადგენლობა მიგყავთ. ყოველივე გვაფიქრებს, რომ კადეტთა ნაკრებში კონკურენცია არ არის.**

— შემადგენლობას შეგნებულად არ ვცვლი. ჯერ ერთი, რომ ბულგარეთში უკლებლივ ყველა კალათბურთელმა გამიმართლა და მეორეც, კონკურენცია ყოველთვის დადებითად არ მოქმედებს გუნდზე, უარყოფითი ფაქტორებიც ახლავს თან. ვთვლი, რომ მოთამაშეთა შემადგენლობაში ვერმოხვედრის თავისებურმა მღელვარებამ, შესაძლოა, აზარალოს გუნდი. სხვა მხრივ, მთელი სეზონის განმავლობაში სხვა კანდიდატთა თამაშსაც ვადევნებდი თვალს და გამოკვეთილად თავი არავის გამოუჩენია.

**— მეტოქეებზე თუ ფლობთ რაიმე ინფორმაციას?**

— ყველაზე კარგად, ცხადია, იტალიას ვიცნობთ, რადგან ამ გუნდს ბულგარეთშიც შევხვდით. მართლია, მაშინ იოლად დავამარცხეთ, მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ ხელწამოსაკრავი მოწინააღმდეგე იქნება. ამ გუნდთან საკვალიფიკაციო ეტაპზე ძალიან კარგად წაგვივიდა თამაში, მათ კი პირიქით, არაფერი გამოუვიდათ. დარწმუნებული ვარ, სლოვაკეთში გაცილებით სოლიდური იქნება იტალია, რადგან მათ კარგი ვარჯიშისა და მზადების ყველა პირობა აქვთ შექმნილი. დანარჩენ მეტოქეებზე ბევრიც არაფერი ვიცით, მხოლოდ წინა ციკლში მათი თამაშების სტატისტიკა მოვიპოვეთ ინტერნეტის საშუალებით. საფრანგეთის ნაკრებზე კი საერთოდ არ გვაქვს წარმოდგენა, რადგან პირდაპირ შესარჩევ ეტაპზე დაუშვეს.

**— შანსებზე რას გვეტყვით, ვის მიიჩნევთ უმთავრეს კონკურენტად?**

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გამიძნელდება, რადგან საკუთარი თვალით არც ერთი გუნდის თამაში არ მინახავს, ჩვენს შესაძლებლობებს რომ შევადარო. ვფიქრობ, სლოვაკეთში უკლებლივ ყველა ქვეყნის ნაკრებს აქვს წარმატების შანსი, რადგან ამ ეტაპზე სუსტ გუნდებს არაფერი ესაქმებათ. ჩვენ შევეცდებით, ჩვენი გავიტანოთ და სამეულში მოვხვდეთ, რათა ფინალში თამაშის უფლება მოვიპოვოთ. ერთი ნაღდია — სლოვაკეთში გამარჯვების რწმენით მივდივართ.

**— ცალკეული რგოლებიდან რომელს გამოარჩევდით ჩვენს ნაკრებში?**

— ვფიქრობთ, ყველა რგოლი თანაბარი ძალის მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული და ვერც ერთს ვერ გამოვყოფ. კადეტთა წინა თაობას წინა ხაზი აშკარად ძლიერი ჰყავდა, ამ გუნდში კი არ გახლავთ თვალშისაცემი სათამაშო რგოლებს შორის სხვაობა. ერთი რამ დანამდვილებით ვიცი, რომ სლოვაკეთში ყველა კალათბურთელს დავტვირთავთ და ბიჭებს მაქსიმალურ მობილიზებას მოვთხოვთ. უკრაინაში კი ძირითადად ტაქტიკური მეცადინეობა მოგვიწევს.

**— ქართულ კალათბურთში დღეს მწვავედ დგას გამთამაშებლის პრობლემა. ტანმაღალი მოთამაშეების ნაკლებობას ნამდვილად არ ვუჩივით, აი, ნომინალური გამთამაშებელი კი, შეიძლება ითქვას, ეროვნულ ნაკრებს ერთიც არ ჰყავს. როგორ ფიქრობთ, კადეტთა ამ თაობაში თუ არიან უკანახაზელები, რომელთაც სამომავლოდ ეროვნულ ნაკრებში თამაში შეეძლებათ?**

— ნიჭიერი კალათბურთელები ყველა თაობასა და ამპლუაში გვყოლია და გვყავს კიდეც. გამონაკლისი, ცხადია, არც ახლანდელი კადეტთა გუნდია, მაგრამ საქმე ისაა, თავიანთ ნიჭსა და უნარს როგორ წარმართავენ ბიჭები. მე პირადად მიმაჩნია, რომ დავით თორთლაძე სწორად რომ განვითარებულიყო, დღეს მის გვერდზე სირცხვილიც იქნებოდა „ბასკოს" ჯეფ როჯერსის ხსენება. ეს კალათბურთელი კი ახლა საუკეთესო გამთამაშებლად ითვლება ჩვენს ჩემპიონატში, რასაც თავადაც ვეთანხმები. ამ ასაკში წინდაწინ ვერაფერს უწინასწარმეტყველებ მოთამაშეს, მომდევნო ოთხიხუთი წელი გადამწყვეტი იქნება კადეტთა განვითარებისთვის. ამ ხნის მანძილზე ვინც ბევრს იშრომებს, ყველა საქმეს გვერდზე გადადებს და მთელ ენერგიას ვარჯიშს მოახმარს, ან თამაშებს ნამდვილ კალათბურთს, თუ არადა, მუდამ პერსპექტიულ მოთამაშედ დარჩება. რაც შეეხება კითხვას, მიმაჩნია, რომ გიორგი მარხვაშვილის სახით ეროვნულ გუნდს მართლაც კარგი გამთამაშებელი ეზრდება და ამ ბიჭს გაათკეცებული ყურადღება უნდა მიექცეს.

**— პერსპექტიულ კალათბურთელთა უცხოურ ქვეყანაში გადინებაზე რას ფიქრობთ?**

— ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, კარგია, როცა სათამაშო დონის გასაუმჯობესებლად ახალგაზრდა კალათბურთელი უცხოეთში მიდის, თუმც იდეალური ვარიანტი იქნებოდა, მის გამზრდელს შრომა რომ უფასდებოდეს. ახლა ძირითადად სლოვენიელები ინტერესდებიან ქართველი კალათბურთელებით, ამ ქვეყანას მართლაც კარგი სკოლა აქვს და ჩვენებურთა იქ თამაში მისასალმებელია. გულსატკენი ისაა, რომ ქართველ მწვრთნელებზე ძალიან ცუდი აზრი ჩამოუყალიბდა ერთ-ერთ სლოვენიელ კოლეგას, რომელიც ამას წინათ იმყოფებოდა თბილისში. იმ სპეციალისტს ბევრ რამეში ვეთანხმები, მაგრამ ჩვენს მუშაობას, ვფიქრობ, ძალიან კრიტიკულად უდგება. თუ ასეა, აქ რატომღა ჩამოდიან ტალანტების საძებნელად, საქართველოდან კი ნუ მიჰყავთ, თავად გაზარდონ კალათბურთელი...

**— ისევ კადეტთა ნაკრებს დავუბრუნდეთ. ქართველ თექვსმეტწლამდელთათვის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაში უცხო სულაც არ გახლავთ. ეს, ალბათ, დამატებით ვალდებულებას გაკისრებთ გულშემატკივრის წინაშე.**

— კადეტთა მწვრთნელი ახლა მე ვარ და, ცხადია, არ მსურს, უსახელოდ დავამთავროთ წლევანდელი ევროპის ჩემპიონატი. პირიქით, ცდას არ დავაკლებთ, რომ წინა თაობების მიღწეული გავაუმჯობესოთ. რაც გამოგვივა, ამასაც მალე ვნახავთ, ისე კი, გეტყვით, რომ წარმატების იმედი მართლაც მაქვს. ისევ და ისევ ჩვენი ნიჭიერების ხარჯზე თუ მივაღწევთ რაიმეს, თორემ ხომ ნახეთ, პირობებზე შეგნებულად სიტყვაც არ მითქვამს. ყოველივეს მიუხედავად, გულის სიღრმეში მწამს, რომ სლოვაკეთში ფინალური ეტაპის საგზურს მოვიპოვებთ.

**გიორგი ბიძაშვილი**

## კადეტთა ნაკრები

| | |
|---|---|
| მანუჩარ მარკოიშვილი | ბასკო |
| გიორგი გამყრელიძე | ბავშვთა ლიგა |
| ტატო ვაშაკიძე | უგუნდო |
| ირაკლი ორდინიძე | დინამო |
| გიორგი მარხვაშვილი | სტუ |
| გიორგი მდივანი | სტუ |
| დავით ზანგურაშვილი | თსუ |
| გიორგი ჩავლეიშვილი | დინამო |
| ირაკლი საყვარელიძე | ბასკო |
| ზურაბ სანიკიძე | თსუ |
| სერგო ათუაშვილი | ბასკო |

შეხვედრათა განრიგი

| | |
|---|---|
| 4 აპრილი | საქართველო — პოლონეთი |
| 5 აპრილი | საქართველო — იტალია |
| 6 აპრილი | საქართველო — გერმანია |
| 7 აპრილი | საქართველო — საფრანგეთი |
| 8 აპრილი | საქართველო — სლოვაკეთი |

ჭადრაკი

მონაკოს ტურნირი

# კრამნიკმა და ტოპალოვმა ანანდი მოიშორეს

**უალრესად** კრიტიკული იყო მე-9 ტური მონაკოში, ამბერის სწრაფი და დაფაზე დაუხედავი ჭადრაკის ტურნირზე. სამი ლიდერიდან ორმა, ვიშვანათან ანანდმა და ვესელინ ტოპალოვმა, ერთმანეთის პირისპირ გააწყო ფიგურები. სწრაფი ჭადრაკის პარტიაში თეთრებით ანანდი იყო. სიცილიურ დაცვაში ტოპალოვი რიგიანად გაისარჯა და მეტოქეს ინიციატივა არ დაანება. ფიდეს ჩემპიონმა არ ისურვა საყაიმო დასასრული, რისკენაც პარტია მიდიოდა და 25.C5-ით შავი თავდაცვის შენჯღრევას ეცადა, მაგრამ უარესად წაუვიდა საქმე. შავებმა საპასუხო გამოხდომა ბევრად წარმატებით შეასრულეს და ანანდმა წააგო. გასაკვირი ამბავი იყო. მერე დაფაზე დაუხედავად თამაშისას ტოპალოვს მოგებისთვის არ უბრძოლია, თუმც თეთრებით თამაშობდა. მან ყაიმი იკმარა, მეზობლად კი კრამნიკმა ჯერ შავებით მოუგო ვეტერან ლიუბომირ ლიუბოევიჩს, მერე თეთრებითაც. ორივე პარტიაში „ბრაინგეიმზ ნეტუორკის" მსოფლიოს ჩემპიონი თავიდანვე დომინირებდა. მაგალითად, სწრაფი ჭადრაკის პარტიაში მეტოქეს უცებ პაიკი სუფთად წაართვა და მატერიალური უპირატესობა ტექნიკურად გამოიყენა. მეორედ კრამნიკს უკვე თეთრები ჰყავდა და ბებერი იუგი უფრო ჩქარა გააწბილა.

ამ გამარჯვებით კრამნიკი ერთპიროვნული ლიდერი გახდა, ტოპალოვი ნახევარი ქულით ჩამორჩებოდა და ანანდი — ქულანახევრით. სხვები შორს იყვნენ. ბოლო ტურებში მხოლოდ ალექსეი შიროვმა გამოიდო თავი და ეტყობა, ნელ-ნელა თამაშის ხასიათზე მოდის, მაგრამ გვიანია, ტურნირს უკვე ველარ მოიგებს. შიროვმა ქულანახევარი წაართვა მონაკოში ასევე რიგიანად მოთამაშე პეტერ ლეკოს. ექსრიგელმა თეთრებით კოხტად მოიგო, შავებით კი სწრაფი ჭადრაკის პარტიაში თანაბარი ეტლების ენდშპილი გაახერხა და ზავს მიაღწია, შედეგად კი იმავე უნგრელს მეოთხე ადგილი წაართვა.

ცოტა მოფერიანდა ანატოლი კარპოვიც. ეს მის შედეგს ნაკლებად ეტყობა, უბრალოდ, ექსჩემპიონმა შემოქმედებით თამაშს უმატა. მე-9 ტურში იგი უნგრელ ალმაშის შეხვდა და სწრაფი ჭადრაკი ძლიერ რიგიანად მოუგო. კარპოვმა ორი მხრიდან შეუტია: მეფის ფრთის განაპირა ვერტიკალზე და ცენტრიდან. ალმაშის შავი მეფე მარწუხებში მოექცა და დანებდა. იძულებული იყო, რადგან სამ სვლაში შამათი ჰქონდა. უნგრელმა რევანში დაუყოვნებლივ აიღო დაფაზე დაუხედავ პარტიაში მას შემდეგ, რაც კარპოვმა ფიგურა უძლვნა.

მეათე ტურში ტურნირის ცენტრალური მოვლენა მოხდა — ანანდი და კრამნიკი დაფასთან შეიყარნენ. მათი ურთიერთობა, როგორც ჩემპიონებისა, ცხადია, ჟურნალისტებს ცალკე აინტერესებთ, რომელთა დასკვნითაც, მოჭადრაკეებს არაფერი ეტყობათ, რომ კონკურენტი ჩემპიონები არიან. პირველი პარტიის შემდეგ ვიში და ვოვა კარგა ხანს არჩევდნენ თავიანთ თამაშს, მერე კი ძმებივით განუყრელად მთელი დარბაზი მიმოიარეს და ახლა სხვათა შესახებ გააკეთეს კომენტარები.

რაც შეეხება შედეგს: ჩემპიონთა ორივე პარტია ყაიმით დასრულდა, ოღონდ პირველი მეორეს სჯობდა. კრამნიკი თეთრებით იყო და მოგება შეეძლო. ენდშპილში, როცა პაიკებისა და მეფეების გარდა დაფაზე მხოლოდ წყვილი ეტლები დარჩნენ, რუსის უპირატესობა ნათელი იყო, მაგრამ ინდოელი გაჯიუტდა, 76-ე სვლამდე იომა და წაგლეჯა კიდეც ნახევარი ქულა მეტოქეს. დაფაზე დაუხედავად ხანგრძლივი ბრძოლა არც ერთმა ინდომა და იქ ყაიმი უკვე 24 სვლაში გაფორმდა. ქარს გაჰყვა ანანდის ბოლო შანსი ტურნირის მოსაგებად. პირველ ადგილზე ან კრამნიკი გავა, ან ტოპალოვი, რომელმაც მეათე ტურში სტატუს-კვოს ანუ კრამნიკთან თანასწორობის აღდგენა ლეკოს ძლევით მოახერხა. სწრაფ ჭადრაკში ყაიმის შემდეგ ბულგარელმა შავებით სხვადასხვა ფერის კუთა ენდშპილში მოსაგები პოზიცია მიიღო, ტექნიკურად გააგრძელა და მოიგო.

მთლიანად მეათე ტური მოსაწყენი გამოდგა: 12 პარტიიდან 10 ყაიმით დამთავრდა.

**დავით გულუა**

**ვითარება 10 ტურის შემდეგ**

**1-2. კრამნიკი, ტოპალოვი 14; 3. ანანდი 12,5; 4. შიროვი 10,5; 5. ლეკო 10; 6. პიკეტი 9,5; 7. გელფანდი 9; 8-9. ალმაში, ლიუბოევიჩი 8,5; 10-11. ივანჩუკი, კარპოვი 8; 12. ვან ველი 7,5**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია კროკო

### გერმანია. ბუნდესლიგა. 27-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **30 მარტი** | | | |
| 23.15 | 001 | ვოლფსბურგი-ჰანზა | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| | | **31 მარტი** | | | |
| 18.30 | 002 | ჰერტა-მიუნხენი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 18.30 | 003 | შტუტგარტი-კიოლნი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 18.30 | 004 | ჰამბურგი-უნტერჰახინგი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 18.30 | 005 | ფრაიბურგი-აინტრახტი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 18.30 | 006 | ბაიერნი-ვერდერი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 007 | ბაიერნი-ვერდერი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.15 | 008 | ლევერკუზენი-შალკე | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| | | **1 აპრილი** | | | |
| 20.30 | 009 | კაიზერსლაუტერნი-დორტმუნდი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 20.30 | 010 | ბოხუმი-კოტბუსი | 2,2 | 3,2 | 2,9 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. 27-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **30 მარტი** | | | |
| 22.00 | 011 | ქემნიცი-ნიურნბერგი | 4,2 | 3,5 | 1,6 |
| 22.00 | 012 | ზაარბრიუკენი-ზანქტ პაული | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **31 მარტი** | | | |
| 18.00 | 013 | ჰანოვერი-ობერჰაუზენი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 18.00 | 014 | არმინია-როიტლინგენი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| | | **1 აპრილი** | | | |
| 18.00 | 015 | ოსნაბრიუკი-ალემანია | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 18.00 | 016 | ულმი-მაინცი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 18.00 | 017 | დუისბურგი-კიკერსი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 18.00 | 018 | ფიურტი-ალენი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| | | **2 აპრილი** | | | |
| 23.15 | 019 | მიონხენგლადბახი-ვალდჰოფი | 1,6 | 3,2 | 5,6 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. 31-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **31 მარტი** | | | |
| 16.00 | 020 | ლივერპული-მანჩესტერი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 19.00 | 021 | არსენალი-ტოტენჰემი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| | 022 | არსენალი-ტოტენჰემი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 19.00 | 023 | ბრედფორდი-ნიუკასლი | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| 19.00 | 024 | ჩელსი-მიდლსბრო | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| | 025 | ჩელსი-მიდლსბრო 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 19.00 | 026 | ქოვენთრი-დერბი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 19.00 | 027 | სიტი-ასტონ ვილა | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 19.00 | 028 | სანდერლენდი-ლიდსი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 19.00 | 029 | ვესტ ჰემი-ევერტონი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| | | **1 აპრილი** | | | |
| 20.00 | 030 | ჩარლტონი-ლესტერი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| | | **2 აპრილი** | | | |
| 24.00 | 031 | საუთჰემპტონი-იფსვიჩი | 2,3 | 3,0 | 2,9 |

### ინგლისი. I დივიზიონი. მე-40 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **30 მარტი** | | | |
| 23.45 | 032 | ტრანმერი-ფულემი | 3,8 | 3,4 | 1,75 |
| | | **31 მარტი** | | | |
| 19.00 | 033 | ბარნსლი-სტოკპორტი | 1,7 | 3,2 | 4,2 |
| 19.00 | 034 | ბოლტონი-უიმბლდონი | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 19.00 | 035 | კრისტალ პალასი-ქრიუ | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 19.00 | 036 | ჰადერსფილდი-პორტსმუთი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 19.00 | 037 | ნორვიჩი-გრიმსბი | 1,75 | 3.1 | 4,2 |
| 19.00 | 038 | ნოტინგემი-ქუინზ პარკი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 039 | პრესტონი-ჯილინგემი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 040 | ვესტ ბრომვიჩი-უოტფორდი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| | | **1 აპრილი** | | | |
| 16.00 | 041 | ბლექბერნი-ბარნლი | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 17.00 | 042 | ბირმინგემი-ვულვერჰემპტონი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 18.00 | 043 | უენსდი-შეფილდი | 2,3 | 3,2 | 2,7 |

### ინგლისი. II დივიზიონი. მე-40 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **31 მარტი** | | | |
| 19.00 | 044 | ბრენტფორდი-რექსემი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 19.00 | 045 | ბრისტოლი-პორტ ვეილი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 046 | კოლჩესტერი-ლუტონი | 1,95 | 3,3 | 3,3 |
| 19.00 | 047 | ნორთჰემპტონი-ოქსფორდი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 19.00 | 048 | ოლდემი-ბერი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 049 | პიტერბრო-კემბრიჯი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 19.00 | 050 | რედინგი-ნოთსი | 1,45 | 3,6 | 5,6 |
| 19.00 | 051 | როტერჰემი-სუინდონი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 052 | სტოკი-როვერსი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 053 | სუონსი-ბორნმუთი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 19.00 | 054 | უოლსოლი-მილუოლი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 19.00 | 055 | უიკომბი-უიგანი | 2,7 | 3,0 | 2,4 |

### ინგლისი. III დივიზიონი. მე-40 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **31 მარტი** | | | |
| 19.00 | 056 | ბრაიტონი-მენსფილდი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 057 | ბრაიტონი-მენსფილდი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 19.00 | 058 | კარლაილი-მაკლსფილდი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 059 | ჩესტერფილდი-საუთენდი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 060 | დარლინგტონი-ლეიტონი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 19.00 | 061 | ექსეტერი-ბლეკპული | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 19.00 | 062 | ჰარტლპული-ჰალიფაქსი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 19.00 | 063 | კიდერმინსტერი-შრიუსბერი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 064 | როჩდეილი-ლინკოლნი | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| 19.00 | 065 | სკანთორპი-ბარნეტი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 19.00 | 066 | ტორკი-ჰალი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 067 | იორკი-პლიმუთი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| | | **1 აპრილი** | | | |
| 16.00 | 068 | ჩელტენემი-კარდიფი | 2,4 | 3,1 | 2,6 |

### იტალია. სერია A. 24-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **31 მარტი** | | | |
| 18.00 | 069 | ბარი-ლეჩე | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 23.30 | 070 | ვიჩენცა-ფიორენტინა | 2,5 | 2,8 | 2,7 |
| | | **1 აპრილი** | | | |
| 18.00 | 071 | ატალანტა-ნაპოლი | 1,55 | 3,2 | 6,5 |
| 18.00 | 072 | იუვენტუსი-ბრეშა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 073 | იუვენტუსი-ბრეშა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 18.00 | 074 | პარმა-ბოლონია | 1,5 | 3,2 | 7,5 |
| 18.00 | 075 | პერუჯა-ინტერი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 18.00 | 076 | რეჯინა-უდინეზე | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 18.00 | 077 | რომა-ვერონა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 078 | რომა-ვერონა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 23.30 | 079 | მილანი-ლაციო | 2,4 | 2,9 | 2,8 |

### იტალია. სერია B. 29-ე ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **30 მარტი** | | | |
| 23.45 | 080 | ჩიტადელა-კოზენცა | 2,3 | 2,5 | 3,4 |
| | | **1 აპრილი** | | | |
| 18.00 | 081 | კალიარი-რავენა | 1,45 | 3,1 | 8,0 |
| 18.00 | 082 | კიევო-პისტოიეზე | 1,45 | 3,1 | 8,0 |
| 18.00 | 083 | კროტონე-მონცა | 1,55 | 3,0 | 7,5 |
| 18.00 | 084 | პესკარა-ვენეცია | 3,3 | 2,6 | 2,3 |
| 18.00 | 085 | სალერნიტანა-ანკონა | 2,0 | 2,6 | 4,2 |
| 18.00 | 086 | სიენა-ტორინო | 3,0 | 2,5 | 2,5 |
| 18.00 | 087 | ტერნანა-პიაჩენცა | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 18.00 | 088 | ტრევიზო-ემპოლი | 2,3 | 2,5 | 3,4 |
| | | **2 აპრილი** | | | |
| 23.45 | 089 | ჯენოა-სამპდორია | 3,0 | 2,5 | 2,5 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. 28-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **31 მარტი** | | | |
| 23.00 | 090 | რეალი-ნუმანსია | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 091 | რეალი-ნუმანსია 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 23.45 | 092 | დეპორტივო-ვილიარეალი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 093 | დეპორტივო-ვილიარეალი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 24.00 | 094 | ვალენსია-ესპანიოლი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| | 095 | ვალენსია-ესპანიოლი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 24.00 | 096 | მალაგა-სელტა | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| | | **1 აპრილი** | | | |
| 21.00 | 097 | ოვიედო-ალავესი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 21.00 | 098 | ვალიადოლიდი-რ.ვალეკანო | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 21.00 | 099 | რასინგი-სარაგოსა | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 21.00 | 100 | მალიორკა-სოსიედადი | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 22.00 | 101 | ბარსელონა-ლას პალმასი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 102 | ბარსელონა-ლას პალმასი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 23.00 | 103 | ბილბაო-ოსასუნა | 1,45 | 3,5 | 6,0 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. 31-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **31 მარტი** | | | |
| 21.00 | 104 | ელჩე-კორდობა | 2,3 | 2,7 | 3,2 |
| 21.00 | 105 | ატლეტიკო-უნივერსიდადი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 21.00 | 106 | ფეროლი-ესტრემადურა | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 21.00 | 107 | ხეტაფე-ლეგანესი | 2,3 | 2,7 | 3,2 |
| | | **1 აპრილი** | | | |
| 15.00 | 108 | უელვა-სევილია | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 20.00 | 109 | ბადახოსი-ტენერიფე | 2,9 | 2,6 | 2,5 |
| 21.00 | 110 | ბეტისი-ეიბარი | 1,55 | 3,0 | 6,5 |
| 21.00 | 111 | კომპოსტელა-მურსია | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 21.00 | 112 | ხაენი-სალამანკა | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 21.00 | 113 | ლევანტე-ლეიდა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 21.00 | 114 | სპორტინგი-ალბასეტე | 2,2 | 2,8 | 3,3 |

### პორტუგალია. I ლიგა. 26-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **31 მარტი** | | | |
| 21.00 | 115 | მარიტიმუ-ბოავიშტა | 3,3 | 3,0 | 2,1 |
| 23.00 | 116 | კამპომაიორენსე-ბენფიკა | 4,4 | 3,2 | 1,7 |
| 01.30 | 117 | სალგეირუში-ბრაგა | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| | | **1 აპრილი** | | | |
| 20.00 | 118 | ფერეირა-ბელენენსეში | 2,2 | 2,8 | 3,3 |
| 20.00 | 119 | ფარენსე-ამადორა | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 20.00 | 120 | გიმარაეში-ლეირია | 2,1 | 2,8 | 3,5 |
| 20.00 | 121 | ჟილ ვისენტე-ავეში | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 01.00 | 122 | ალვერკა-პორტუ | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| | | **2 აპრილი** | | | |
| 01.00 | 123 | სპორტინგი-ბეირა მარი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 124 | სპორტინგი-ბეირა მარი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

### პორტუგალია. II ლიგა. 26-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **31 მარტი** | | | |
| 20.00 | 125 | აკადემიკა-მარკუ | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| | | **1 აპრილი** | | | |
| 19.00 | 126 | ვარზიმი-ესპინიუ | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 127 | ვარზიმი-ესპინიუ 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 19.30 | 128 | ლამაში-სეტუბალი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 129 | ნასიონალი-სანტა კლარა | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 20.00 | 130 | ფელგეირაში-რიუ ავე | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 131 | ოვარენსე-შავეში | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 20.00 | 132 | ლეცა-მაია | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 20.00 | 133 | იმორტალი-ნავალი | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 20.00 | 134 | ფრეამუნდე-პენაფიელი | 3,4 | 3,1 | 2,0 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი. 26-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **31 მარტი** | | | |
| 22.30 | 135 | ტილბურგი-როდა | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 22.30 | 136 | ჰერენვენი-როზენდალი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 22.30 | 137 | ბრედა-სიტარდი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 23.00 | 138 | პსვ-ტვენტე | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 139 | პსვ-ტვენტე 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 23.00 | 140 | ალკმაარი-გრააფსხაპი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| | | **1 აპრილი** | | | |
| 17.30 | 141 | სპარტა-უტრეხტი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 17.30 | 142 | ვალვაიკი-ფეიენოორდი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 17.30 | 143 | გრონინგენი-ვიტესი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 20.15 | 144 | ნაიმეგენი-აიაქსი | 3,8 | 3,1 | 1,85 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი. 26-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **31 მარტი** | | | |
| 22.00 | 145 | ემენი-ეინდჰოვენი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 22.00 | 146 | ჰაარლემი-ჰელმონდი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 22.00 | 147 | დენ ჰააგი-მაასტრიხტი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 22.00 | 148 | ექსელსიორი-ვენლო | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 149 | ექსელსიორი-ვენლო 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 22.00 | 150 | ოსი-დორდრეხტი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 22.00 | 151 | კამბური-ჰერაკლესი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| | | **1 აპრილი** | | | |
| 17.30 | 152 | ვოლენდამი-ვეენდამი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 17.30 | 153 | იგლსი-ზვოლე | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 17.30 | 154 | დენ ბოსხი-ტელსტარი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

### ბელგია. I დივიზიონი. 27-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **30 მარტი** | | | |
| 23.30 | 155 | ანდერლეხტი-მუსკრონი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 156 | ანდერლეხტი-მუსკრონი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | | **31 მარტი** | | | |
| 23.00 | 157 | ვესტერლო-ბეერსხოტი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 23.00 | 158 | ლიერსი-გენტი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 23.00 | 159 | ანტვერპენი-ლოკერენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 160 | სენტ ტრუიდენი-ბრიუგე | 4,4 | 3,2 | 1,75 |
| | | **1 აპრილი** | | | |
| 18.00 | 161 | ბევერენი-ლუვიე | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 18.00 | 162 | აალსტი-მეხელენი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 18.00 | 163 | ჰარელბეკე-გენკი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 23.00 | 164 | შარლერუა-სტანდარდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

### ბელგია. II დივიზიონი. გადადებული მატჩი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **1 აპრილი** | | | |
| 18.00 | 165 | სტრომბეკი-ლიეჟი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

### საბერძნეთი. 24-ე ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **31 მარტი** | | | |
| 21.00 | 166 | კალამატა-ოლიმპიაკოსი | 6,5 | 3,4 | 1,45 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **1 აპრილი** | | | |
| 19.00 | 167 | პაოკ-ქსანთი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 249 | პაოკ-ქსანთი 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 19.00 | 168 | პანაჰაიკი-იანინა | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 19.00 | 169 | პანათინაიკოსი-ირაკლისი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 170 | პანათინაიკოსი-ირაკლისი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 19.00 | 171 | აეკ-პანიონიოსი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 172 | აეკ-პანიონიოსი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 19.00 | 173 | პანილიაკოსი-ათინაიკოსი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 21.00 | 174 | ოფი-ეთნიკოსი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| | | **2 აპრილი** | | | |
| 19.00 | 175 | იონიკოსი-არისი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| | | **ჩეხეთი. 22-ე ტური** | | | |
| | | **31 მარტი** | | | |
| 17.00 | 176 | სლავია-ტეპლიცე | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.30 | 177 | ბლშანი-ბოჰემიანსი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 19.30 | 178 | ბუდეიოვიცე-სიგმა | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 19.30 | 179 | იაბლონეცი-პრჟიბრამი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| | | **1 აპრილი** | | | |
| 13.15 | 180 | ჟიჟკოვი-ბრნო | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.30 | 181 | პლზენი-ლიბერეცი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.30 | 182 | სინოტი-ბანიკი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| | | **2 აპრილი** | | | |
| 22.00 | 183 | დრნოვიცე-სპარტა | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| | | **პოლონეთი. მე-18 ტური** | | | |
| | | **30 მარტი** | | | |
| 22.00 | 184 | ვიძევი-ვისლა | 3,2 | 2,9 | 2,2 |
| | | **31 მარტი** | | | |
| 18.00 | 185 | სტომილი-ამიცა | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 18.30 | 186 | რაძიონკოვი-ზაგლებე | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 187 | ოდრა-შლიონსკი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 19.00 | 188 | პოგონი-რუხი | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 189 | გროცლინი-ლეგია | 3,2 | 2,9 | 2,2 |
| 20.15 | 190 | გურნიკი-პლოცკი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| | | **1 აპრილი** | | | |
| 17.30 | 191 | პოლონია-კატოვიცე | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| | 192 | პოლონია-კატოვიცე 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | | **თურქეთი. 26-ე ტური** | | | |
| | | **30 მარტი** | | | |
| 22.00 | 193 | ქოჯაელი-დენიზლი | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| | | **31 მარტი** | | | |
| 17.00 | 194 | ბურსა-გენჩლერბირლიგი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 17.00 | 195 | ერზურუმი-იეთფა | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 17.00 | 196 | ანკარაგიუჯიუ-რიზე | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 21.00 | 197 | გალათასარაი-ბეშიქთაში | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| | | **1 აპრილი** | | | |
| 17.00 | 198 | ტრაბზონი-იოზგათი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 199 | ტრაბზონი-იოზგათი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 17.00 | 200 | სამსუნი-ისთანბული | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 17.00 | 201 | გაზიანთეფი-ანთალია | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 202 | გაზიანთეფი-ანთალია 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| [illegible]1.00 | 203 | ფენერბაჩე-ადანა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 204 | ფენერბაჩე-ადანა 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| | | **შოტლანდია. 32-ე ტური** | | | |
| | | **31 მარტი** | | | |
| 19.00 | 205 | დანდი-კილმარნოკი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 206 | ჰართსი-მოზერუელი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 207 | რეინჯერსი-დანდი იუნაიტედი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 208 | რეინჯერსი-დანდი იუნაიტედი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 19.00 | 209 | სენტ მირენი-დანფერმლაინი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| | | **1 აპრილი** | | | |
| 18.35 | 210 | სენტ ჯონსტონი-ჰიბერნიანი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 22.05 | 211 | აბერდინი-სელტიკი | 5,6 | 3,5 | 1,5 |
| | | **ავსტრია. 27-ე ტური** | | | |
| | | **31 მარტი** | | | |
| 18.30 | 212 | ადმირა-გრაცერი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 18.30 | 213 | რაპიდი-რიდი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 214 | რაპიდი-რიდი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 18.30 | 215 | შტურმი-ბრეგენცი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 216 | შტურმი-ბრეგენცი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 22.00 | 217 | ლინცერი-ავსტრია | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| | | **1 აპრილი** | | | |
| 19.30 | 218 | ზალცბურგი-ტიროლი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| | | **შვეიცარია. A ჯგუფი. მე-5 ტური** | | | |
| | | **31 მარტი** | | | |
| 20.30 | 219 | ლოზანა-სერვეტი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 22.30 | 220 | სიონი-სენტ გალენი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| | | **1 აპრილი** | | | |
| 17.30 | 221 | ლუგანო-გრასჰოპერი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.15 | 222 | ციურიხი-ბაზელი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| | | **შვეიცარია. A/B ჯგუფი. მე-5 ტური** | | | |
| | | **31 მარტი** | | | |
| 20.30 | 223 | ვინტერთური-არაუ | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 22.30 | 224 | იანგ ბოისი-ივერდონი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| | | **1 აპრილი** | | | |
| 17.30 | 225 | ლუცერნი-ბელინცონა | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 17.30 | 226 | ვილი-ქსამაქსი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| | | **შვეიცარია. B ჯგუფი. მე-5 ტური** | | | |
| | | **31 მარტი** | | | |
| 20.30 | 227 | კარუჟი-სოლოთურნი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 20.30 | 228 | თუნი-დელემონი | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| | | **1 აპრილი** | | | |
| 17.30 | 229 | ბადენი-ვანგენი | 1,9 | 3,1 | 3,8 |
| 17.30 | 230 | ლოკარნო-კრინსი | 1,9 | 3,1 | 3,8 |
| | | **დანია. 21-ე ტური** | | | |
| | | **1 აპრილი** | | | |
| 18.00 | 231 | ოლბორგი-ორჰუსი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 18.00 | 232 | ჰადერსლევი-მიდტიულანდი | 5,0 | 3,4 | 1,6 |
| 18.00 | 233 | აკადემისკი-ჰერფიოლგე | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 18.00 | 234 | ოდენსე-ლიუნგბიუ | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 20.05 | 235 | ბრიონდბიუ-კოპენჰაგენი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| | | **2 აპრილი** | | | |
| 22.00 | 236 | სილკებორგი-ვიბორგი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| | | **რუსეთი. მე-3 ტური** | | | |
| | | **31 მარტი** | | | |
| 16.00 | 237 | როტორი-ჩერნომორეცი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 16.00 | 238 | როსტსელმაში-სოკოლი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 16.00 | 239 | სატურნი-ლოკომოტივი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 16.00 | 240 | ფაკელი-ანჟი | 2,2 | 2,8 | 3,3 |
| 16.00 | 241 | დინამო-ალანია | 1,55 | 3,2 | 6,5 |
| 16.00 | 242 | კრილია-ტორპედო | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 18.00 | 243 | სპარტაკი-ცსკა | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| | | **1 აპრილი** | | | |
| 18.00 | 244 | ზილ-ზენიტი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| | | **საფრანგეთი. თასის 1/4 ფინალი** | | | |
| | | **30 მარტი** | | | |
| 23.00 | 245 | გრენობლი-ტრუა | 3,6 | 3,0 | 1,95 |
| | | **31 მარტი** | | | |
| 20.00 | 246 | ნანტი-ოსერი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 23.00 | 247 | ამიენი-რეიმსი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| | | **1 აპრილი** | | | |
| 23.00 | 248 | სტრასბური-ლიონი | 2,6 | 2,9 | 2,5 |

| I ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | | |
| | | **30 მარტი** | | | | | | | | | |
| 23.15 | 601 | ვოლფსბურგი-ჰანზა | 2,5 | 12,0 | 25,0 | 3,6 | 5,3 | 8,5 | 18,0 | 10,0 | 7,5 |
| | | **31 მარტი** | | | | | | | | | |
| 18.30 | 602 | ჰერტა-მიუნხენი | 2,4 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 5,3 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 18.30 | 603 | შტუტგარტი-კიოლნი | 2,9 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 5,0 | 6,5 | 15,0 | 10,0 | 5,3 |
| 18.30 | 604 | ჰამბურგი-უნტერჰახინგი | 2,2 | 13,0 | 30,0 | 3,2 | 5,6 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 12,0 |
| 18.30 | 605 | ფრაიბურგი-აინტრახტი | 2,8 | 12,0 | 25,0 | 4,0 | 5,0 | 7,5 | 18,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.30 | 606 | ბაიერნი-ვერდერი | 1,7 | 15,0 | 40,0 | 3,0 | 6,0 | 13,0 | 20,0 | 12,0 | 13,0 |
| 23.15 | 607 | ლევერკუზენი-შალკე | 2,6 | 12,0 | 20,0 | 3,8 | 5,3 | 7,5 | 15,0 | 10,0 | 6,5 |
| | | **1 აპრილი** | | | | | | | | | |
| 20.30 | 608 | კაიზერსლაუტ.-დორტმუნდი | 3,2 | 12,0 | 20,0 | 4,4 | 5,0 | 6,0 | 15,0 | 10,0 | 5,0 |
| 20.30 | 609 | ბოხუმი-კოტბუსი | 3,4 | 12,0 | 20,0 | 4,7 | 5,0 | 5,6 | 15,0 | 10,0 | 4,7 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | | |
| | | **31 მარტი** | | | | | | | | | |
| 16.00 | 610 | ლივერპული-მანჩესტერი | 3,8 | 10,0 | 18,0 | 5,0 | 5,0 | 5,0 | 18,0 | 10,0 | 3,8 |
| 19.00 | 611 | არსენალი-ტოტენჰემი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,2 | 5,3 | 10,0 | 18,0 | 10,0 | 10,0 |
| 19.00 | 612 | ბრედფორდი-ნიუკასლი | 5,0 | 10,0 | 18,0 | 6,0 | 5,0 | 4,4 | 25,0 | 12,0 | 3,2 |
| 19.00 | 613 | ჩელსი-მიდლსბრო | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,2 | 5,3 | 10,0 | 18,0 | 10,0 | 10,0 |
| 19.00 | 614 | ქოვენთრი-დერბი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 18,0 | 10,0 | 5,0 |
| 19.00 | 615 | სიტი-ასტონ ვილა | 3,8 | 10,0 | 18,0 | 4,7 | 4,4 | 5,3 | 15,0 | 10,0 | 4,4 |
| 19.00 | 616 | სანდერლენდი-ლიდსი | 3,8 | 10,0 | 18,0 | 4,7 | 4,4 | 5,3 | 15,0 | 10,0 | 4,4 |
| 19.00 | 617 | ვესტ ჰემი-ევერტონი | 2,7 | 12,0 | 20,0 | 3,6 | 4,7 | 8,0 | 15,0 | 10,0 | 6,0 |
| | | **1 აპრილი** | | | | | | | | | |
| 20.00 | 618 | ჩარლტონი-ლესტერი | 3,5 | 12,0 | 18,0 | 4,7 | 4,7 | 5,6 | 15,0 | 10,0 | 4,7 |
| | | **2 აპრილი** | | | | | | | | | |
| 24.00 | 619 | საუთჰემპტონი-იფსვიჩი | 3,5 | 12,0 | 18,0 | 4,7 | 4,7 | 5,6 | 15,0 | 10,0 | 4,7 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | | | | |
| | | **31 მარტი** | | | | | | | | | |
| 18.00 | 620 | ბარი-ლეჩე | 3,4 | 12,0 | 18,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 15,0 | 10,0 | 5,0 |
| 23.30 | 621 | ვიჩენცა-ფიორენტინა | 3,8 | 10,0 | 18,0 | 4,7 | 4,4 | 5,0 | 18,0 | 10,0 | 4,0 |
| | | **1 აპრილი** | | | | | | | | | |
| 18.00 | 622 | ატალანტა-ნაპოლი | 2,2 | 12,0 | 30,0 | 3,2 | 5,0 | 12,0 | 15,0 | 10,0 | 12,0 |
| 18.00 | 623 | იუვენტუსი-ბრეშა | 1,5 | 15,0 | 40,0 | 2,8 | 6,0 | 15,0 | 18,0 | 12,0 | 15,0 |
| 18.00 | 624 | პარმა-ბოლონია | 2,1 | 12,0 | 30,0 | 3,1 | 5,0 | 12,0 | 15,0 | 10,0 | 10,0 |
| 18.00 | 625 | პერუჯა-ინტერი | 4,0 | 10,0 | 18,0 | 5,0 | 4,4 | 4,7 | 18,0 | 10,0 | 3,7 |
| 18.00 | 626 | რეჯინა-უდინეზე | 3,8 | 10,0 | 15,0 | 4,7 | 4,4 | 5,0 | 15,0 | 10,0 | 4,2 |
| 18.00 | 627 | რომა-ვერონა | 1,4 | 15,0 | 40,0 | 2,5 | 6,5 | 18,0 | 18,0 | 12,0 | 16,0 |
| 23.30 | 628 | მილანი-ლაციო | 3,8 | 10,0 | 15,0 | 4,7 | 4,4 | 5,0 | 15,0 | 10,0 | 4,2 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | | | | |
| | | **31.03** | | | | | | | | | |
| 23.00 | 629 | რეალი-ნუმანსია | 1,4 | 15,0 | 40,0 | 2,5 | 6,5 | 18,0 | 18,0 | 12,0 | 16,0 |
| 23.45 | 630 | დეპორტივო-ვილიარეალი | 2,1 | 14,0 | 30,0 | 3,0 | 5,6 | 12,0 | 15,0 | 10,0 | 11,0 |
| 24.00 | 631 | ვალენსია-ესპანიოლი | 1,8 | 14,0 | 30,0 | 2,8 | 5,6 | 13,0 | 15,0 | 11,0 | 12,0 |
| 24.00 | 632 | მალაგა-სელტა | 3,4 | 10,0 | 15,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 15,0 | 10,0 | 4,7 |
| | | **1 აპრილი** | | | | | | | | | |
| 21.00 | 633 | ოვიედო-ალავესი | 3,8 | 10,0 | 15,0 | 4,7 | 4,7 | 5,6 | 15,0 | 10,0 | 4,4 |
| 21.00 | 634 | ვალიადოლიდი-რ.ვალეკანო | 2,8 | 11,0 | 20,0 | 3,8 | 4,7 | 7,0 | 15,0 | 10,0 | 5,6 |
| 21.00 | 635 | რასინგი-სარაგოსა | 3,4 | 10,0 | 18,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 18,0 | 10,0 | 4,4 |
| 21.00 | 636 | მალიორკა-სოსიედადი | 2,0 | 13,0 | 25,0 | 3,0 | 5,3 | 10,0 | 15,0 | 10,0 | 9,0 |
| 22.00 | 637 | ბარსელონა-ლას პალმასი | 1,5 | 15,0 | 35,0 | 2,7 | 6,0 | 15,0 | 15,0 | 12,0 | 15,0 |
| 23.00 | 638 | ბილბაო-ოსასუნა | 2,2 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 5,0 | 10,0 | 15,0 | 10,0 | 9,0 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **კალათბურთი** | | | |
| | | **30 მარტი** | | | |
| 04.00 | 801 | ფილადელფია-გოლდენ სტეიტი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 04.00 | 802 | ტორონტო-ნიუ ჯერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 04.30 | 803 | ბოსტონი-ინდიანა | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 04.30 | 804 | შარლოტი-დენვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 05.00 | 805 | დეტროიტი-ორლანდო | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 06.00 | 806 | იუტა-კლივლენდი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 07.00 | 807 | პორტლენდი-ნიუ იორკი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 07.00 | 808 | სიეტლი-კლიპერსი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 07.30 | 809 | ლეიკერსი-დალასი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 07.30 | 810 | საკრამენტო-მინესოტა | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| | | **31 მარტი** | | | |
| 04.00 | 811 | ვაშინგტონი-ჰიუსტონი | 3,5 | 12,0 | 1,2 |
| 04.30 | 812 | ატლანტა-დენვერი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 05.30 | 813 | ჩიკაგო-მაიამი | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 05.30 | 814 | სან ანტონიო-მილუოკი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 07.30 | 815 | კლიპერსი-კლივლენდი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| | | **1 აპრილი** | | | |
| 21.30 | 816 | ფილადელფია-ინდიანა | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 24.00 | 817 | შარლოტი-ბოსტონი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 24.00 | 818 | პორტლენდი-მინესოტა | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 24.00 | 819 | ვანკუვერი-იუტა | 3,5 | 12,0 | 1,2 |
| 02.30 | 820 | ტორონტო-ორლანდო | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 02.30 | 821 | ლეიკერსი-ნიუ იორკი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 05.00 | 822 | დეტროიტი-გოლდენ სტეიტი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 05.00 | 823 | ნიუ ჯერსი-ჰიუსტონი | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 06.00 | 824 | ფინიქსი-მილუოკი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 06.00 | 825 | საკრამენტო-დალასი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| | | **ჰოკეი** | | | |
| | | **30 მარტი** | | | |
| 04.00 | 901 | ბუფალო-ატლანტა | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| 04.00 | 902 | ოტავა-ბოსტონი | 1,5 | 4,0 | 3,4 |
| 04.00 | 903 | კაროლინა-ვაშინგტონი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.30 | 904 | ფლორიდა-ტამპა ბეი | 1,7 | 4,0 | 2,7 |
| 06.00 | 905 | ედმონტონი-დალასი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 07.00 | 906 | ვანკუვერი-ანაჰაიმი | 1,3 | 4,0 | 5,6 |
| | | **31 მარტი** | | | |
| 24.00 | 907 | ნიუ ჯერსი-რეინჯერსი | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| 24.00 | 908 | ფილადელფია-დეტროიტი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 24.00 | 909 | პიტსბურგი-სენტ ლუისი | 1,8 | 4,0 | 2,5 |
| 24.00 | 910 | ლოს ანჯელესი-კოლორადო | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.00 | 911 | ბოსტონი-აილენდერსი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 04.00 | 912 | მონრეალი-ტორონტო | 2,7 | 4,0 | 1,7 |
| 05.00 | 913 | ნეშვილი-მინესოტა | 1,45 | 4,0 | 3,6 |
| 06.00 | 914 | ფინიქსი-სან ხოსე | 1,8 | 4,0 | 2,5 |
| 07.00 | 915 | კალგარი-დალასი | 2,5 | 4,0 | 1,8 |
| | | **1 აპრილი** | | | |
| 24.00 | 916 | ოტავა-კაროლინა | 1,6 | 4,0 | 3,0 |
| 01.00 | 917 | ატლანტა-რეინჯერსი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 01.00 | 918 | ჩიკაგო-ედმონტონი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.00 | 919 | ტამპა ბეი-ბუფალო | 2,5 | 4,0 | 1,8 |
| 05.00 | 920 | დეტროიტი-ვაშინგტონი | 1,5 | 4,0 | 3,4 |
| 05.00 | 921 | კოლუმბუსი-სენტ ლუისი | 2,5 | 4,0 | 1,8 |
| 06.00 | 922 | ანაჰაიმი-ვანკუვერი | 2,6 | 4,0 | 1,75 |
| | | **2 აპრილი** | | | |
| 04.00 | 923 | ბოსტონი-მონრეალი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 04.30 | 924 | აილენდერსი-პიტსბურგი | 2,7 | 4,0 | 1,7 |
| 04.30 | 925 | ფლორიდა-ბუფალო | 2,7 | 4,0 | 1,7 |
| 05.30 | 926 | დალასი-კალგარი | 1,45 | 4,0 | 3,6 |
| 06.00 | 927 | კოლორადო-ედმონტონი | 1,45 | 4,0 | 3,6 |
| 07.30 | 928 | ლოს ანჯელესი-ვანკუვერი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 07.30 | 929 | სან ხოსე-მინესოტა | 1,35 | 4,0 | 5,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# მაშ, ვინღაა სპორტსმენი?!

## ალანიამ ოპონენტებს ჩაქნეული ხელი ააწევინა

ბორჯღალის კაცები

**კახა ალანია**



***ამ ბიჭმა დიდი რაგბი უნდა ითამაშოსო, ერთხმად აღიარებდნენ რაგბის სპეციალისტები. ჰქონდათ კიდეც ამის საბაბი. საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრს და „ლოკომოტივის“ კაპიტანს ხომ ყველანაირი მონაცემი აქვს, რათა სერიოზულ წარმატებებს მიაღწიოს. ამაში თანდაყოლილი, ბუნებრივი ნიჭიც უწყობს ხელს და შრომისმოყვარეობაც. პირველი ჯილდო ჯერ კიდევ ცამეტი წლისამ მოიგო. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში იუნიორთა შორის „ოქროს ოვალის“ ოქროს მედალი ირგუნა „ივერიის“ შემადგენლობაში. მერე იყო თბილისის „მიმინო“ და „თბილისი“. 1994 წელს „თბილისთან“ ერთად საქართველოს ჩემპიონი და თასის მფლობელი გახდა. ექვსი წლის შემდეგ ამ შედეგს კვლავ მიაღწია: ამჯერად „ლოკომოტივს“ დაეხმარა დუბლის შესრულებაში. „პელე“, როგორც კახა ალანიას მეგობრები უწოდებენ, ნაკრებს საკმაოდ დიდი ხნით იყო ჩამოშორებული. და აი, წლევანდელ „ევროპის ერთა თასზე“ კვლავ მოირგო 12-ნომრიანი მაისურა.***

**— სამწლიანი შესვენების შემდეგ ეროვნულ ნაკრებში კვლავ გამოგიძახეს...**

— ჩემი მიზანიც ეგ იყო. ძალიან მინდოდა, ეროვნულ ნაკრებში ისევ მეთამაშა. უკვე პატარა აღარ ვარ. 27 წელი ის ასაკია, როდესაც მორაგბემ მთელი თავისი შესაძლებლობები უნდა გამოავლინოს. ნაკრებში თამაშით კი ბევრი რამის დამტკიცება შემიძლია.

**— ნაკრებთან სამწლიანი განშორება რით იყო გამოწვეული?**

— იყო რაღაც-რაღაც მიზეზები. ერთხანს ნორმალურად არც მივარჯიშია. ტრავმებმაც თავისი ქნა. გარდა ამისა, სხვადასხვა გარემოებებმაც შემიშალა ხელი, რომელთა დაკონკრეტება არ მინდა. ზოგმა ისიც თქვა, კახა ალანია სპორტსმენი არ არისო. ჩემზე რატომღაც ხელი ჰქონდათ ჩაქნეული, სერიოზულად აღარავინ აღმიქვამდა. ძალიან მსურდა საპირისპიროს დამტკიცება და, როგორც ხედავთ, ჩემსას მაინც მივაღწიე. ყოველ შემთხვევაში, ნაკრებში ტყუილუბრალოდ არავინ გამოგიძახებს.

**— შენი თამაშით თუ ხარ კმაყოფილი?**

— კმაყოფილი ვარ, მაგრამ უფრო მეტის გაკეთება შემიძლია. თავიდან კარგად დავიწყე, ჰოლანდიასთან ნორმალურად ვითამაშე, მერე პორტუგალიასთან ტვინის შერყევა მივიღე. რუსებთან მატჩიც სწორედ ამის გამო გამოვტოვე. ყველაზე მეტად გული სწორედ ამაზე დამწყდა. ერთი სული მქონდა, რუსებს როდის დავუპირისპირდებოდი. სიმართლე გითხრათ, ნაკრებში დაბრუნება უფრო იმიტომ გამიხარდა, რომ მათთან მომიწევდა თამაში. ახლა უკვე გამოვჯანმრთელდი. ესპანეთის წინააღმდეგ მეორე ტაიმში შეცვლაზე შევედი. რუმინელებთან მატჩის წინ კი სრული დატვირთვით ვვარჯიშობ.

**— ნაკრებში შენი დაბრუნება იმანაც ხომ არ განაპირობა, რომ განვლილ სეზონში „ლოკომოტივმა“ ჩემპიონატიც მოიგო და თასიც. კახა ალანია კი ყველაზე გამორჩეული ფიგურა იყო რკინიგზელთა შემადგენლობაში...**

— ალბათ, ამანაც იქონია გავლენა. შარშან მართლაც კარგ ფორმაში ვიყავი მეც და მთელი გუნდიც. ძალიან ძლიერი შემადგენლობა გვყავს. მეამაყება, რომ „ლოკომოტივის“ კაპიტანი ვარ. ისე, ადრეც შეგვეძლო, ჩემპიონები გავმხდარიყავით, მაგრამ თითქოს სულ რაღაც გვაკლდა. ეს რაღაც კი დრომ მოიტანა. ნელ-ნელა შევთამაშდით, დავოსტატდით, გუნდიც შეიკრა და შედეგიც მივიღეთ.

**— ეს უკვე წარსულია. „ლოკომოტივის“ მომავალს როგორ უყურებ?**

— მიღწეულით ნამდვილად არ დავკმაყოფილდებით. მით უფრო, რომ პოტენციაც და შესაძლებლობაც გაგვაჩნია საიმისოდ, რომ უკეთ და უკეთ ვითამაშოთ. მომავალ სეზონში შედეგის გამეორებას ვაპირებთ. გარდა ამისა, მაისში ბათუმში საერთაშორისო ტურნირი მოეწყობა. შარშან ფინალში კრასნოიარსკის „კრასნი იართან“ დავმარცხდით. წლეულს კი ამ ტურნირის მოგებას ვგეგმავთ.

**— ეროვნულ ნაკრებში შენი პირველი მატჩი თუ გახსოვს?**

— ამას რა დამავიწყებს. 1993 წელს სტუმრად ლუქსემბურგის გუნდს ვეთამაშეთ. 19 წლის ვიყავი და ძირითად შემადგენლობაში დავიწყე მატჩი, რომელიც ფრით, 10:10 დასრულდა.

**— ლუქსემბურგის დონეს თუ გავითვალისწინებთ, იღბლიანი დებიუტი ნამდვილად არ ეთქმის.**

— მართალია. მაშინ ქართულ რაგბიში არეულობა სუფევდა. მორაგბეები მიმოფანტულნი იყვნენ. ზოგიც რაგბის იყო ჩამოშორებული. ნაკრების მთავარი მწვრთნელი მაშინ თემურ ბენდიაშვილი იყო. მან ბიჭები შეკრიბა და პრაქტიკულად უვარჯიშებელნი ჟენევში გავემგზავრეთ, სადაც მატჩი უნდა გამართულიყო. ყველაფერმა ამან შედეგზე იქონია გავლენა. დღეს რომ ლუქსემბურგის ნაკრები სადმე გადაგვეყაროს, დარწმუნებული ვარ, ასი ქულის სხვაობით მოვუგებთ.

**— ჩვენმა გუნდმა მართლაც ძალიან მოუმატა...**

— ყველაფერი კანონზომიერია. ადრე გერმანიის ან დანიის დარ გუნდებს მხოლოდ ათი-ოცი ქულის სხვაობით ვამარცხებდით. ახლა კი ესპანეთს, პორტუგალიას და ჰოლანდიას უპრობლემოდ, კატასტროფული ანგარიშით ვუგებთ. ეს ჩვენი მორაგბეების უცხოეთში მიგრაციამ გამოიწვია. ბიჭები პროფესიონალებად ჩამოყალიბდნენ. გამოცდილებაც შეიძინეს და შესანიშნავ პირობებში ვარჯიშობენ. არ შეიძლება, ამ გარემოებამ დადებითად არ იმოქმედოს გუნდზე.

**— დღემდე ეროვნულ ჩემპიონატში ასპარეზობ. უცხოეთში თამაში არ გიცდია?**

— როგორ არა. ოთხი წლის წინ საკმაოდ სარფიანი წინადადებაც მივიღე იტალიიდან. კლუბ „როვიგოდან“ დამიკავშირდნენ. ამ კლუბში არჩილ ქავთარაშვილი თამაშობდა. სწორედ არჩიკოს გაუწევია ჩემთვის რეკომენდაცია. ერთი კვირა „როვიგოში“ ვივარჯიშე, საწვრთნელ მატჩებშიც მივიღე მონაწილეობა. კლუბის უფროსობა ჩემით კმაყოფილი დარჩა. მაგრამ კონკრეტულად არ გვისაუბრია და მეც საქართველოში დავბრუნდი, ხორვატების წინააღმდეგ უნდა მეთამაშა. მალე ქავთარაშვილიც ჩამოვიდა და თან თანხა გადმომცა. თურმე იტალიელებს ვიზის და ბილეთის ფული გამოუტანებიათ, კახა ჩვენთან ჩამოვიდეს, კონტრაქტს გავუფორმებთო, მაგრამ აღარ წაველი. მაშინ მუშაობის დაწყება მინდოდა, მერე რაღაც პირადი პრობლემები შემექმნა. სიტუაცია ავწონ-დავწონე და იტალიელთა შემოთავაზებაზე უარი ვთქვი.

**— ამის შემდეგ გქონდა მოწვევები?**

— ახლახანს კლოდ სორელმა მითხრა, პირდაპირ „ელიტ 2“-ის კლუბში მოგაწყობ, წამოდი, კარიერა საფრანგეთში გააგრძელეო, მაგრამ მასაც უარი ვუთხარი.

**— რატომ?**

— საფრანგეთში რომ წავიდე, ოჯახს სულ ცოტა ერთი წლით უნდა მოვწყდე. მე კი მეუღლე მყავს, შვილიც შემეძინა, არ მინდა ამხელა დროით ოჯახი მივატოვო.

**— მამას რა სურს, პატარა მიშიკომაც რაგბი ითამაშოს?**

— აბა, როგორ. მართალია, ჯერ მხოლოდ ოთხი თვისაა, მაგრამ აღნაგობა ისეთი აქვს, აქედანვე ეტყობა, კარგი მორაგბე დადგება. თავიდან ცურვაზე შევიყვან. თხილამურებზეც დავაყენებ, მუხლი გაუმაგრდება და რაგბისაც ვაზიარებ.

**— კახა, უკვე 27 წლის ხარ, ადრე თუ გვიან რაგბის გამოეთხოვები.**

— ჰო, მაქსიმუმ ხუთი-ექვსი წელი ვიასპარეზო მაღალ დონეზე, მინდა ეს დრო მთლიანად „ლოკომოტივსა“ და ნაკრებს მოვახმარო. დიდი სურვილი მაქვს, მსოფლიოს თასზე ვითამაშო.

**— რაგბის თამაშს თავს რომ დაანებებ, მერე რას გააკეთებ?**

— რაგბის გარეშე ერთ წუთსაც ვერ გავძლებ. ალბათ, ისევ რაგბის ოჯახში ვიტრიალებ. მწვრთნელი ვიქნები თუ სხვა ამპლუაში მოგევლინებით, წინასწარ ვერაფერს გეტყვით.

**ბაჩო სვანიძე**

მია ახალაძის ფოტო



„ლოკომოტივის“ ლიდერი და კაპიტანი კახა ალანია (ბურთით) საქართველოს ნაკრებში ისევ მოწინავეა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# პრივალოსანი



დავიდ ტუამ დაჭრილის დახმარება სცადა, მაგრამ ვერ უშველა

**მძიმე** წონის ტიტულის ყოფილი მაძიებელი, დავიდ ტუა გულგახეთქილი უყურებდა, როგორ მოკლა ვეფხვმა კაცი. ვეფხვის თავდასხმის შემდეგ დაჭრილის გადარჩენა ტუამ გულწრფელად სცადა, მაგრამ ვერაფერს გახდა.

ეს ამბავი ლას ვეგასში მოხდა, სადაც ახალზელანდიელი, წარმოშობით კი სამოელი დავიდი ვარჯიშობს. საქმე ის გახლავთ, რომ ტუას სავარჯიშოდ ლას ვეგასის „საფარი პარკის“ ტერიტორიის ნაწილი აქვს დაქირავებული, ხოლო ვეფხვი ადამიანს სწორედ „საფარი პარკში“ დაესხა თავს.

გაზეთი „ლას ვეგას სანი“ წერს, რომ მოკრივე თავის ოთახში ისვენებდა, როდესაც ვეფხვის ღრიალი მოესმა. დაუყოვნებლივ გაისმა 25 წლის ერიკ ბლუმის ყვირილიც. ტუა მყისვე გაიქცა იქით, საიდანაც ხმა ისმოდა და ნახა, როგორ იცლებოდა ახალგაზრდა კაცი სისხლისგან. ის თურმე ცხოველების მომვლელი ყოფილა. ამ დროს მეორე მომვლელი, ჯოშ ვეინსტეინი მხეცს გაავებული ურტყამდა ნიჩაბს.

ტუამ სასწრაფოდ დარეკა სასწრაფოში და დაჭრილთან დაბრუნდა. ამის თაობაზე მისმა მწვრთნელმა კევინ ბერიმ განაცხადა: „დავიდს თავისუფლად შეეძლო ყური არ შეებერტყა, მან კი ნაიარევ ადგილებზე ნაჭრის შემოჭერა სცადა. ის მთლიანად სისხლით იყო მოთხვრილი.“

**მძიმე** წონაში ლენოქს ლუისის გამომწვევი, ამერიკელი ჰასიმ რაჰმანი ბრძოლის ადგილას, სამხრეთ აფრიკაში, კერძოდ იოჰანესბურგში ჩავიდა. მოგეხსენებათ, რაჰმანი ლუისის დამარცხებას და მსოფლიოს უპირობო ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას 21 აპრილს შეეცდება.

მოგეხსენებათ, ამ ბრძოლას, 1974 წელს ჯორჯ ფორმენისა და მუჰამედ ალის მიერ კინშასაში გამართული კრივის ანალოგიით „ბრდღვინვა ჯუნგლებში“ შეარქვეს.

„თავს ჩინებულად ვგრძნობ და ნამდვილი ომისთვის ვარ მზად“ — უთხრა რაჰმანმა სააგენტო IPF-ს იოჰანესბურგის აეროპორტში. ამერიკელს მწვრთნელი სტენ ჰოფმენი, სპარინგ-პარტნიორები და ნათესავები ჩაჰყვნენ.

თავიდან იგი ამერიკის შეერთებულ შტატებს გარეთ ჩხუბს კატეგორიულად უარყოფდა, მაგრამ საბოლოოდ სამხრეთ აფრიკის ყოფილ პრეზიდენტთან, ნელსონ მანდელასთან შეხვედრის ეშხით დაყაბულდა. გარდა მანდელასთან საუბრისა, რაჰმანს შესაძლო ტიტული და 1,5 მილიონი დოლარი ელის.

პრეტენდენტმა თქვა, რომ ლუისის წინააღმდეგ მას კონკრეტული სტრატეგია არ შეურჩევია: „იცით, რა არის ლუისის ძლიერი მხარე? მე არ მაინტერესებს, რადგან თავად ბევრი ძლიერი მხარე მაქვს. ერთი კონკრეტული სტილის მოკრივე თავად არ გახლავართ და ვარჯიშებზეც რამდენიმე ვარიანტს ვამუშავებ. თუ დაკვირვებიხართ, ლენოქსი ხან კაციჭამიასავით იბრძვის, ხანაც მშვიდად, თითქოს მოყვარული მოკრივეაო, ერთი სიტყვით, ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, მეტოქე რას შემომთავაზებს.“

**მძიმე** წონაში WBO-ს ჩემპიონი ვლადიმირ კლიჩკო და მისი უფროსი ძმა ვიტალი, რომელიც ევროპის ჩემპიონი გახლავთ, ამიერიდან გერმანულ საპრომოუტერო ფირმა „უნივერსუმთან“ კიდევ სამი წლით არიან შეკრული.

ახალი კონტრაქტის თანახმად გერმანიაში მცხოვრები უკრაინელი ძმები „უნივერსუმთან“ ერთად 2004 წლის 30 აპრილამდე ისაქმიანებენ.

მოგეხსენებათ, ერთი ხნის წინ ვლადიმირ კლიჩკომ ამერიკელი დერიკ ჯეფერსონი დაამარცხა და ეს ბრძოლა თვით ამერიკულმა ტელეკომპანია HBO-მ გადასცა. ამან კლიჩკოს სახელი მოუტანა და საქმე უკვე იქამდე მივიდა, რომ მისი და ლენოქს ლუისის შესაძლო ბრძოლაზეც კი დაიწყეს ლაპარაკი.კარიერა დაუბრკოლა.

**მძიმე** წონის ერთხანს მაღალრეიტინგიანი მოკრივე ნიგერიელი აიკ იბეაბუჩი 1999 წლის ივლისში ჩადენილი სექსუალური დანაშაულისთვის დააპატიმრეს — სასამართლო ელის.

არადა, იბეაბუჩიზე ამბობენ, ავადმყოფი კაციაო. ექიმები ამტკიცებენ, რომ მას ბიპოლარული ან შიზოეფექტური დარღვევები აქვს, მაგრამ გამოკვლევებზე მისვლას უარობს.

იბეაბუჩის კარიერაში 20 მოგება აქვს, მათგან 15 ნოკაუტით, მერე კი ზემოხსენებულმა სექსუალურმა დანაშაულმა

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი



ჩიკაგო — ოტავა. მეკარე ჟოსლინ ტიბომ და ჭეიმი ელისონმა (№33) ოტაველ მაიკ სილინჯერს ამჯერად არ გაატანინეს

# ქარიშხლები ჩაცხრნენ

28 მარტი

**რეინჯერსი 4:2 აილენდერსი (1:0 2:1 1:1)**
1:0 გრომეკი 7 (7), 2:0 მალოტრა 26 (3), 3:0 პლავაჩი 29 (27), 3:1 ჩერკავსკი 36 (28), 4:1 ნედველი 57 (30), 4:2 კვაშა 60 (9)

**ტორონტო 0:3 ბოსტონი (0:0 0:1 0:2)**
0:1 ...რნტონი 22 (34), 0:2 როლსტონი 46 (18), 0:3 გურინი 57 (39)

**ვაშინგტონი 7:0 კაროლინა (1:0 4:0 2:0)**
1:0 ჰალპერნი 2 (19), 2:0 დალინი 22 (13), 3:0 ნიკოლიშინი 25 (12), 4:0 კ. იუჰანსონი 34 (7), 5:0 ლინდენი 36 (13), 6:0 ჰალპერნი 45 (20), 7:0 უიტი 51 (3)

**ატლანტა 2:4 ნიუ ჯერსი (0:0 1:2 1:2)**
0:1 რაფალსკი 23 (9), 1:1 დომენიჩელი 31 (14), 1:2 მოგილნი 38 (38), 2:2 ბრიუნეტი 48 (14), 2:3 მოგილნი 54 (39), 2:4 ბრილინი 58 (22)

**დეტროიტი 5:2 სენტ ლუისი (2:2 1:0 2:0)**
0:1 კორსო 7 (8), 1:1 დევერო 17 (4), 2:1 მოლტბი 19 (12), 2:2 სტილმანი 26 (24), 3:2 შენაჰანი 40 (30), 4:2 ლარიონოვი 54 (9), 5:2 ლაპოინტი 60 (25)

**ფლორიდა 2:2 მონრეალი (1:0 1:1 0:1 0:0)**
1:0 პროსპალი 20 (5), 1:1 რუჩინსკი 34 (15), 2:1 ნიდერმაიერი 35 (11), 2:2 პეტროვი 60 (14)

**მინესოტა 0:2 ფინიქსი (0:1 0:0 0:1)**
0:1 დოუნი 1 (24), 0:2 დოუნი 49 (25)

**ჩიკაგო 2:5 ოტავა (1:1 1:2 0:2)**
1:0 ამონტე 1 (33), 1:1 მაკიჩერნი 16 (31), 2:1 ჟამნოვი 21 (13), 2:2 ჰოსა 25 (32), 2:3 იაშინი 28 (36), 2:4 ფიშერი 49 (5), 2:5 სილინჯერი 57 (16)

**ედმონტონი 4:1 კოლორადო (1:0 1:0 2:1)**
1:0 რ. სმიტი 10 (28), 2:0 მორო 22 (9), 2:1 ტანგეი 52 (26), 3:1 რ. სმიტი 53 (29), 4:1 გრირი 60 (18)

**ვანკუვერი 1:3 დალასი (0:1 1:2 0:0)**
0:1 დონატო 16 (7), 1:1 ჟოვანოვსკი 22 (11), 1:2 ლანგენბრუნერი 23 (11), 1:3 დონატო 82 (8)

რაც უფრო ახლოვდება ჩემპიონატის ფინიში, საპლეიოფო ორომტრიალიც მძაფრდება. ეს განსაკუთრებით დასავლეთს ეხება, სადაც სამი საგზურისთვის ოთხი გუნდი იბრძვის. საქმეში (ცხრილში) ჩახედული კაცი, ალბათ, ეჭვის თვალით შეხედავს ამ განცხადებას, იტყვის, ჯერჯერობით თასისთვის ბრძოლის 4 მონაწილეა ცნობილი და თავისუფალი ადგილიც ხომ ამდენივეაო. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ მეხუთე ადგილზე მყოფი ედმონტონის თამაში გვაძლევს იმის საბაბს, ეს გუნდიც პლეი ოფის მონაწილედ ჩავთვალოთ. „ოილერსი“ ერთობ დამაჯერებლად და მამაცურად ირჯება. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანებში ძალიან მძიმე განრიგი ჰქონდათ, ედმონტონელებმა სწორედ გადამწყვეტ მომენტში მიაღწიეს ფორმის პიკს, ერთ მუშტად შეიკრნენ, ზედიზედ ნიუ ჯერსისა და ფილადელფიას სძლიეს და მათ კოლორადოც მიაყოლეს. არა, დენვერელებს ეს მატჩი რომ მოეგოთ, პრაქტიკულად დაიბევებდნენ პირველ ადგილს და ბოლო 5 თამაშში სულის მოთქმის საშუალება ექნებოდათ. გარდა ამისა, მათთვის ეს მოგება საიუბილეო, 50-ე იქნებოდა პირველობაში, რაც გუნდის რეკორდიც არის, მაგრამ მასპინძლებმა მრისხანე მეტოქეს შანსი არ დაუტოვეს. ედმონტონელებმა კლანჭებში მოიქციეს კოლორადოს ლიდერები — ჯო საკიკი და პეტერ ფორსბერგი (ორივეზე მხოლოდ ერთი პასი მოდის) და გასაქანი არ მისცეს. თან თამაშიც ძალიან კორექტულად ჩაატარეს. სტუმრებს მხოლოდ ერთხელ მიეცათ რიცხვმრავლობის გამოყენების შესაძლებლობა. კვლავ გამოირჩა ბოლო მატჩებში ათამაშებული რაიან სმიტი. მან ჯერ ანგარიში გახსნა, როცა ერიკ ბრიუერის დარტყმას ოსტატურად შეუცვალა მიმართულება, ალექს ტანგეის საპასუხო გოლი შემდეგ კი, 69 წამში, კვლავ დაამწუხრა მეტოქენი და საბოლოოდაც გატეხა. აღსანიშნავია, რომ ეს ბოლო 18 მატჩში კოლორადოს მეორე მარცხია.

აი, დანარჩენ გუნდებზე კი ამას ვერ ვიტყვით. თუნდაც ვანკუვერზე, რომელსაც ორი ლიდერი — მარკუს ნესლუნდი (სეზონის ბოლომდე ველარ მობრუნდება) და ენდრიუ კესელსი აკლია და ეს მის შეტევას ძალიან დაეტყო. ამჯარადაც პლეი ოფის მოახლოებისთანავე ათამაშებულ დალასს (ბოლო 8 მატჩია, არ წაუგია) ერთ გოლზე მეტი ვერ გაუტანა. დალასელებიდან კი ტედ დონატომ ისახელა თავი. მან 2 გოლს 2 პასიც დაამატა.

დანარჩენ დასავლურ გუნდებს, რომლებიც პლეი ოფისთვის იბრძვიან, არ უთამაშიათ, ამიტომაც აღმოსავლეთზე გადავიდეთ, სადაც გაცილებით მარტივი დილემაა გადასაწყვეტი — ერთი საპლეიოფო ადგილი და ორი მაძიებელი: ბოსტონი და კაროლინა. რამდენიმე დღის წინ ამ მეტოქეთა შორის პირველად, ალბათ, კაროლინას ვახსენებდით, მაგრამ ბოლო ორი მატჩი „ქარიშხლებმა“ უნიათოდ ჩაატარეს. მონრეალთან თამაშის შემდეგ თავკაცი პოლ მორისი ძალიან გაცხარდა, მაგრამ ამაოდ. მისი შეგირდები კვლავ ინერტულნი იყვნენ და ამჯერად ვერც მეკარე არტურ ირბემ უშველათ. ზედიზედ მე-20 თამაშში მოასპარეზე ლატვიელმა მანამდე არაერთხელ მოუნაგრა გუნდს ქულები, მაგრამ ვაშინგტონთან ერთი-ორი შაიბა მის სინდისზეა. თუმც როცა თამაში 0:7 მთავრდება, უხერხულია მარტო მეკარეზე ლაპარაკი. ვაშინგტონმა გაილაღა. თვით ტრევორ ლინდენმაც გაიტანა, რომელიც დედლაინზე გადავიდა მონრეალიდან და ჯერ მხოლოდ ეჩვევა ახალ გარემოს.

აი, ბოსტონმა კი სრულიად საპირისპირო თამაში და შედეგი აჩვენა. თავად „დათვების“ თავკაცი მაიკ კინენიც კი გაოგნებული დარჩა — მისმა მცველებმა და მეკარე ბაირონ დაფომ (24 მოგერიება) უმაღლეს დონეზე ითამაშეს. ედმონტონისა არ იყოს, ბოსტონელებიც ძალიან კორექტულნი იყვნენ, 60 წუთის განმავლობაში ერთხელაც არ დაურღვევიათ თამაშის წესები და მეტწილად ჯო ტორნტონის (1 გოლი, 1 პასი) ძალისხმევით მოპოვებული მოგების ხარჯზე გუნდი ქულებით კაროლინას გაუტოლდა.

სენტ ლუისში ნერვიულობენ. კრის პრონგერის და კიდევ რამდენიმე მოთამაშის ტრავმები უეჭველად მძიმე დანაკლისია, მაგრამ პლეი ოფს ისინი სრულიად ჯანმრთელნი შეხვდნენ, აი, მეკარის პოზიციის გაძლიერებას კი ველარ შეძლებენ. არადა, რომან ტურეკმა მართლაც რომ საგანგაშოდ უმატა შეცდომებს. გადამწყვეტი, მესამე გოლი ამჯერადაც მის სინდისზეა. ბრენდან შენაჰანის მახვილი კუთხიდან დარტყმული თითქოს ცუდს არაფერს უქადდა სტუმრებს, მაგრამ რომანმა ფეხებს შუა გაუშვა შაიბა და ხელი შეუწყო „წითელფრთიანებს“, შინ ხეირიანი სერია 16 მატჩამდე გაეზარდათ.

**სამველ ლარიბიანი**

ბომბარდირები: საკიკი (კოლორადო) 109 (46+63), იაგრი 108 (44+64), სტრაკა (ორივე პიტსბურგი) 91 (26+65), პ. ბურე (ფლორიდა) 90 (58+32), კოვალიოვი (პიტსბურგი) 88 (42+46), ელიაში (ნიუ ჯერსი) 86 (34+52), ელისონი (ბოსტონი 86 (31+55), ფორსბერგი (კოლორადო) 86 (27+59), იაშინი (ოტავა) და რობიტაილი (ლოს ანჯელესი) 82 (36+46), უეიტი (ედმონტონი) 81 (21+60), ბონდრა (ვაშინგტონი) 80 (45+35), პალფი (ლოს ანჯელესი) 80 (32+48), ოუთსი (ვაშინგტონი) 80 (13+67).

# მედიკოსთა დღე

კი ბისკეინი (აშშ). „ერიქსონის თასი“. ჰარდი. საპრიზო 6,12 მილიონი $



ჯენიფერ კაპრიატიმ სერენა უილიამსი დასცა

REUTERS

### ქალები

**მეოთხედფინალი: ჯენიფერ კაპრიატი (4, აშშ) — სერენა უილიამსი (5, აშშ) 6:4, 7:6 (7:5)**

ინდიან უელსის ტურნირზე ვინუს უილიამსის ბოლო წამს მიღებული გადაწყვეტილებას, ტრავმის გამო უმცროს დასთან გაჯიბრებაზე უარი ეთქვა, ამ უკანასკნელისთვის უსიამოვნების მეტი არაფერი მოუტანია. ჯერ იყო და იქვე, კალიფორნიაში, მაყურებლებმა მთელი ბოლმა სერენაზე გადმოანთხიეს და ფინალში უმოწყალოდ უსტვინეს, ახლა კი კი ბისკეინში ქომაგთა აღშფოთების თავიდან ასაცილებლად მას ტრავმირებულს მოუხდა თამაში.

„მარცხენა ბარძაყის კუნთი ორი კვირის წინ დავიჭიმე. ჩემი პირადი ექიმი სულ თავზე მადგა, მაგრამ არაფერი მეშველა, დღიდან დღემდე უფრო ცუდად ვგრძნობ თავს. ტკივილის მიუხედავად, ჯარისკაცივით ბოლომდე უნდა გამეძლო, პრესამ ისე გამოგვლანძღა, ახლა რომ მეც მეუარა თამაში, არ ვიცი, რა მოხდებოდა“ — არ დაუმალავს ჟურნალისტებისთვის სერენას.

უილიამსების შელახული რეპუტაციის გავლენა ოთხშაბათს „ერიქსონის თასის“ მეოთხედფინალშიც აშკარად იგრძნობოდა. შავი კლანის წევრების გამოხტომებით თავმობეზრებული და გაღიზიანებული ფლორიდელები ორი ამერიკელის შეხვედრაში აშკარად ჯენიფერ კაპრიატის გულშემატკივრობდნენ. ამჯერად სერენასთვის არ უსტვენიათ, მაგრამ მის შეცდომებს ბევრი ტაშისცემით ხვდებოდა.

უილიამსმა ქომაგთა გული ვერც იმით მოიგო, რომ გათამაშებებს შორის ხშირად ტკივილისგან იმანჭებოდა და ოდნავ კოჭლობდა. უნდობლობა ასეთი ქცევის მიმართ ტრიბუნებზე მსხდომთა გარდა თავად კაპრიატიმაც გამოთქვა. „ვცდილობდი, ამისთვის ყურადღება არ მიმექცია. რაღაც რიგზე რომ ვერ იყო, მხოლოდ მატჩის ბოლოს შევატყვე, როდესაც მან სირბილს უკლო. არ ვიცი, ამით ჩემთვის კონცენტრაციის გაფანტვა სურდა თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მაინცდამაინც ურიგოდ არ თამაშობდა“.

ავადმყოფი მეტოქის შემყურე კაპრიატიმ მეორე ხელში მაინც აურია, უდროო ორმაგი შეცდომებით სერენას თავის დაძვრენის იმედი გაუჩინა და საქმე შესამჩნევად გაირთულა. ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონს 4:5-სა და 5:6-ზე სამი სეტ-პოინტის გადარჩენა მოუხდა და მოულოდნელად თამაშისა და სირბილის იშტაზე მოსულ უილიამსს ლაგამი დიდი გაჭირვებით ამოსდო.

„ამჟამად საოცრად მიზანმიმართული ვარ და საკუთარი ძალების, როგორც არასდროს, ისე მჯერა. ავსტრალიის ღია პირველობის მოგება ყოველ წუთს, ყოველ წამს მახსოვს. დღესაც სულ სხვადასხვა, უცნობი ადამიანები მოდიან ჩემთან და მილოცავენ“ — აღნიშნა კაპრიატიმ, რომელსაც, უილიამსის არ იყოს, კორტზე ექიმის ხმობა დასჭირდა კოჟრის საწამლოდ.

**ელენა დემენტიევა (8, რუსეთი) — ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — 6:3, 1:0 — ტრავმა.**

თუ სერენა უილიამსს რამდენიმე საათით ადრე დიდი ძალისხმევა დასჭირდა მატჩის ბოლომდე მისაყვანად, მეორე ჩოგან ლინდსი დევენპორტს სინდისს ძველი ცოდვები არ უმძიმებდა. ამიტომაც მუხლის ტკივილმა ძალიან რომ შეაწუხა, ქომაგების მხრიდან ვენდეტის მოწყობის შიშის გარეშე დანებდა მეოთხედფინალში.

„წინა მატჩში უხერხულად დავხტი ცალ ფეხზე. მუხლი მაშინვე ამტკივდა. ექიმებმა მითხრეს, რომ ძვალი დავიზიანე, დღეს ათასჯერ ვიკითხე, საშიში ხომ არ იყო ასე თამაში და მხოლოდ მერე გადავწყვიტე კორტზე გამოსვლა. სამწუხაროდ, მეორე ხელის დასაწყისში, ტრავმამ მეტისმეტად შემაწუხა. ქურციკივით ისედაც არ დავრბივარ, მაგრამ თუ მოძრაობა კიდევ უფრო მიჭირს, რა აზრი აქვს, ხეირიანი მეტოქეების წინაამდეგ ასპარეზობა გავაგრძელო“.

დევენპორტმა მატჩი არცთუ ურიგოდ დაიწყო, 2:2-ზე დემენტიევას მოწოდებაც აართვა, მაგრამ მერე ზედიზედ ხუთი გეიმი წააგო და ექიმთან კონსულტაციის შემდეგ მეტოქეს ხელი ჩამოართვა.

„წარმოდგენა არ მქონდა, თუ მას რაიმე სტკიოდა. თავად არც ისე კარგად ვთამაშობდი, ღამე, მით უმეტეს ქარში, ასპარეზობა არ მიყვარს — აღნიშნა 19 წლის რუსმა, რომელიც ორშაბათიდან კლასიფიკაციაში მერვე ადგილზე აღზევდება — გაკვირვებული ვარ, იმდენი ქულა მქონდა ამ ორ ტურნირზე დასაცავი, მეგონა, პირიქით, უკან დავიხევდი. აშშ-ში ფავორიტებთან პაექრობა იოლია, თამაში უფრო მოსკოვში მიჭირს ჩემიანების თვალწინ, ზეწოლას იქ უფრო ვგრძნობ“.

რაც შეეხება დევენპორტს, ორშაბათიდან ის კლასიფიკაციაში ერთი საფეხურით ჩამოქვეითდება და ადგილს ვინუს უილიამსს დაუთმობს.

### ვაჟები

**მეოთხედფინალი: ლეიტონ ჰიუიტი (7, ავსტრალია) — ენდი როდიკი (აშშ) 6:3, 6:2; ჟან-მაიკლ გემბილი (19, აშშ) — გასტონ გაუდიო (31, არგენტინა) 3:6, 7:5, 6:4.**

18 წლის ენდი როდიკის ოდისეას კი ბისკეინში ავსტრალიელმა ლეიტონ ჰიუიტმა დაუსვა წერტილი. პიტ სამპრასისა და მარსელო რიოსის გამამწარებელი როდიკი უმწეო გამოდგა მეტოქის ზუსტი მიღება-შემოვლებულების წინაამდეგ. ჰიუიტი დაუღალავად და ქარივით დარბოდა, რათა ამერიკელის მძლავრ დარტყმებს დასწეოდა, ყველაფერს უკან აბრუნებდა და მსოფლიოს საუკეთესო იუნიორს აიძულებდა, ადრე თუ გვიან შეცდომა დაეშვა.

„ამდენ თამაშს დაუჩვეველს მაჯა ამტკივდა და თამაშში ხელს მიშლიდა, თუმცა ჰიუიტი დღეს ისედაც მაჯობებდა — განაცხადა ამერიკელმა — ეს ჩემი კარიერის საუკეთესო კვირა იყო, ასე რომ, იმედგაცრუების მიზეზი არ მაქვს. ამიერიდან ATP ტურის დიდ ბიჭებთან გაჯიბრების შანსი ხშირად მომეცემა“.

ჰიუიტის მომდევნო მეტოქე კიდევ ერთი ამერიკელი, ჟან-მაიკლ გემბილი იქნება. დაკუნთულმა იანკიმ, ისევე, როგორც მეორე წრის მატჩში ენდრიუ ილის წინააღმდეგ, ამჯერადაც მატჩ-პოინტების გადარჩენის შემდეგ გააღწია მომდევნო წრეში. ხელიდან გაშვებულ შანსებზე მან ახლა არგენტინელი გასტონ გაუდიო ააწუწუნა. გემბილი ამავე დროს ერთადერთია სალაზარეთოდ გამზადებულ მეოთხედფინალისტთაგან, ვინც ამ დღეს მეტოქის დამარცხება მოახერხა — მას მხრის ტკივილი აწუხებს.

**ავთანდილ სვანიძე**



# კორეელმა კომუნისტებმა ოდნავ დაიხიეს

**ჩრდილოეთ კორეიდან** პოლიტიკური მნიშვნელობის ამბავი მოვიდა — იმ ქვეყნის მთავრობამ ფხენიანის მარათონში მონაწილეობის ნება 30 უცხოელ მორბენალს დართო, რაც მთლად პირველი შემთხვევა არ არის. პირველი შემთხვევა ისაა, რომ მარათონს ოფიციალური სპონსორები ეყოლება, რომელთაგან ერთ-ერთი ცნობილი გაზეთი „ფაინენშელ ტაიმსი“ გახლავთ. კომუნისტური კეთილი ნების შედეგად ფხენიანში გარე ქვეყნებიდან 20 ელიტარული და 10 მოყვარული მორბენალი ჩავა. ელიტიდან გამოარჩევენ ჯილო დუბეს ეთიოპიიდან, რომლის მეტსახელი „მფრინავი პოლიციელია“. დუბეს ვენის, რომისა და ჰონკონგის მარათონები მოუგია და ფხენიანშიც მრგვალი პრემიებისთვის ენერგიულად ირბენს, მაგრამ მასპინძლებს 600 ნავარჯიშევი კაცი გამოჰყავთ და ამათგან რამდენიმეს დიდი იმედი აქვთ. საზოგადოებრივი მხარდაჭერა გარანტირებულია — ჩრდილოკორეული ოფიციოზის განცხადებით, მარათონს სადღაც მილიონი კაცი დაესწრება, რომლებიც, საეჭვოა, ნებით გაწესებულნი იყვნენ, მათ ალბათ უფრო პირველმაისობის ვარიანტში გამორეკავენ ქუჩებში.

ამინდის პროგნოზი სასურველია. 15 აპრილს, როცა მარათონი შედგება, დარს წინასწარმეტყველებენ და ვარაუდობენ, რომ მარათონის რეკორდიც (2:11,05) დაემხობა იმავე დუბეს ან კენიელი უილსონ ჩერიოტ ჩუმუს ფეხებით. ოდნავ განსხვავებული აზრი აქვთ მასპინძლებს. „რეკორდს არა მარტო ის დიდი მორბენლები ემუქრებიან — ამბობს ჩრდილოეთ კორეის მძლეოსნობის ფედერაციის გენერალური მდივანი კანგ სონგ ჩუ — კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ვაჟკაცებსაც შეუძლიათ იმავეს გაკეთება. ისინი მზად არიან, ფინიშამდე იბრძოლონ.“

მოყვარული უცხოელების მეტი წილი ჟურნალისტია, თუნდაც იმავე „ფაინენშელ ტაიმსიდან“.

**დავით გულუა**

REUTERS პუნიდან



# ხსოვნისთვის

დიდი ხანი არ არის, რაც აღესრულა სამყაროს უდიდესი მოკრიკეტე, ავსტრალიელი სერ დონალდ ბრედმენი. ინდოეთის პუნში, სადაც ერთდღიანი კრიკეტი გახურებულა მასპინძლებსა და ავსტრალიელებს შორის, უკვე მზადაა მისი ბიუსტი. კრიკეტი აფასებს თავის ერთადერთსა და განუმეორებელს.

# ნელა, კაცო!

დეტროიტში ისეთი ჰოკეი გახურებულა, რომ მასპინძელ „რედ ვინგზთა“ სლავა კოზლოვთან მებრძოლ „სენტ ლუის ბლუზის“ მეკარეს რომან ტურეკს ჩაჩქანი გადასძრობია და ასე შებმია მრისხანე რუსს. ჰოკეია, მეტიც ხდება ხოლმე. „დეტროიტმა“ 5:2 მოიგო.

REUTERS დეტროიტიდან



REUTERS პეკინიდან



# ისევ პირველი

დიდი ხმაურობაა პეკინში, სადაც ეს-ესაა გაფორმდა კონტრაქტი ჩინელ კალათბურთელ ვან ჟიჟისა და ნბა-ს გუნდ „დალას მავერიქსს“ შორის. ამ საქმისთვის ჩინეთში საგანგებოდ ჩაფრენილა დალასელთა ერთ-ერთი დირექტორი დონი ნელსონი, ვაჟი განთქმულ დონ ნელსონისა. ამ ფოტოზე ისტორიული ნამია აღბეჭდილი — ჟიჟი საერთოდაც პირველი აზიელია, კალათბურთის მექაში რომ მოხვდა.

# აკებონოს მადლობა



REUTERS ტოკიოდან

აწ გადამდგარი დიდი იოკუძუნა, სუმოს მთათა მთა აკებონო ტოკიოს ამერიკის საელჩოში მიუწვევიათ სახელმწიფო მდივან კოლინ პაუელის საგანგებო წერილის გადასაცემად. ელჩ ტომას ფოლისთან ვიზიტისას აკებონოს ცოლი კრისტინი და ქალიშვილი კატერინა ხლებიან. კოლინ პაუელის წერილში კი მთაკაცის იმ დამსახურებაზე ყოფილა ლაპარაკი, იაპონურ-ამერიკულ ურთიერთობებში რომ უძევს აკებონოს. ტომით ჰავაელი აკებონო ამერიკის მოქალაქეა და პირველი ამერიკელიც ყოფილა, სუმოს უმაღლესი წოდება, იოკოძუნობა რომ მიუღია.

# ორი ვარსკვლავი

REUTERS სან პაულუდან



ესეც მორიგი დღე რონალდოს ცხოვრებიდან: რიო დე ჟანეიროში იუნისეფის ეგიდით გაიმართა უპოვარ ბავშვთა განათლების პროგრამის მხარდამჭერი მატჩი ორ უცნაურ ნაკრებს შორის, რომელთაგან ერთში რონალდო და ბრაზილიის დიდ პრიზზე საფორმულოდ ჩასული მიხაელ შუმახერი თამაშობდნენ. მიუხედავად ყველაფრისა, რონალდოს უკეთ უთამაშია. მერე კი ამგვარი შეხვედრებისთვის ჩვეული შამპანურით წუწაობაც გამართულა, რაც ასევე აუცილებელი იყო უპოვარ ბავშვთა დახმარების საკითხში.

REUTERS სან პაულუდან



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge